

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

ალექსანდრე
ორბელიანის
საზოგადოება



ილუსტრაციები
ავტორისა

თბილისი
2010




რედაქტორი:
როსტომ ჩხეიძე

ISBN 978-9941-0-2478-8

© ზაზა აბზიანიძე, 2010

თანამდევნი



ადამიანი, მისი არსებობა, იმავდროულად ბევრად მეტია და ბევრად ნაკლებიც, ვიდრე ჩვენ გვვონია. იგი უბრალოდ ისეთია, როგორიც უნდა იყოს, რათა თავისი ადგილი დაიკავოს უნივერსალურ წესრიგში. ადამიანს, ადამიანის ინდივიდს არავითარი უპირატესობა ან განსაკუთრებული ადგილი არ გააჩნია არანაირი გაგებით. ადამიანი არც მეტია და არც ნაკლები სულთქმნილთა შორის. იგი ერთ-ერთია უთვალავ არსებათა უსასრულო მნერივში, რომელთაგან ბევრნი მასზე მაღლა დგანან, და ბევრნი - მასზე დაბლა.

რენე გენონი

ეთიკა სიცოცხლის წინაშე კრძალვისა არ ასხვავებს ერთმანეთში სიცოცხლეს უმაღლესსა და უმცირესს, მეტად და ნაკლებად ღირებულს. მცდელობა, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ადგილის მიჩენისა ცოცხალ არსებათათვის, მიზნად ისახავს გარკვევას, არიან თუ არა ისინი ჩვენზე — ადამიანებზე მაღლა — თუ დაბლა მდგომნი, და ეს კრიტერიუმი კი ერთმნიშვნელოვნად სუბიექტურია.

ერიჼ ფრომი

ნინათება

ჩვეულებრივ წიგნის ეპიგრაფად იმათ ნათქვამს იყენებენ, ვისი სახელიც და ვინაობაც იმდენად დიდია, რომ წარდგენა არ სჭირდება. ეპიგრაფი იმასაც ნიშნავს, რომ საკუთრივ წიგნის ავტორიც ნათქვამის აზრს იზიარებს და ერთგვარ ფარადაც იყენებს. ცხადია, მკითხველისთვის ეს უპირობო თანხმობას არ ნიშნავს, ყველას აქვს საკუთარი აზრის უფლება. მაგრამ ამ ქვეყანას იშვიათად თუ ვინმე ევლინება მზამზარეული მსოფლმხედველობით.

სამწუხაროდ, არც წიგნის ავტორია გამონაკლისი. ძიების არაერთი შეცდომა ამძიმებს მის მეხსიერებას.

და ეგების „სიტყვა ნათქვამი“ ჩაეთვალოს მონანიებად არგანვდილი ხელის, არგაღებული ხარჯის. სიკეთეც ხომ (ნაბოძები თუ არ არის) არჩევანის, ფიქრისა და ტკივილის ფასად მოიპოვება მნიშვნელობის გრძელ გზაზე.

ჩემი სახლის სტუმრები და პინადრები


ჩემს ერთი ბეწო სახლში რომ შემოიხედოთ, გე-
გონებათ მარტო ვცხოვრობთ — ჩემი ორი ძალლი
და მე. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. რა მარტო
ცხოვრებაა, თუ ღამე სხვენზე თაგვების ხრაგუნი
არ გაძინებს, დილით კოდალას კაკუნი, დღისით
ჩექმაში ხვლიკი გიძვრება, ეზოში ბაყაყები ყიყი-
ნებენ, გომბეშოები ბანს აძლევენ, ზღარბები და-
ბუჯურობენ, თავზე სინდიოფალების ოჯახი „გა-
დაგიფრენს“, თივის ზვინში ანკარა მიჩუმებულა,
მინაში თხუნელაა და მახრა, ჭის კედლებზე და ბა-
ლახში ლოკოკინები და მუხლუხოები დაღოლავენ,
აივნის ჭერზე ბზიკების სკაა, სახურავის ქვეშ
მერცხლის ბუდეა, ხის ბოძებში ჭიები დალრიჭინე-
ბენ, სახლში ჭრიჭინა დაჭრიჭინებს, მაგიდაზე ჭი-
ანჭველები დაცოცავენ, ობობას ქსელში ქინქლე-
ბი თრთიან, ჭიამაიები და პეპლები დაფარფატე-
ბენ. ხილი რო ხილია, იმასაც მოწყვეტ და იქაც
ჭია-მატლი დაგხვდება. ჩემი არ მეყოფა, ახლა
სტუმარი!

ცისფერთვალება და ფერმკრთალი გოგოები,
შავთვალა ბიჭი, ჩემი ძალლებით დაინტერესებუ-
ლი გაღმელი პირები (ლობის ძირში რომ წვანან),
ციყვები და შაშვები (თითქოს თაგვი და სინდიო-
ფალა კაკალს ვერ გაუსწორდება), ღამლამობით
ბუ (ჰელინია, თაგვების ხრიგინი უძილობას არ
ჰყოფნის); ჩაიზე ფუტკარი დაგენვევა (ბზიკი არ
გაკმარა), კალიები გახტებიან, ნემსიყლაპიები
დაგტრიალებენ, ციცინათელები შემოგანათებენ,

ქორი „შემოწმებით“ გადაგიფრენს, ბელურა ხე-
ხილს დაგიკენკავს, ბუზი, კოლო და ათასგვარი
ხოჭო ხო თავისთავად. ის კი არა „კუმ ფეხი საიდან
გამოყო“ და ერთხელ ისიც მესტუმრა.

ეს ყველაფერი ეზოდან გაუსვლელად. და ეზო-
დან თუ გახვედი, ხომ მთელი ქვეყანა შენია!

ახლაც იტყვით, რომ ჩემს სახლში მარტო
ვცხოვრობ?!



პაგა

მიწური — ისე ჟღერს, გეგონება უსახსრო უსახლკაროს ბოლო თავშესაფარია, საბოლოო თუ არა. აი, ქართული მიწური თუ გინახავთო — ვერც გკითხავთ, დარწმუნებული ვარ, არ გინახავთ არავის, ერთი-ორის გამოკლებით. მეც, მიწური საგანგებოდ ვეძებე და, მესხეთის მიგდებულ სოფელში ვნახე. პატრონს ისე ერცხვინებოდა, ისე ითრევდა ფეხს შეპატიუებაზე, გეგონებოდა, საღორეში ცხოვრობდა. საღორე არა, მაგრამ პირველი სივრცე — დარბაზისებური ბაგა იყო. სიცივიდან შემოსულს ძროხების სუნთქვა გაგათბობდა, შეჩერდებოდი, და, ცნობისნადილით შეპყრობილი, დანარჩენ ოთახებს შემოირბენდი. ოთახი, კედელი, ჭერი ისეთი პროზაული ცნებებია, ისეთი მიუსადაგო იმ ბიბლიურ სივრცესთან, რომელსაც მიწური ჰქვია. ასჯერ მოყოლით რაღაცას მოახერხებ, ოღონდ მიწურის აღნერას — არა. ისე ნასწავლად ჟღერს — დედაბოძი, ბორჯვალო, პალატი, გუმბათოვანი გადახურვა... და მაინც ბაგაში ვბრუნდები. სამი მაკე ძროხა, ჩაგრაგნილ რქებიანი, ისევე აუღელვებლად ცოხნიდა, როგორც ორი ათასწლეულის წინათ, ისეთივე სიმშვიდე სუფევდა და მოლოდინი ახალშობილისა და თავმოდრეკილ მოგვთა ძლვენებისა... არსად ისე არ მიგრძნია, არცერთ საგანგებოდ სამაგისო სივრცეში, დროის უწყვეტობა და სულდგმულთა სამკვდრო-სასიცოცხლო ერთიანობა, როგორც აქ, ამ დიდებულ ქართულ მიწურში.

თეორი ნაგაზი

თოვლზე თეთრი კავკასიური ნაგაზი წევს, თოვლისაგან ფერით ვერ გაარჩევ. მზეს ეფიცხება, ძვლებს ითბობს, ქანცგამოლეულს, გაყინულს მზემ სულზე მოუსწრო, მოათბო. ისვენებს ძალლი, ძალას იკრებს, ძალა სჭირდება ძალლური ცხოვრების გასაძლებად, ლუკმა პურის საძებნელად. ჩაფიქრდა, ჩათვლიმა. გვერდზე დაცემული ჩრდილი იგრძნო, შეიშმუშნა. ბრგე, წახნაგოვანი მუტრუკი თეძოების თამაშით მოაბიჯებდა. ძალლი დაინახა, გვერდულად წიხლი მოიქნია, მძიმე სათხილამურო ჩექმა კბილებში გლიჯა, მსუქნად გადააფურთხა, მიიხედ-მოიხედა და ისევ თეძოების თამაშით გზა გააგრძელა. ძალლს წკმუტუნის ძალაც კი არ ჰქონდა, ერთი ამოიბლუყუნა და ნაცემი თავი თოვლში ჩაჰყო.

კაცურმა კაცმა ჩაუარა.

ჩიტეპი

მარტოსული მოხუცი, ოთახში გამომწყვდეული, თავს კითხვით და ხატვით ირთობდა. ოთახის ფანჯარა კი მისი ბუნების კარი იყო. ყოველდღე საგულდაგულოდ პურს ფშვნიდა და რაფაზე ჩიტებს აჭმევდა. გვერდით ოთახში ბიჭი ულამაზეს არაბულ ენას სწავლობდა, ნისკარტის რაფაზე კაკუნს გაიგებდა, ყურს დაუგდებდა და არაბულად იტყოდა — „ხუბზ ლი ტუიურ“ — პური ჩიტებისათვის.

დიდი ხანია მოხუცი ალარ არის, ბიჭს არაბული დაავინებდა, ჩიტები კი ისევ მოფრინავენ.

როდესაც პურის ნამცეცებს ვუყრი, ჩურჩულით ვიმეორებ — „ხუბზ ლი ტუიურ“.



ობობა

ძაბრისებურად ქსელით დაგრაგნილ ღრმულში დიდი ობობა ცხოვრობს. გაირინდა, შია, გაუმარ-თლა: ჭკუამხიარული კალია გაება მახეში. ობობამ დაყოვნა, სკუპ-სკუპით გამოვიდა ძაბრიდან, კა-ლიას დაახტა და ადგილზევე გააშეშა.

ვუყურებ, ჩაი გამიცივდა, მუსიკა შეწყდა. რა-დიოდან დიქტორის მხიარული ხმა მომესმა:

— უცხოეთში დიდი სანახაობა გაიხსნა, ახლა ყველას შეუძლია დაესწროს ატრაქციონს - ელექ-ტროსკამზე სიკვდილმისჯილის განაჩენის აღს-რულებას. (ადამიანის ფიტულია, რა თქმა უნდა!). დიდძალი ტურისტი მიაწყდა სანახაობას.

მე მარტო ვარ, არის თუ არა ჩვენს შორის რაი-მე განსხვავება?

თევზი

ლამაზი, ჯიშიანი ქალი თავის პატარა გოგო-ბიჭს სადილს უმზადებდა, ლამაზად მოძრაობდა სამზარეულოს სივრცეში, საქმიანობის მოსაწყენი ყოველდღიურობა სანახაობად აქცია. ტარიანი ტაფა მსუბუქად შედგა ცეცხლზე, მაგიდას მიუბრუნდა, პარკიდან თევზები გადმოყარა. თევზები მკვახედ დაეცნენ მაგიდაზე. ქირურგიული მოძრაობით დიდი დანა მოიმარჯვა და, ის იყო გამოფატვრა დაიწყო, რომ თევზები აფართხალდნენ. წუთით შეკრთა, წუთით თევზებიც შეკრთნენ და ნელ-ნელა უკლეს ფართხალს.

ყოველთვის მოინახება ერთი უფრო არათევზი, უფრო ცოცხალი. იმ ერთმა სულის ლაფვას მძლავრად კუდის ქნევა მოაყოლა, გაიზნიქა, შეხტა და ქალს ხელიდან გაუსხლტა. ქალის უცაბედ დაბნეულობას იერიში მოჰყვა - კუდში სტაცა, მეორე ხელი დანის პირს ჩავლო და ტარი ურტყა პირდაფჩენილ თავში. თევზი მძლავრად იბრძოდა, პირს დიდად, ჩქარ-ჩქარა აფჩენდა და ყოველი თავში ჩარტყმის მერე უფრო მწარდებოდა. ქალიც ეშხში შევიდა და ისეთი გამეტებით ურტყამდა დანის ტარს თავში, თევზს კბილები რომ ჰქონოდა, დააყრევინებდა. ქალმა დარტყმის სიჩქარეს და სიძლიერეს უმატა, გახურდა და ხელებში ჩამკვდარ თევზს უკვე ისე, სიხარულით ურტყამდა.

შუადღე იყო, ბავშვებს ეძინათ.


მერცხალი

ყველას გვაქვს ცხოვრებაში ბედნიერი დღეები, მერე რომ იხსენებ კი არა, იმ წუთში რო იცი - ბედნიერი ხარ. ასეთი დღე იყო. არსაიდან არაფერი იმუქრებოდა — არც ამინდი, არც გარემო, არც ბავშვები, არც დიდები. ყველაფერი ერთმანეთს ერწყმოდა.

— ჩიტი მოკლა! — გასროლასავით გაისმა. ხმამ ხელჩაქნეულად გულსმილმა ჩაიარა.

— ჩიტი, ჩიტი, მერცხალი მოკლა! — ეს უკვე შეძახილი კი არა, მოთხოვნა იყო. ხმას გულში გაევლო. აღარც კერძმა ივარგა, აღარც საუბარმა, აღარც ბავშვებმა... გალია მოინახა. მერცხალი გალიაში ჩავდეთ, წყალი და სიმინდის მარცვალი გვერდზე მივუწყეთ, სულის სახსენებელივით. არ იძვროდა, სუნთქავდა, გალიას ნაჭერი გადავაფარეთ, ერთმანეთს მივუბრუნდით.

იმწუთიერი ბედნიერების შეგრძნება გაქრა.



უტიფარი ძაღლი

ქუჩაში ნაპოვნი ძაღლი სოფელში წაიყვანეს. სოფლის ნათესაობამ, დიდი აღფრთოვანებითო, ვერ იტყვი, — სხვა რა გზა გვაქვსო, დავიტოვებთო. მაგრამ, როდესაც უტიფარმა ძაღლმა ქათმების დევნა დაიწყო, სიტუაცია დაიძაბა: ქაღაქელები იმას აწვებოდნენ, შეიგნებსო; სოფლელები დიდად იმედიანად არ იყვნენ. ამასობაში ძაღლმა ტყუილად დევნას ქათმების ცოცხლად ჭამა ამჯობინა. ცალფეხზე მოფართხალე ქათამმა და ძაღლის ბუნტყლიანმა ცხვირმა სოფლელები ცივ უარზე დააყენა: თქვენ რო წახვალთ, მაინც მოვკლავთო. მოსაკლავად ცოდვა იყო, ისევ თბილისში ჩამოიყვანეს, მარტოხელა, ცოლგაქცეული ძმაკაცი გააბრიყვეს, და იმას აქეთ ის ძაღლი ოპერის თეატრის უკან ცხოვრობს, ცოლყოფილის ლოგინზე წევს, ცოლყოფილისავე სახელი ჰქვია და სასეირნოდ ოპერის ბაღში დადის.

უცნაურია, ზოგჯერ უტიფრობა სიკეთით როგორ მოგიბრუნდება. აბა, ქათმები ცოცხლად არ ეჭამა, რა ცხოვრება ექნებოდა?!

ბალერინას ძაღლი

ლამაზმა ბალერინამ თბილისის ზღვაზე ლეკვი გადაარჩინა. — ყელზე ქვა ჰქონდა მობმული და იხრჩობოდა. ლეკვი დიდი გაიზარდა, შიშიანი და უნდო, არავის იკარებდა, არ სცნობდა, კარი რომ გაგედო, მარტო სასეირნოდ არ გავიდოდა, სულ ფეხდაფეხ დაჰყვებოდა თავის მხსნელს.

წლებმა გაიარა, ბალერინას შვილი საზღვარ-გარეთ წავიდა საცხოვრებლად, შვილთან წასვლა მასაც მოუნია. რაც რამე ებადა, ტანსაცმელი და წიგნები — მეგობრებში დაარიგა. ძაღლის დარდი ჰქონდა და ისიც ვიღაცას მიაბარა.

სხვა ქვეყანაში წასულს, ახლის ავ-კარგი დარდს გაუქარვებდა. ძაღლს კი, მეორედ თუ გადარჩა, რა დაავიწყებს თავის ბალერინას.

ცხენი „განძი“

მხედარი, განძს რომ ეკადრებოდა, ისეთი ჰყავდა. — გურული ფირალივით შეიარაღებული, ამერიკელი კოვბოივით დაზმანული, ვერელივით ამპარტავანი. განძი დოლის „არაბი“ ცისფერსისხლიანი იყო, ბალახს არ ძოვდა, შვრია უნდა მიგერთმია, სწორეზე უნდა ევლო. მხედარმა ეს ყველაფერი კი იცოდა, მაგრამ თუშეთში მიმავალი, თუშურ ცხენზე ხომ არ დაჯდებოდა? განძმაც, სანამ შვრია იყო — ჭამა, სანამ ვაკე იყო — იარა. ომალოში ვაი-ვაგლახით ავიდა. სული მოითქვა. ახლა თუშები ატყდნენ:

- აბა, რა დოლის ცხენია, თუ ვერ ირბინა!
- შევაჯიბროთ!

— ჩვენ ცხენებს ჯანით ვერ აჯობებს!
იმდენი ქნეს, დოლი გამართეს. განძმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, არც თავი შეირცხვინა, არც მხედარი. უკანა გზაზე კი ბალახის გაჭირვებით ძოვამ და ციცაბომ თავისი ქნა, ქანცგამოლეულს ქანობზე ფეხი დაუცდა, წვივში გადაუტყდა და კოვბოის ორლულიანმა იქვე ხევში დააგორა.

განძის თავლაში ახლა სხვა „არაბი“ დგას. მხედარმა გუდაურში „როსინიოლების“ თხილამურებზე დგომა არჩია.

ბაყაყი

ვკითხულობ. წიგნში ბაყაყებზე ბევრი რამე წე-
რია: ინგლისელებს რძის ბაყაყით გაცივება უყ-
ვართ — რძეში აგდებენ და ცივდება. ფრანგები
უფრო მსუნავები არიან, უბრალოდ ჭამენ. ჩინე-
ლები ბაყაყს ნეფრიტისაგან აქანდაკებენ — უყ-
ვართ.

ბევრგან ბაყაყი წვიმის ქურუმია, უფრთხიან...
ჩემს ხის სახლს გეკოს ტყვია ცუდად მოხვდა.
კითხვას თავი დავანებე. ჩვენი, ქალაქელი ბიჭები
გეკოთი ბაყაყებზე ნადირობდნენ.

— რატომ?

— ქართველებზე წიგნში არაფერი წერია.



გერმანული ნაგაზი

ნაგაზის ლეკვი ალერსიანი და მიმნდობი იყო. ბაუშანი დაარქვეს. მეგობრებმა უკაცრიელი სი-ცივეები მარტოობაში გადააზამთრეს. გაზაფხულზე ხალხმა იმატა, დამსვენებლებმა, ბავშვებმა. პირველი ბავშვის დაკბენა გაფრთხილება იყო პატრონისთვის. ყველაფერზე პატრონი აგებს პასუხს. მეორეც და მესამეც ბავშვი იყო... პატრონის მაგივრად ნაგაზმა აგო პასუხი.

სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

მანამდელი ლეკვობა საბავშვო ბალში გაატარა. ბავშვებმა დანდობა არ იციან. მოფერებას წამები-სგან ვერ ასხვავებენ. გულში ჩაიდო, არ დაივიწყა, ჯავრი სხვაზე იყარა...

გამზრდელმა აკაკის „გამზრდელის“ სამართალი ვერ ზიდა, და სასჯელად გულში გაუნელებელი ტკივილი დარჩა, ყოველი გერმანული ნაგაზის დანახვაზე რომ თავს ახსენებს.

ნელის კუ

ერთი წყლის კუ გვყავდა, მოწყენილი გვეჩვენა და საამხანავოდ თავისნაირი მოვუყვანეთ. კვერცხის ოდენებიც არ იყვნენ, დედალ-მამალს ვერ გაარჩევდი და, თუ არ შეუღლდებოდნენ, გვეგონა, იმეგობრებდნენ მაინც.

რა ვერ გაიყვეს, რითი ვერ მორიგდნენ, რომ ერთხელაც აკვარიუმში ისევ ერთი კუ დაგვხვდა. მეორე ვეძებეთ ყველა კუთხე-კუნჭულში, ბოლოს აივნის ღია კარს გუმანით თვალი გავაყოლეთ, აივანზეც არ იყო, უიმედოდ მეოთხე სართული-დან გადავიხედეთ, და, საოცრება, რამ დაგვანახა?! გადარჩა! ამოვიყვანეთ, დავაბრუნეთ, აკვარიუმში წყალი დავაკელით, ამოსვლა რომ გასჭირვებოდა.

შენც არ მოგიკვდეს ჩემი თავი! მეორედაც და მესამედაც იგივე — გაიპარა, აივნიდან გადახტა, ვიპოვეთ, დავაბრუნეთ. მერე ვიფიქრეთ — ეს თვითმკვლელობის ხერხია თუ გართობა, ერთხელაც ცუდად მოგვიბრუნდებაო, და გავაჩუქეთ.

ისევ ის ერთი კუ დაგვრჩა, მშვიდი და მეოცნებე.

მეორის ამბავს აღარ ვკითხულობთ, გული არ გვატკინოს.

უკუდო კატა

თბილისის დიდ ეზოში კუდიანებში უკუდო კატა „ქურდად იჯდა“ — ძაღლს და მამაძაღლს, ყველას ეშინოდა უკუდოსთან საქმის დაჭერა, სუსველასთან „ვერხით“ იყო. ერთადერთი ქალი ჰყავდა ამოჩემებული, იმას ენდობოდა, იმას აკითხავდა, იმისას ჭამდა, იმის კარადაში ყრიდა კნუტებს; თუ არ გაუჭირდებოდა, იმასაც ზედმეტად არ აწუხებდა.

ერთხელაც ეზოში ხმა დაირხა — უკუდოს ამპარტავნობამ უნია, ვიღაცამ ლებან-ლებან დაშალა და ნაკუნ-ნაკუნ სისხლის გუბეში გდიაო. ქალს ეს ამბავი რომ მიუვიდა, — მაგის შემხედვარე არა ვარო, ჩემი გული მაგას ვერ გაუძლებსო.

და რა გულმა გაუძლო, როდესაც მეორე დღეს სისხლში ამოვლებული უკუდო კატა თავის კართან ნახა მოთრეული. ეგრევე ექიმთან გააქანა, ეგების გადარჩესო. ექიმმა უკუდო შეათვალიერა და ქალბატონს მოახსენა:

— იღლიაში ერთი ნაკანრი აქვს, ეგ სისხლი კი თავისი არ არის. ვისაც ამან სისხლი ადინა, იმას მიხედეთ, თუ მიუსწრებთო.

უკუდო მოსულიერდა, თვითონ კი სული ვის გააფრთხობინა, თქმაც რომ შეეძლოს, ვერ ათქმევინებდი.



მთრედი

ჩემს ტკბილ მეგობარს მტრედები უყვარდა და ჰყავდა კიდევაც. ფოსტის მტრედები იყვნენ, ნას-ნავლი ამბის მიტან-მოტანაში. წყნეთის ბალში, სამტრედეში ცხოვრობდნენ და თბილისთან სატე-ლეფონო ხაზის მაგივრობას გვიწევდნენ. რამდენ-ჯერ, სახლში დაბრუნებულებს, ფეხზე გამობმუ-ლი ბარათი მოუტანიათ: „მოვდივარ“, „გაჩერება-ზე დამხვდი“, „გადაეცი, ვერ მოვალ“... საქმიანი გზავნილები იყო უმეტესად. ერთხელაც, გულჩვი-ლობისას, სასიყვარულო წერილი გამომიგზავნა. მაგრამ არც ის მტრედი მოფრინდა, არც ის წერი-ლი.

— იშვიათია, ხდება ხოლმე, ასეული კილომეტ-რების სიშორიდან ბრუნდებიან, ალბათ რაღაც მოუვიდა, — თავს იმართლებდა გაწბილებული მწვრთნელ-მიჯნური.

რაღაცის ნიშანი ხომ არ იყო, რომელსაც უნდა მიუყურადო....

ჩვენს სიყვარულსაც რაღაც მოუვიდა.

შინაბერა ძაღლი

თეთრი ძაღლი პასკი კოხტაა და „ქალური“, მაგრამ უკვე ასაკს გადაცდენილი შინაბერაა. ხელი კი შეეწყო, საკადრისი ზომა-წონის „ოჯახის ბიჭს“ ურიგებდნენ, მაგრამ ამაოდ ვნება არცერთს არ ანუხებდა. სამაგიეროდ, ორი ახმახი ძაღლი ამშვენებს მის ბიოგრაფიას: პირველს კუცმანა ერქვა, აშკარად უჯიშო იყო, მაგრამ ისე-თი სიმწრით იბრძოდა „სატრფოს“ დასათრევად, რომ სამმეტრიან ლობეზე ძვრებოდა - დაუჯერებელს გაგაკეთებინებს სიყვარული. პასკი კი ყრუ იყო და მუნჯი. მეორეს თოლია ერქვა, კავკასიურ ნაგაზობას აბრალებდნენ, დასანუნი არაფერი ჰქონდა, მაგრამ „ქალს“ აქეთ იწუნებდა. რას არ შვებოდა საბრალო პასკი, რას ხვანცალებდა! კავკასიელი ყაზილარი ზრდილობიანი კი იყო, მაგრამ ლტოლვის მაგვარი არაფერი ეტყობოდა.

ასე, წუნიაბაში, შინაბერად დარჩა თეთრი პასკუალინა.

უპასუხო, ცალმხრივი სიყვარული ჩვენშიც რა ხშირია.

დედა-ღორი

სიცოცხლის გაჩენა ამ ქვეყანაზე დიდი სასწაული რომ არის, ამაზე კი არავინ არ დაობს. მისი მსგავსი სასწაული არც რამეა და არც არსად. თუ შესწრებიხარ, — ნისკარტით როგორ ძვრება ჭრელი კვერცხიდან ბარტყი, თუ შეგიმჩნევია ცოცხალმშობი თევზის ელვისებური გაჩენა, თუ გინახავს ფარაში მიმავალ ცხვარს როგორ უვარდება ბატყანი, თუ გინახავს კვიცის, ჩოჩორის ან ბოჩოლას მოსვლა ამ ქვეყანაზე, თუ კატის ან ძალლის გაჩენა გინახია, თუ ბავშვის მოვლინებას დასწრებიხარ, ნამდვილი სასწაულის მომსწრე ყოფილხარ!

ქალაქელი ბევრ ვერაფერს დაიტრაბახებს, სოფელში კი სასწაული ყოველ ნაბიჯზეა.

ერთხელ სოფელში გოჭების გაჩენას შევესწარი. უზარმაზარი თეთრი დედა-ღორი, აპრეხილცხვირიანი, ჩამოყრილი ძარლვიანი ყურებით, დაგრაგნილი კუდით, ერთი ბეწო ჩლიქებზე ძლივს იდგა, სამშობიაროდ ვიწრო ბოსელში იყო შემწყვდეული. პირველი გოჭის გაჩენაზე შიშმა ამიტანა, — ამ სივიწროვეში გაჭედილ დედა-ღორს ქვეშ დავარდნილი გოჭი არ შემოჭყლეტოდა. ყოველი გოჭის მომატებაზე ბორგავდა და წრიალებდა. ასე თორმეტი გოჭი გააჩინა, თავისნაირი თეთრები, ვარდისფერ-ყურიანები. მეცამეტე, ნაბოლარა, ჭრელი იყო.

ბლავილსა და ბორგვაში ფეხი დაადგა კი არა, ბალერინას უნაზესი მოძრაობით არიდებდა ჩლიქს მოჭყვიტინე გოჭებს. მეცამეტეს გაჩენაზე შვებით ამოიღრუტუნა, ფრთხილად გაწვა იატაკზე და ცამეტივე დინგით ძუძუების ირგვლივ შემოილაგა.

არაფერი არ არის ამ ქვეყანაზე სიცოცხლის გაჩენაზე დიდი სასწაული! არაფერი!

ჩოჩორი

ჩვენს შემოლობილ სოფლის ეზოს ყოველდღე ნაცრისფერი, გაბურძგნული ჩოჩორი აკითხავდა. გვერდს მოითხანდა, ფეხებს დააბაკუნებდა და, თუ დროზე არ მიეგებებოდი, ყროყინს იწყებდა — „გამიღეთ, მოვედიო!“ გალმა სოფელში პატრონი კი ჰყავდა, მოაგარაკე, მაგრამ ჩოჩორი მარტოობაში იწყენდა, ხალხი უყვარდა, სტუმრობა, და როდესაც ჩამონაყარ ვაშლს დაახრამუნებდა და მირთმეულ პურს იკადრებდა, თამაშს იწყებდა, ციბრუტივით დატრიალდებოდა, მოუქნელად დარბოდა, უკანა ფეხებით ტლინკებს ყრიდა და, თუ წამოგენეროდა, მოზომილად მოგაბჯენდა ყურებპარტყუნა თავს — „ხომ დაგენიე, ხომ არ გატკინეო“. თუ განსაკუთრებულად კეთილ გუნებაზე იყო, ზურგზე პატარა ბიჭსაც ისვამდა.

ჩვენ თუ არ დავხვდებოდით, სხვასთან მიდიოდა. ლამეს სად ათევდა, არ ვიცი. შაბათ-კვირას კი გულმოსული პატრონი მოძებნიდა, საბელს გამოაბამდა და შინ მიჰყავდა.

ამასობაში შემოდგომაც მოვიდა, ქალაქს მივაშურეთ, და მერელა გავიგეთ — პატარა ჩოჩორი (ეზო-ეზო რომ არ ვეძებნეთ) პატრონმა ხეზე გამოაბა. იმ ხეზე ჰამაკიც ყოფილა გაბმული. ჩვენი ჩოჩორი იმ ჰამაკში გახლართულიყო და ჩამომხრ-ჩვალი უნახავთ.

გუ

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ანუ იყო და არა იყო რა. წარმოიდგინეთ: ზაფხულის ღამე, სოფელი, ოდა სახლი, ოთახი მინისპირა ღია ფანჯრით, ფანჯარაზე მიბჯენილი მაგიდა, ზედ გაწყობილი მწირი ვახშმით, მაგიდის თავზე მბუუტავი შუქი, მაგიდასთან ორნი — სულერთია ვინ. ყველაფერი მარტივია და პროზაული. და უცებ ღია ფანჯრის ღამის სიჩუმიდან ფეხების ბაკა-ბუკით, პატარა, დაბლვერილი ბუ შემოდის, რაფაზე ჩერდება, დაჭყეტილ თვალებს აბრიალებს და ამრეზით უყურებს ორ პირდაფჩენილ არსებას.

სუფრაზე შემოსწრებულს ჩვენში ლუკმას უყოფენ, მაგრამ ყველი-პურის დანახვაზე სტუმარმა ფეხების ბაკუნს მოუმატა, კიდევ უფრო გაიფხორა და ფურთხება დაიწყო. რა გვექნა, თავი მოგვეჭრებოდა, სად იყო და სად არა, გვერდით კედელზე დიდი მწვანე კალია რომ არ დაგვენახა. კალის ბედიც ეგ იყო. ბუმ დიდად არ იუარა, პირი დააბჩინა და დიდი დამადლებით მიირთვა. მერე ისევ უგუნებოდ ზურგი შეგვაქცია და ბაკა-ბუკით გაგვეცალა.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ორნი ვიყავით და ერთმანეთს დავემოწმებით, რომ იყო, ნამდვილად.



თევზები, ტრიტონები, ჩიტები

პატარა შავთვალება ბიჭი დღეს და ლამეს აკვა-რიუმებსა და გალიებთან ატარებდა. აკვარიუმებში გუპები, ტრიტონები, გალიებში თუთიყუშები და კენარები ჰყავდა. თვალს არ აცილებდა.

— ხვალ იმშობიარებს! — წამოიძახებდა.

მარცვლისოდენა გუპებს რას ამჩნევდა, რომელია სამშობიარო, თორემ მშობიარობა უკვე მჯეროდა, მეანის თვალი ჰქონდა. მანამდე ლილიპუტი ტოიტერიერი ავად გამიხდა მეგონა. — არც ჭამდა, არც სასეირნოდ მომყვებოდა.

— ორსულადაა! გააჩენს! - დიაგნოზი დაუსვა პატარამ.

— რა სისულელეა, — ვიუარე, — უჩემოდ ფეხი არ გადაუდგია, — გამეცინა. მაგრამ, როდესაც ტოიმ ერთი უდღეური ლეკვი გააჩინა, სასაცილო აღარ იყო.

ახლაც გუპიმ დღე არ გადააცილა.

— აჩენს! უკვე თორმეტი ცალია!

— რომელი აჩენს?

— აი ეს, გამჭვირვალე რო გახდა.

კიდევ კარგი, გუპი ცოცხალმშობია, თორემ მაგდენი თვლა რომც ცოდნოდა, ქვირითს რა და-ათვლევინებდა.

ტრიტონები არ მრავლდებოდნენ, ზანტები იყვნენ, სულ აკვარიუმის კედელზე გაპარჭყულები. კენარები ცალ-ცალი იყო გალიაში, ისე არ გალობენ. თუთიყუში კი სულაც ერთი იყო, ისიც მამალი. მაგრამ ჩიტებმა გამრავლების სხვა ხერხი იხ-მარეს — უბრალოდ მოფრინავდნენ.

— არ მოხვიდე! აივნის მოაჯირზე თუთიყუში ზის, არ დააფრთხო! დედალია! დავიჭირე!

აღარაფერი აღარ მიკვირდა, მართლაც დედალი ყოფილა და თუთიყუშებმაც იმატეს. მაგრამ როდესაც აივნიდან ისევ ყვირილი მომესმა:

— ალბინოსია! - ვიფიქრე, ბავშვის საქმე ცუდად არის, შველა უნდა, მივვარდი. ხელში თეთრი კენარი ეჭირა!

— ალბინოსია, ვიღაცას გაუფრინდა!
ამის მერე სპილო რომ შემოეყვანა აივნიდან, წარბს არ შევხრიდი. ასე კარგა ხანს გასტანა. მერე ბიჭს სხვა ინტერესები გაუჩნდა, სხვამ გაიტაცა. თავის „ზოოპარკს“ კი ისევ უვლიდა, მაგრამ აღარც თევზები მრავლდებოდნენ, აღარც ჩიტები მოფრინავდნენ.

როგორ არ დაიჯერებ, რომ სიყვარული ძალაა მაცოცხლებელი.

მგალობელი ჩიტები

დიდი ხნის წინათ, მთაწმინდაზე ცხოვრობდა ლვანლმოსილი მუსიკის პედაგოგი, კონსერვატორიის პროფესორი, დიდად პატივცემული ქალბატონი.

მისი სიყვარული მუსიკისადმი უსაზღვრო იყო. უსაზღვრო იყო მისი სიყვარული ცხოველებისადმი. მშიერს და ავადმყოფს გულგრილად ვერ ჩაუვლიდა — დიდალ საჭმელს ყიდულობდა, თავისი ხელით აჭმევდა და უვლიდა. როცა არ ეცალა, უბნის ბიჭებს დარაზმავდა, ბიჭები დადიოდნენ მის მაგივრად ეზო-ეზო და ლეკვებსა და კნუტებს პატრონობდნენ. პროფესორობა რომ არა, ჩვენში ბევრ ჯანმრთელსა და გონიერს ქალბატონი თვალში არ მოუვიდოდა და სასაცილოდაც არ ეყოფოდა. ცოტა სასაცილო, ალბათ, ერთ მანგლისელ კაცსაც ეგონა. ქალბატონი ზაფხულობით მანგლისში ისვენებდა და ამ მოხუცი კაცის სახლში ქირით ჩერდებოდა. სახლის პატრონს კიდევ ერთი შემოსავლის წყაროც ჰქონდა — მგალობელ ჩიტებს იჭერდა და ბაზარში ჰყიდდა. ქალბატონი კი მუდამ გალიის საკეტს ხსნიდა და ჩიტებს ცაში უშვებდა, მერე კი ზარალის ფულს ერთი ათად უხდიდა. ნაწყენი არავინ რჩებოდა.

მაგრამ ასეთი განუზომელი სიკეთეც კი არ იხსნის ადამიანს ალსასრულისგან. დადგა დღე გამოთხოვებისა... ქალბატონის სახლში მისმა გამოზრდილებმა, საქვეყნოდ აღიარებულმა მუსიკოსებმა მოიყარეს თავი. დიდ ოთახში, თავახდილ როიალთან, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მისი



ტიტულოვანი მოწაფეები და ჟღერდა მუსიკა. მთელი თბილისის ნარჩევი საზოგადოება ნაკადად მოედინებოდა ქალბატონთან პატივის მისაგებად. და რაოდენ შეუფერებელი უნდა ყოფილიყო ამ დიდებული საზოგადოებისთვის სოფლელი კაცი, გაზუნტლული კახური ქუდით, დიდი კოლოფით ხელში, რომ როიალთან მჯდომმა ვირტუოზმა პიანისტმა დაკვრა შეწყვიტა და გაკვირვებით ახედა. ყველას გზააბნეული ეგონა.

მოხუცმა არც ვინაობა გაამხილა, არც უკან დაიხია, განსვენებულთან მივიდა, კოლოფს ჭილოფი ახადა, სახურავი ახსნა და ქალბატონის თავზე მგალობელი ჩიტები აფართხალდნენ.

ღვთაებრივ მუსიკას ჩიტების ურიამული და ფრთების თრითინი შეერწყა და სივრცეში განილია...

ძათამი

— ჩემი ჭრელა ჩემს ოჯახს მირჩევნია, — იტყოდა ხოლმე კაცი. ჭრელა დედალი ქათამი იყო და ჩვენს სახლში, მესუთე სართულზე, პატიოსნად ცხოვრობდა. მის პატრონს დაკვლა დააგვიანდა და ამასობაში ასე ძალიან შეუყვარდა, თუ ჭრელა მართლაც სასწაული ქათამი იყო, ვერ გეტყვით. იმასაც ვერ გაიგებდი, კაცი ოჯახს რას ერჩოდა. რომელი ოჯახი აიტანს ბინაში მოკაკანე დედალს. მარტო კაკანს რა უჭირს, დიდიან-პატარიანად დღენიადაგ სკლინტების წმენდაში იყვნენ. ფულის იმედი თუ გაამხნევებდათ (ჩიტის სკლინტმა ფული იცისო), მაგრამ არც ფული ჩანდა და არც ოქროს კვერცხი. მერე ეჭვი აიღეს, ეგების ქათამი ჩიტებში არ გადისო, და სულ წახდნენ. დიასახლისის მოთმინებას ბოლო რომ მოეღო, სადილად საყვარელ მეუღლეს ჭრელას ბულიონი დაახვედრა.

— ჭრელა! - იკივლა კაცმა.

ვერაფრით ვერ დააჯერეს — ჭრელა აივნიდან გაგვიფრინდაო. ისეთი ჩხუბი ატეხა, ისეთი აყალ-მაყალი...

ისე, რა იყო დაუჯერებელი ჭრელას გაფრენა-ში, თუ პირისგემოთი ცნობდა თავის „სატრ-ფოს“?..

კურდლელი

თანასოფლელი კაცები შემოდგომის წვიმიანში გულს სმასა და ღრიანცელს აყოლებდნენ. მიუსაფარია ზამთრის მოლოდინი, თუ ბუხარში ნაკვერჩხალი არ ღვივის და ჭიქა ღვინო ხელში არ გიკავია. შემთვრალებს ნამდვილი არ ჰგონებიათ, როდესაც ლია კარში შიშისაგან გულამოვარდნილი კურდლელი შემოვარდა.

„მასპინძლებს“ ბევრი არ დაუყოვნებიათ, და ყურცქვიტა იქვე, სამწვადედ გაუტყავებიათ. ნამდვილი მერელა დაიჯერეს, დილით ნამთვრალევზე რო იცინოდნენ: „ეგე, მანდ ვილაცა მოსდევდაო, „სამპრიშოლას“.

შველი

სანამ სოფელი დაფუძნდებოდა, ჩვენს ოდას ვინ არ აკითხავდა: კურდლლები, მელიები, ტურები, ფოცხვერები — მრავლად იყვნენ. შაშვები და კოდალები კი დღესაც შემოგვრჩნენ. ერთადერთი ეულად შველი მოდიოდა — შორიახლოს აჩრდილივით, მფრთხალად გაირინდებოდა და ისევ ქრებოდა. ნელი-ნელ ყველა გაიკრიფა და არც შველის გაუჩინარებას გავუკვირვებივართ.

მერე მითხრეს, ის შველი ჩემი მეგობრის მამას მოუკლავს.

ნეტავი არ იყოს მართალი.



კუ

კეთილ მეგობრებთან სტუმრობისას სიგარე-
ტის საფერფლედ კუს ფიალისებურად ამოტრია-
ლებული ბაკანი მოგვაწოდეს. მერე აგვიხსნეს, თუ
როგორ კეთდება კუსგან საფერფლე.

- თქვენ თუ იცით, როგორ კეთდება?
- არა?
- მაშინ, ჯობია, არ იცოდეთ.

კატა

ეს კი სრულიად გაუგონარი ამბავია: უკიდეგანო ტყეში, ახლომახლო მოსახლის ჭაჭანება რომ არ არის, სადაც მარტო მეცხვარეს თუ გადაეყრები, დიდ, აყვავებულ ცაცხვის ხეზე ბაწრით ყელგამობმული, ჩამოხრჩობილი კატა ეკიდა.

სამუშაო პალლი

ქალაქში, ჩვენი სახლის ეზოში რა ძალლს არ ნახავთ, პატრონივით გაპრანჭულს: თავმომწოდებელი დასეირნობენ ცისფერი პუდელები, მოჩითული დალმატინები, გარგლისფერი სპანიელები, იდიოტი პიტბულები... ძალიან თავმომწონე ძალლებს „ძიძები“ ასეირნებენ. ამ ნარჩევ საზოგადოებაში ერთადერთი ძალლია ყოვლად უჯიშო, უიმედოდ შავი, და ისიც სამფეხა. ოთხი ფეხის მაგივრად ოთხი წვინტლიანი პატრონი ჰყავს, ოთხი პატარა და-ძმა. არც ძიძა ჰყავს, თავსაც ვერაფრით მოიწონებს, მაგრამ ჩვენს ეზოში ყველაზე ლამაზი წითელი ყელსაბამი უკეთია, ბრჭყვიალა კოპლებით.

ჭუკები

ბაზარში, რომ იტყვიან, გაგანია სიცხეში, მწვა-
ნილის, ბოლოკის, ბადრიჯნის, კიტრისა და პომი-
დვრის რიგში უაზროდ გამოჩრილი გალია იდგა,
შიგ მისვენებული იხვების ნამატით. ჭუკები ერთ-
მანეთის კისრებზე თავმიყრილები იწვნენ და თვა-
ლებს ნაბავდნენ.

— გაიარეთ, გაიარეთ, არ გააღვიძოთ, ემ საათ-
ში ვაჭამე და ძლივას დავაძინე!

აქ დასაძინებლად თუ გასაყიდად მოიყვანა, —
ვიფიქრე — პატრონს ავხედე. ჭუკებს, მზეზე გა-
რუჯული, შრომაში დაბერებული, ჯმუხი შუა ხნის
კაცი ჰყიდდა.

პატკანი

ქალაქელები სამშობლოს მიწა-წყლის სანახა-ვად პატარა ავტობუსით ვარძიაში მიღიოდნენ. თა-ნამგზავრების ერთფეროვნებას ჩერჩეტი ბატკანი და ბელურისხელა ქალბატონი ასხვაფერებდა. გზა გრძელი იყო, ხან ამბავს მოყვნენ, ხან წაუძინეს, ხან კი ბატკანს ართობდნენ: სასაცილო ბანტი შეაბეს, „ჩორტიკა“ შეარქვეს და გასეირნებისას ერთმა-ნეთს ეცილებოდნენ, საბელს ვინ დაიჭერდა.

ვარძიაც მოინახულეს, გვარიანადაც მოშივ-დათ. საგზალი ამოალაგეს, კოცონი დაანთეს და მსხვერპლშენირვის დროც დადგა. ის იყო, ბატ-კანს ბანტი შეხსნეს, რომ ბელურისხელა ქალბა-ტონმა იაზრა რაშია საქმე, და არნახული ენერგი-ითა და ხერხებით ჩაშალა მხიარული ღონისძიება.

ნეტავი გამაგებინა, გზაში რას ფიქრობდა, — ბატ-კანი თამარ მეფის ფრესკის სანახავად მიჰყავდათ?



მახრა

დუნიაზე ყველაფერს თავისი მჭამელი ჰყავს. არც მიწისქვეშეთშია უმაგისობა. კარტოფილს მინაშიც ჰყავს მჭამელი, მაზალო სახელი ჰქვია — მახრა. ეგეთი, სქელი, ხოჭო-მატლია.

მოხუცმა ბოსტანში კარტოფილს შემოუბარა და დიდი, მსუქანი მახრა ამოაძვრინა. გვერდზე, თოხის ტარს ფეხზე არამყარად მდგარი შვილიშვილი ებლაუჭებოდა.

— მოკალი, — სიცილით თქვა მოხუცმა.

ჩვილმა მხოლოდ ორად-ორი გოგებაშვილისეული სიტყვა იცოდა.

— მოკალი, ფეხი დააბიჯე, — ისევ სიცილით აუხსნა მოხუცმა ახალფეხადგმულს.

ეს პირველი გაყრა იყო — სხვა ჭკუაზე აწყობილმა დიაცმა არც მახრას მოკვლა დაანება, არც ავ-კარგის გარჩევა.

დღეს მისი პირმშო ის კაცია, რომელსაც თავისი შვილი მორიელების სანახავად დაჰყავს.

ხვლივი

სოფლის სახლში ხვლიკი შემომძვრალა. ვინ იცის, როდის. მაგრამ რომ უნახავთ, ისეთი აურზაური ატეხილა — ვინ ტახტზე ახტა, ვინ კედელს გაეკრო, წივილ-კივილით ხომ იქაურობა აიკლეს. ერთი, დიასახლისი არ დაბნეულა, ზორბა, სქელ-ქუსლა, ფრჩხილებმაგარი დედაკაცი, და ერთიც — ჩია სტუმარი. ჩიამ ბარი მოიმარჯვა, კივილით და-რეტიანებული ხვლიკი ზედ შესვა და ეზოსკენ გა-აქანა. ხვლიკი კართან დაებერტყა, და ის იყო, გაქ-ცევა დააპირა, დიასახლისმა მიუსწრო და სქელ-ქუსლით მიწას დაასრისა.

ყველამ შვებით ამოისუნთქა.

ციყვი

ერთ შავტუხა ბიჭს მამამ შორიდან საჩუქრად, დიდბორბლიანი გალიით, ციყვი ჩამოუყვანა. ციყვი ველური იყო, ერთი წუთით არ ჩერდებოდა, თათებით ისეთი სიჩქარითა და გამნარებით ატრიალებდა ვეება ბორბალს, რომ „საფეხურებს“ ზედ ასკდებოდა და ცხვირი სულ დასისხლიანებული ჰქონდა.

ვიცოდით, დრო უნდოდა და მოშინაურდებოდა, მაგრამ პატარა ბიჭს შავი, წყლიანი თვალები კიდევ უფრო წყლიანი გაუხდა და ციყვი წინვოვანში გავუშვით.

ჩვენი ფანჯრების წინ დიდი ნაძვებია, ზედ ტოტიდან ტოტზე კუდაპრეხილი ციყვები დაფრინავენ.

ჩვენი ციყვი რომ გავუშვით, გაპუნული იყო, ახლა კი ყველაზე კუდფუმფულაა.



საშობაო ღორი

უცნაურ ქალბატონს კარგი მეზობლები ჰყავდა და და დიდი მოგრძო ტაშტი ჰქონდა, რომელშიც თავის ლიფსიტა შვილს აბანავებდა. ერთხელ მეზობლებს ტაშტი დასჭირდათ და, ისეთი ამაგიანები იყვნენ, უარი ვერ უთხრა. იმ დღესვე დაუბრუნეს გარეცხილ-გაკრიალებული.

უცნაურმა ქალბატონმა მერელა იკითხა, — რისთვის დაგჭირდათ?

მეზობლებმა: — საშობაო ღორის დასაკლავადო.

უცნაურმა ქალბატონმა ის ტაშტი იმ მეზობლებს თავზე დაახურა, კარი მიუკეტა და იმ დღიდან ხმა არ გაუცია. არც ბოდიშმა გაჭრა და არც აუწონავმა ამაგმა... ეს იყო და ეს.

ძალლი

ერთხელ მოუსვენარმა შორს, რუსეთის ჩრდილოეთში ამომაყოფინა თავი. კალენდრით ზაფხული იყო, იქ კი ჩრდილოეთის ჩრდილოეთში ჩვენებური თებერვლის ამინდი იდგა. ამინდი მიზეზად არ გამოდგებოდა, მაინც უნდა გევლო, და ერთ შორით-შორ ნასოფლარს მივადექი.

სევდიანია უკაცრიელი რუსეთი ცივ ამინდში. მიტოვებული სახლები, აჭედილი კარ-ფანჯრები, გადანოლილი ლობეები და ჭინჭარი, ჭინჭარი... დალლილი, გამურულ აბანოს ზღურბლზე მივჯექი და განურჩევლობის სიმშვიდე დამეუფლა. არც გამკვირვებია, როდესაც გამხდარი, გაუბედურებული ძალი კუდის ქნევით მომიახლოვდა, თვალებში ვედრებით ჩამხედა და ხელი ამილოკა. ყველაფერზე ეტყობოდა, დიდი ხანია ადამიანი არ ენახა და მონატრებოდა.

ჩემს „ბედნიერებას“ ერთი ეგლა აკლდა და დროზე გავეცალე. მერე, უკანა გზაზე, უკვე გემზე გამახსენდა, რომ ზურგჩანთაში საგზლად ძეხვის ნაჭერი მედო...

ზღარბი

უშფოთველი დღე იყო. თბილისში, ვერაზე, საბავშვო ბალის შენობის ნინ, ქუჩაში დიდი შავი მანქანები იდგა. საბავშვო ბალის ნინ, დიდი შავი მანქანების გარდა, დიდი სანაგვე ბუნკერიც იდგა, ირგვლივ მიზანს აცდენილი ნაგვით სავსე პარკებით. იქვე, სანაგვესთან, ქუჩაში, ასფალტზე, გულალმა, პატარა ზღარბი ეგდო. ოთხივე თათი და პატარა ცხვირი ცისკენ ჰქონდა აღმართული. ზედ დიდი ბუზი დასტრიალებდა.

მეორე პატკანი

მეორე პატკანის ამბავი გითხრათ. პატარა დაძმას დედ-მამამ თეთრი პატკანი მოუყვანა. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ყველაფერი იგივე პროგრამით განვითარდა: სიხარული, ბანტის შებმა, ცეკვა-თამაში, გასეირნება, რაღა თქმა უნდა, სახელის შერქმევა (ამ შემთხვევაში — ცუნცულიკა) და, ბოლოს, ჩაქაფული ან ჩანახი (ამ შემთხვევაში — ჩაქაფული). აბა ქალაქის ბინაში დუმიან ცხვარს ხომ არ გამოზრდიდნენ?! მოკლედ, ჩაქაფულის ჭამისას დედ-მამა ბავშვებს ზღაპარს უყვება:

— იცით, ბავშვებო, ჩვენს ცუნცულიკას დედიკო მოენატრა, დიდი გზა გავიარეთ, ყაზბეგში ჩავიყვანეთ, მეცხვარე მოვნახეთ, ცუნცულიკა დავუტოვეთ, მწყემსს ფული ვაჩუქეთ, კარგად რომ მოუაროს, და სამაგიეროდ სხვა პატკანი გამოგვატანეს საჩაქაფულოდ.

ბავშვებმა ყურადღებით უსმინეს, და მერე, თვითონ ცუნცულიკებმა, ერთხმად განაცხადეს:

— გაგიუებულხართ, რამდენი გივლიათ, რამდენი გიწვალიათ, აქ არ გყავდათ ეგ ცუნცულიკა, დაგეკლათ და მოგეთავებინათ საქმეო.

— რა საღად მოაზროვნე თაობა გვეზრდება, — შვებით ამოისუნთქეს ბედნიერმა მშობლებმა...

ძუკნა

ზამთარში შიმშილით სიკვდილს ძუკნა თავისი იშვიათი სიფხიზლის გამო გადაურჩა. ერთ მოსახლეს კი ჰყავდა საეჭვო ჯიშის მწევარი, მაგრამ ის ძალლი ხმას არ იღებდა და ძუკნამ ლუკმაც იშოვა და ადგილიც დაიმკვიდრა.


მაგრამ გაზაფხულზე მეტი მოუვიდა, თავისნაირი გაურკვეველი ფერის, მოყვანილობის და წყობის ლეკვები დაყარა.

— ერთი ძალლის ყეფიზა ხუთი რავა შევინახო, — სამართლიანად დაიანგარიშა მოსახლემ და ძუკნა თავის ლეკვებიანად ცხრა მთას იქით გადაასახლა.

— აგი ტყეი ვილისით გავარონიე, ჩემი წონა ბენზინი დავწვი, ანი მიყაროს კაკალი, — იმედი-ანად დაასკვნა ძიაკაცმა.

და, რა „გაუხარდებოდა“, როდესაც ძუკნამ ტყეც, ღრეც და ცხრა მთაც ბანდალ-ბანდალით გამოატარა თავისი ფეხზე არამყარად მდგარი შთამომავლობა და უკლებლივ უკან დააბრუნა.

ჯერ ზაფხულია. ზამთარი არ დამდგარა...



პუკა გოჭი

პუკა გოჭი თუ გინახავთ? თავის ტოლებში ყველა უკვე ან გაიზარდა, ან გაიყიდა, ან შეიჭამა. ამ უდღეულს გაზრდა ხომ არ უწერია, გაყიდვით კი — ფერ-ხორცით მოაწონებ ვისმეს, თუ ნერწყვს მოგადენინებს?

ერთი ხეირია — იჯექი და უყურე, სანაშენე ღორებს ფეხებში როგორ ებლანდება; ღობე არ არის, რო არ შეძვრეს, ხვრელი — რო არ შეეტიოს; არც უღელი შველის, არც დაბმა, იმხელაზე ჭყვიტინებს. გონი და საზრისი თავის სამყოფი აქვს, ბევრი არც რკო და სალაფავი სჭირდება.

არის და იქნებოდა ეგრე, მუდამ გოჭი, მუდამ ახალგაზრდა, მუდამ უბერებელი, მგელსაც რომ ადამიანივით არჩევანი ჰქონდა...

მგელი

შორს, ძალიან შორს, მდინარის აყოლებაზე დიდი ჩანჩქერია. უფრო წყალვარდნილი — ისეთი სიმაღლიდან და ისეთი ძალით ეცემა წყალი, ისეთი გამეტებით ეხეთქება კლდეს, რომ შეეფებში ვერაფერს დაინახავ. ახლოს მისული შევცბი — წყლის გუბეში, კლდოვანზე დანარცხებული მგელი ეგდო, უკვე იერშეცვლილი და უხილაო. ფეხი შეეშალა თუ უფსკრულის თავზე ანგარიში გაუსწორეს? რა გაუხსენეს, ორი ბებერი ძალი და მჭლე ბურვაკი?

თუ ის მგელია, მონადირეებმა ბუნაგში ლეპები რომ ჩაუხოცეს და აღარ ეცხოვრებოდა.
ვინ იცის...

შავი კატა

ახალგაზრდა ბიოლოგი და შავი კატა ერთმანეთს დასანახად ვერ იტანდნენ. ბიოლოგი საქართველოდან მოსკოვში თავის პროფესორთან ჩადიოდა, შავი კატა კი თავის სახლში ფეხმოუცვლელად ხვდებოდა. ჩამოსულს ჩანთაში, ფეხსაცმელში, ქუდში მოუსაქმებდა და, ვალმოხდილი, უტიფარ ყვითელ თვალებს უშტერებდა.

ამის მოთმენა შეუძლებელი იყო. დისერტაციაზე ხელს ვერ აიღებდი, ჩივილითაც ვერაფერს გახდებოდი — პროფესორს შავი კატა სამუშაო მაგიდაზე თილისმასავით ეწვა.

და ერთხელაც, უკანა გზაზე მოსკოვიდან, ბიოლოგმა ასპირანტმა კატა გამოიტყუა, თვალები აუხვია, ჩანთაში ჩატენა, მატარებლით როსტოვამდე ამგზავრა და იქ მოისროლა ფანჯრიდან.

შემდეგ ჩასვლაზე განალდებულად შეაბიჯა პროფესორის კაბინეტში... საწერ მაგიდაზე გათხლაშული შავი კატა იწვა და უტიფარ ყვითელ თვალებს უშტერებდა.

ასპირანტი ვიწრო სპეციალობით ზოოფსიქოლოგი იყო.



შპრალო ქალები

დიდი სახლის წინ, ქვაფენილზე ადგილი დაიმკვიდრეს დაწყვილებულმა ქალმა და ძალლმა. ყოველთვის ერთად, ყოველთვის ერთნაირები, უსახურები, თავჩაღუნულები, კედელს აკრულები ისხდნენ. ჩაძინებულები გეგონებოდა, კონსერვის კოლოფში ხურდის ჩხრიალზე ქალი თავს რომ არ გიკრავდეს, ძალლი კი თვალს არ გაყოლებდეს... თავმოყრილი ხურდა ჭიქა ღვინოს და პურის ნაჭერს ჰყოფნიდა, მეტი არც უნდოდათ.

ეს ბოლო ხანია, ძალლი მარტო მოდის, ქვაფენილზე წვება, თავს ჯვარედინად დაწყობილ თათებზე დებს და გამვლელ-გამომვლელს თვალს აყოლებს...

პუდელი


შავი პუდელი ცირკიდან გამოაგდეს. მანანნა-ლა ძალლებს შეერია და ისე გაუბედურდა, რომ პუდელს ალარ ჰეგვდა. ძვლებზე გაუჩეჩავი მატყ-ლივით ეყარა ბეწვი. მაგრამ ერთხელ მაგასაც გა-უღიმა ბედმა — გულჩვილმა ქალბატონმა შეიფა-რა. ახლა პუდელს ბენუამენი ჰქვია, თერთმეტ-სართულიან სახლში ცხოვრობს და სავარძელში სძინავს. ჭკვიანი და მშვიდია, უცებ, რაღაცის გახ-სენებაზე, გიუივით წამოვარდნა რო არ იცოდეს. სავარძელს მურდულივით მოსწყდება, წინა ფე-ხებზე შედგება, წელში გაიზნიქება და მთვარეუ-ლივით დადის მაგიდის ირგვლივ. ასე ივლის წაქ-ცევამდე, ვიდრე ტაშს დაუკრავდნენ. მერე, თით-ქოს წამძინარევს, გამოელვიძება და დარცხვენი-ლი სავარძელს მიუბრუნდება.

ნეტავ ვიცოდე, ცირკიდან ვინ გამოაგდო?

დათვი

დათვი ბუნებაში ერთხელ ვნახე. მთიდან ბურ-
თივით დამრგვალებული მოგორავდა. ჩვენთვის
ზედაც არ შემოუხედავს და ტყვიასავით გვერდზე
ჩაგვიქროლა. ვერც მიშის, ვერც სხვა რამის შეგრ-
ძნება ვერ მოვასწარი. შეიძლება ამიტომაც ვიჩუ-
ქე და შინ მოვიტანე კავკასიური დათვის ტყავი,
დაჭყეტილი შუშის თვალებითა და დაკრეჭილი
კბილებით. მშობლებთან ვცხოვრობდი და, ალ-
ბათ, მეც მქონდა უფლება ჩემს ოთახში დათვის
ტყავი დამეფინა, და დედაჩემსაც ჰქონდა უფლე-
ბა, არ მოეთმინა თავისი შვილისგან, თავის სახლ-
ში ის, რისი მოთმენაც არ შეეძლო. ყველაფერი
იმით დამთავრდა, რომ დღესაც არ ვიცი, ის ტყავი
რა იქნა.

შეიძლება ამიტომ, როდესაც დღეს, ჩვენში,
ვხედავ ქალაქებით სასადილოებთან რკინის გა-
ლიაში მომწყვდეულ დათვს შექეიფიანებული
ოხუნჯები მოკიდებულ სიგარეტს როგორ აწვდი-
ან, დედაჩემი მახსენდება და ნაგვიანევ ბოდიშს
ვუხდი.



ძროხა

საინტერესოა, რა ფიქრი დაგეუფლებოდათ, ჯავახეთის იალაღებზე რომ მოხვედრილიყავით.

იალაღები — ზღვა, ბალახი და ყვავილები — წელამდე, სილამაზე არნახული და ამ სილამაზეში ჩვენებური ტანმორჩილი ძროხები ნებიერად ძოვენ.

არა, აქაც ჩვენი „ცივილიზებული“ მეგობრები აწონ-დაწონილ, ჭურის დასარიგებელ რჩევებს იძლევიან.

თურმე ძროხამ თუ არ იარა, ენერგია ენახება და სასწაულებრივად მალე, ასევე სასწაულებრივად სუქდება. ამიტომ უნდა მოვამწყვდიოთ „გაუნძრეველ“ ბოსელში, თავით კედლისკენ, უფანჯროდ, დღელამურად გავუნათოთ, რომ არ ეძინოს, ოცდაოთხი საათი ცოხნოს „კომბიკორმი“ და ერთ თვეში ერთი ტონა ცოცხალი ხორცი შენია.

შესაძლოა ასე სჯობდეს, სხვა საშველი თუ არ არის...

ორი ძროხა

ჩვენს სოფელში ორი ძროხა გაიგუდა — დაიხ-
რჩო: ერთმა კომში ჭამა, სიხარბით ყლაპა და სა-
სულეში გაეჭედა. ხრიალში დალია სული.

მეორემ უკომშობის დროს ცელოფანის პარკე-
ბი ყლაპა. იგივე მოუვიდა.

კომშები გავწყვიტოთო, ენა არ მოგიტრიალ-
დება, აზრადაც არ მოგივა.

მაგრამ პარკები? ცელოფანის?? ტყეში???

ნეროები

ნეროებს იშვიათად ვხედავ. ან თუ ჯავახეთში მოვხვდი ნეროების ბუდობის დროს, ან თუ ჩემი ოდის თავზე ისრისებური მწკრივით გადაიფრინეს.

ჯავახეთში სახლების, საბძლების, ბოძების თავზე ბუდობენ. დიდი ტოტებისაგან აშენებულ ბუდეებში დგანან, ერთმანეთს ჰყვარობენ და, ხალხის რწმენით, იმ სახლში ბედნიერება მოაქვთ, რომლის თავზეც დაიბუდებენ.

ჩემი სოფლის თავზე კი ხიფათში არიან — მოძრავი მიზანი ცუდის აღმძრავია. თუ თოფმა არ გაისროლა, ჩვენგან სამშვიდობოს არიან, სხვაგან კი...

საინტერესოა, მსროლელს სნაიპერის უინი არ ასვენებს თუ იმ ოჯახს უსწორდება, სადაც ბედნიერება უნდა დაბუდებულიყო?



თაგვები და ხვლიკები

ჩემი მოუსვენარი ძალლები მთელ დღეებს ნა-
დირობაში ატარებენ.

შედეგი? — კარებთან მწკრივად ჩაწყობილი,
გაბრტყელებული თაგვები, ხვლიკების მოფარ-
თხალე კუდები.

თაგვები სახეზეა, ხვლიკებმა კი ფანდი იხმა-
რეს. მოფართხალე კუდები შტერ მონადირეებს
შეატოვეს, თვითონ კი ალბათ ახლებს გაიზრდიან.

მე კი ვდგავარ, არ ვიცი, რაზე მეღიმება, რა
მწყინს, და ყოველთვის მახსენდება თომას მანის
მოთხრობა „პატრონი და ძალლი“. წაიკითხეთ, თუ
ხელში ჩაგივარდათ.

ქალლები

ვის როგორ აეწყობა, როგორ ბედში მოხვდება. რას არ ეგუებიან ყურშები და მურიები, სად არ ცხოვრობენ! იმპერატორის სასახლის ტახტიდან მოყოლებული: სახლებში, სავარძლებზე, ლოგი-ნებში, ნოხებზე, კალათებში, ბალიშებზე, მუთა-ქებზე, სადარბაზოებში, ჯიხურებში, გალიებში, სხვენებზე, სარდაფებში, გარაუებში, ეზოებში — სიმზე გამობმულები, საბელით მოქაჩულები, სუ-ლაც ქუჩაში გაგდებულები... და ბოლოს — ძალლი ვნახე ხის კასრში, კასრის სარტყელზე რკინის ჯაჭვით დაბმული. დიოგენე გამახსენდა. ხუმრო-ბის თემა თავისით მოვიდა, მაგრამ არ მეცინებო-და.

მგელი დამიტ

თოვდა. გზა აღმართში ტყედ მიდიოდა. ლამის უკუნეთს მანქანის ფარები არღვევდნენ. შუქის ნაკადში მგელმა გადაირბინა, შემფრთხალმა, შე-შინებულმა.

მანქანიდან დანახული რა ცოდვაა...

მინდვრის თაგვი

შემოდგომის გარინდულ დილას, ოდის ძირში
მდგარ ტაშტში, სახურავიდან ჩამონაჟურ წვიმის
წყალში პირქვე თაგვი ეგდო, გვერდზე თხილის
კაკალი ტივტივებდა.

რა ცოტა უნდოდა პატარას...

შაშვი

— შენც გაუთიბავში ზიხარ?! — იკითხა გო-
გომ.

— დამეზარა, ბილიკები თავისით გაიტკეპნა,
იქეთ საქმე არა მაქვს, იყოს, რას მიშლის, მოშენე-
ბულ ბაღნარს რითი არ ჯობია, ნახე რამხელა სა-
რეველაა.

— ქვედა ეზო მეც გაუთიბავი დამრჩა. ცელი
მოვიქნიე, ვხედავ მიყურებს შავად შემოვლებული
თვალი, შეშინებული. შაშვი იჯდა ბუდეში, ბარ-
ტყებს ზრდის. შემეცოდა.

ჩემს მეგობარს ცისფერ თვალებზე ცრემლის
მოძალებამდე უყვარს გოდერძი ჩოხელი.



პიდევ ერთი ქაღლი

ჩვენი სოფლის ახვარმა დღისით, მზისით, წყაროსთან, სადაც ბავშვები თამაშობდნენ, თოფის გასროლით ძალლი მოკლა. რატომ და რისთვის, მაგაზე არ არის ლაპარაკი.

პატარა და-ძმას ენა ჩაუვარდა, ბიჭს კრუნჩხ-ვები დაეწყო, წყალი იქვე იყო, ასხეს, დედამ შინ წაიყვანა, მოუარა. მეორე დღეს ბიჭის დაბადების დღე იყო. სტუმრები ჰყავდათ. დედამ ძალლის მკვლელიც დაპატიჟა. ფრთხილი, მშვიდობის მოყვარე ქალი იყო.

უარესი არ ქნასო.

უარესი რა უნდა ექნა?

ცხენი

ულაყი ცხენი ბოსტნის ვიწრო შემოლობილში მოამწყვდიეს. ღობის გადაღმა დიდი, მწვანე ველი იშლებოდა. ვერ ისვენებდა ცხენი, დღე და ღამე ერთი და იმავე მიმართულებით წრეზე დარბოდა. წამით შეჩერდებოდა, ღობეზე აცოცებულ კვახის ლერწებს მოგლეჯდა და, ისევ კორდაზე გამობმულივით, წრეზე დარბოდა და დარბოდა.

მოსწყინდა ცხენს, სიჩქარის ქარი მოენატრა, ერთი ამოიფშვინა და ღობის ფიცრულს გადააფრინდა. ამოჩრილმა ფიცარმა მუცელი სიგრძივ გაუფატრა, და ნაწლავები ზედ ჩამოაყრევინა.

...ფრთები მხოლოდ მერანს აქვს.

ორი ძალლი

ორი ძალლი ვიცი, ორმოში ჩავარდნილი: ერთი ორმო სოფლის ჭა იყო, მეორე კი ქალაქის ორმო, ორმოდ დარჩენილი. ჭაში ჩავარდნილ ძალლს წყლის დალევა არ აცალეს, წამი არ დააყოვნეს, ჭა გადაარჩინეს, და ძალლიც გადარჩა. მეორე კი თითქოს უფრო მომგებიანში, მშრალში ჩავარდა, მაგრამ ორმო ღრმა იყო და მიწა ფხვიერი. ჭკუი-დან გადამდგარს დიდხანს ყმუილი არ მოუწევდა, ერთ ქალს, სამსახურში მიმავალს, ყოველდღე ორმოსთან საჭმელი რომ არ მიეტანა და არ ჩაეგ-დო. უზომოდ ენერგიული ქალი იყო, უთუოდ ქვე-ყანას შეძრავდა და იმ ძალლს უშველიდა, მაგრამ ეს როდის და როგორ მოხერხდა, არ ვიცი.

ახლა ის ქალიც ცოცხალი აღარ არის, კაცმა რომ ჰკითხოს.

ტაქსა

ქუჩაში სასაცილოზე სასაცილო ტაქსა თავის კუდს დასდევდა, გულმა არ მომითმინა, მივეფერე.

— მოგეწონა? წაიყვა, შენი იყოს! — მომაძახა პატრონმა. იქვე მჯდარა და ბავშვი ეკავა ხელში.

— როგორ, წავიყვანო? მეხუმრები? შენი არ არის?

— ჩემია და იმიტომ გაძლევ.

— ასე იოლად? რამდენი წელია რო გყავს?

— ხუთი წელია, ახლა კი შვილიშვილი შემეძინა და, თუ წაიყვან, წაიყვა, თუ არა და, მაინც გავუშვებ.

— კი მაგრამ, ხუთი წელია გყავდა... ეს პირველი ძალლია, რო გყავს?

— არა, ბევრი მყავდა.

შვილიშვილიც ბევრი ეყოლებოდა...

ხომ არავის შეგხვედრიათ ტაქსა, თავის კუდს რომ დასდევდეს?

სიამის პატა

ამრეზილი ტიპი ბოლმა პიტბულს საბელით სკვერში ასეირნებდა. იქვე, უზურგო სკამზე სიამის კატა გვერდებს ითბობდა. ბოლმამ კატის დანახვაზე გაიწია, პატრონმა ცბიერად საბელი მოადუნა, და...

ხუთმა კაცმა ძლივს ააგლიჯა კატა ძალლის თავს ძალლის თვალიანად. პატრონი და ძალლი ერთხმად კიოდნენ.

— რა გაკივლებს, რო უქსევდი, რა გეგონა? — გამოესარჩლა კატას თურმე იქვე მდგარი კატის პატრონი.

— შენი თუ იყო, ვერ გააჩერე, შენი... — მუშტების ქნევით ახლა ძალლის პატრონმა გაიწია.

— შენი ძალლივით არაფერი შეგეშალოს! — უპასუხა „სიამის“ პატრონმა, და მშვიდად ჩაიწყო ხელები შარვლის ჯიბეში.

სულხან-საბას იგავ-არაკივით გამომივიდა. მორალი დღესაც იგივეა.

ფოქსტერიერი

პატარა მდინარის პირას კაცი თავის ფანდორა ფოქსტერიერს წვრთნიდა. ჯოხს მონახავდა, მდინარეში გადააგდებდა და „ფანდორ! აპორტ! აპორტ!“-ს — გაიძახოდა. ფოქსტერიერი მონარჩენი კუდის კანკალით გაუნძრევლად იჯდა და შიზოიდური ოპტიმიზმით პატრონს თვალებში შესციცინებდა. ან უცხოური არ ესმოდა, ან ცეტი იყო. იქვე, მდინარის პირზე კაცის ცოლიც იყო წამონალილი. „აპორტ, აპორტი“ რო მობეზრდებოდა, წამოხტებოდა, გამდინარე წყალში ნაფოტს დაეწეოდა, ამოიტანდა და ფანდორას ცხვირში ჩასჩრიდა.

— აუ, ჩვენში ცოლების წვრთნა რომ მოდიოდეს, შენი ფასი კაცი არ იქნებოდა! — გაელაზღანდარა მეზობელი. ურჩი ცოლის პატრონი იქნებოდა...

კალიები

პატარა ლორმუცელა, მსუნაგი ძაღლი ისე გა-
სუქდა, რომ დიეტაზე დასვეს. არაფერი ეშველა
მის ტანწერნეტობას — ახლა კალიების ჭამაზე
გადავიდა. სასეირნოდ მინდორში დადის, იქ კი
ქვეყნის კალიებია. ერთხელ არ დავიზარე და და-
ვითვალე — 87 კალია შეჭამა, რაც გამომაპარა,
ისიც ხომ შეირგო. კალიას რომ დაინახავს, ჩაუ-
საფრდება, დაახტება, ზედ თათს დაადებს, მერე
შემზარავი ხრაშა-ხრუშით მიირთმევს.

ალარ ვიცი, რა ვუყო: კალიების ჯავრით ისევ
მე ვაჭამო, კალიები ჭამოს, თუ არც ჭამოს და არც
ისეირნოს?!

ისე, გამიგია, აფრიკაში ტომია, კალიებს
ცოცხლად ჭამენ. ჩემი ძაღლი იმათი ნასწავლი არ
იქნება, კახეთიდან არის, იქ დაიბადა.

ლამურა

ოთახს ვგვიდი. აგურის იატაკზე წრუნუნა დავინახე, ჩემი ძალლის „ნავაუკაცარი“ მეგონა. ცოცხი და აქანდაზი მოვიმარჯვე, და კინალამ ორივე ხელიდან გამივარდა — პატარა, თითისტოლა საცოდაობამ უცებ პირი დააფჩინა, ფრთები გაპარჭყა, გაიფხორა და დამისისინა. გული ამიჩქარდა. ცოცხალია! ღამურაა! რამ ჩამოაგდო იატაკზე, თავდაყირა ძილში ძალა ხომ არ გამოეცალა? თუ ჩვენი ბრალია რამე? ცოცხალია! დღისით უსუსური, ღამითაც რისი მაქნისი. ბუნების ახირებას ხომ საზღვარი არა აქვს: წრუნუნასავით ბანჯგვლიანი, მუხლუხო ჭიის თავისოდენა თავი, მუხუდოსოდენა დაცევეტილი ყურები, ბატის ფეხებივით აპეიანი ფრთები, და ეს ყველაფერი ჩვილი ბავშვის ხელისგულზე დაეტევა!

ფრთხილად შემოვდე აივნის კარადის თავზე. ერთხელაც დამისისინა, „შემაშინა“ და ისევ დაიძინა.

ამ პატარა მოკუმულმა სიცოცხლემ მართლა ისე როგორ შეაშინა ის პირველი ადამიანი, რომელმაც სამაგიერო გადაუხადა და „ბნელეთის მოციქულებში“ გაამწესა.

ნეტავი ხვალ დილით აივნის კარადის თავზე არ დამხვდეს.



სხვა ზღარბი

მეორე ზღარბი მშენებარე სახლის ორმოში ჩავარდნილიყო, ერთი ბეწო, უსუსური. სიკეთემ ამოიყვანა და მოსავლელად მოგვაბარა. მუშტი-სოდენას ტანზე ეკლებს შორის ქვეყნის მატლები დასეოდა. დავბანეთ, რძე წვეთებად ვასვით, ბრინჯისოდენა მატლებს სათითაოდ ვაცლიდით, რბილ ბუდეში ჩავაწვინეთ, მაგრამ ვერაფერი ვუშველეთ...

მერე პატარა აკვარელის კოლოფი მოვურგეთ, ლამაზი ზორტებით შევკარით, და მინდვრის ყვავილები დავაყარეთ.

ანკარა

სოფლის განაპირას, დიდ, ძალიან დიდ მინდორზე ბილიკია გატკეპნილი კარგ ამინდში სასეირნოდ. კარგა ხანს მინდვრის დასაწყისში, ერთსა და იმავე ადგილას, ბილიკს ზანტი ზლაზვნით მოზრდილი ანკარა გვიღობავდა. ჯერ შეჩერდებოდა — ჩაფიქრებული, მერე, ეტყობა, მოვენონეთ, შეგვეჩვია და ნდობით ჩვენსკენ მოიგრავნებოდა. გვეგონა, გვცნობდა და გველოდა. მერე წვიმიანი დღეები მიყვა და, როცა ისევ სასეირნოდ გავედით მინდვრის დასაწყისში, იმავე ადგილას, ჩვენი ანკარა ქვით თავგაჭეფყილი დაგვხვდა.

ნეტა ჩვენს მოლოდინში გზაზე ასე უიღბლოდ ვის გადაეყარა?

სპილო

მოხუცი ფანჯარასთან იჯდა. ბევრი წელია „მცენარეული“ ცხოვრებით ცხოვრობდა. სადაც დასვამდნენ — იჯდა, დაანვენდნენ — იწვა, აჭ-მევდნენ — ჭამდა. ვერავის ვერ ცნობდა, ხმას არ იღებდა, სიტყვას არ ამბობდა — ყრუ სკლეროზი ჰქონდა, ფანჯარასთან იჯდა, ფანჯარას უსი-ცოცხლო მზერით მიჩერებული.

უცებო, ვერც იტყვი, იმდენად მშვიდად და მკა-ფიოდ წარმოსთქვა:

- სპილო.
- სპიილო, — უემოციოდ გაიმეორა.
- სპიილოო.

ოთახში შემოსულმა შვილმა ყურებს არ დაუ-ჯერა. შემცბარი მოხუცთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, ფანჯრისკენ მზერას თვალი გააყოლა.

პლეხანოვის პროსპექტზე (ან დავით ალმაშე-ნებლის) უზარმაზარი სპილო დინჯად მოაბიჯებდა. მოკაუჭებულ ხორთუმზე მომთვინიერებელი ეჯდა, უკან მეორე მოჰყვებოდა. ცირკის სპილო ყოფილა, თბილისში გასტროლებზე ჩამოსული. „სამსახურში“ მიდიოდა.

ექვსი კუ

თბილისის შემოგარენის ტბას — კუს ტბას — კუს ტბა ტყუილად არ ჰქვია. ნამდვილად ბევრი კუ არის ტბის ირგვლივ ფერდობზე. ასე რომ, ექვსი კუ ერთად მწკრივში მიწოლილი, დიდად გასაკვირი არ იქნებოდა, ექვსივე გულალმა, ზურგზე რომ არ წოლილიყო. ზოგი ფეხებს ასავსავებდა, ზოგი კისერს იგრძელებდა, ერთი კი გაუნძრევლად, იმედდაკარგული იწვა. რომელილაცა ბუნების ტრფიალმა მოიცალა, ექვსი კუ მონახა, თავი მოუყარა, ამოაყირავა, მაგრამ მოთმინება არ ეყო თვითონ სულსწრაფს, ბოლომდე მოეცადა და ეყურებინა ექვსივე კუ რიგრიგობით როგორ დალევდა სულს. ეჩქარებოდა...

ექვსივე სათითაოდ გადმოვაბრუნეთ, ბაკნები გავუნმინდეთ და მოთმინება ვიქონიეთ დაგვეცადა, ვიდრე ბარდებში გაუჩინარდებოდნენ.

თავლა

თავლაში სკამის სანახავად შევიარე. გაგეცინებათ, მაგრამ „სკამი“ სკამი კი არ არის, ცხენის სახელია. ჩემი სკამი სწორედ ისეთი ცხენია, როგორი ცხენოსანიც ვარ. „სავარძელიც“ რომ რქმეოდა, მეტი არ მოუვიდოდა, ისეთი საიმედო დამყოლია, ცოტა ზარმაციც და ზანტიც.

ორი პატარა ძალლით ვიყავი, დაცვით, ასე ვთქვათ, ყეფის მეტი არაფრის შნო რომ არა აქვთ. ამათ გამოჩენაზე ცხენებმა სადგომებიდან თავები გამოყვეს და დიდრონ თვალებს ინტერესით გვაყოლებდნენ. სკამი თავლის ბოლოში იდგა, უცებ შეამჩნევდი, თეთრ „არაბებში“ ერთი იყო, ოდნავ მოყავისფრო.

— შეხედე, ჩარას კვიცი ეყოლა, ორი კვირისაა,
— ყურადღება მიმაქცევინა ალეკომ.

ჩარა გვერდზე მედგა. გაბურძგნული კვიცი აწონილ ფეხებზე ყანყალებდა და დედას ეკროდა. ჩარა უნდოდ გვიყურებდა და შვილს ხაოიანი ენით ქეჩოს ულოკავდა.

— ბაბის ნუ გეშინია, ორი დღეა ლეკვები დაყარა და შენი „ვირთხებისთვის“ არა სცხელა, — ისევ ალეკომ დამამშვიდა. ვირთხებად ჩემი ძალლები მონათლა, ბაბი კი მგლისფერი კავკასიური ნაგაზი იყო, ჩვენი ძველი ნაცნობი.

— ლეკვები თუ ყავს, უფრო არ გამნარდება?
— შიშით ვუპასუხე.

— მეტი რაღა გაამნარებს, სამი დღეა არ ჭამს, არ სვამს, ლეკვები მკვდარი გაუჩნდა. გაჭენებულ ცხენებს დასდევს, კუდზე ეკიდება და აბა რა მოუვიდოდა.

— რამდენი ჰყავს?

— არ ვიცი, ახლოს არ გვიშვებს. აი იქ არის, ჭილოფის მოფარებულში.

შევიხედე. თივაზე ბაბის უსიცოცხლო კუდი იდო, თავი კი, წინა ფეხებით წაფარებული, თივაში ჰქონდა ჩაყოფილი. გული დამიმძიმდა. სკამაძე აღარ მივედი და თავლიდან გამოვბრუნდი. საძოვარზე შევჩერდი, საით წავსულიყავი, ვფიქრობდი. უცებ საჯინიბოს კარი გაიღო და ალეკომცხენები იალაღზე გამორეკა. ჯიშიანი ცხენები ერთიანად ჭენებას იწყებდნენ. ჩარა და კვიცი ბოლოს გამოვიდნენ, კვიცი შეტორტმანდა და კუდის ქნევით დედას აუწყო ფეხი. ულამაზესს რას ნახავდი!

ჩემს ძალლებს მოვქაჩე და ტყისკენ გავუდექით.

კოდალა

ჩემი სოფლის სახლი იჭმევა. დიახ, იჭმევა — ხისაა და ჭია ჭამს. ღრიფინ-ღრიფინი გაუდის, თუ მადაზეა. სიცხეში ტკაცუნობს, შრება, იკლებს და ღრიფოები უჩნდება, ზამთარში ნესტისგან უიუინდება და კარს ვერ გაალებ. მოკლედ, ცოცხალია. მე ხელს მაძლევს, მომწონს შესაჭმელ სახლში ცხოვრება. შესაჭმელი სახლი ჭიებსა და ჩემს გარდა კოდალებსაც მოსწონთ.

ყოველდღე შემოვლა-შემოფრენაზე არიან კარგი ექიმებივით. სიმწრით ურახუნებენ თავს ბოძებს, ძელებს, კარ-ფანჯარას. მერე ყურს უგდებენ, თუ ფუტუროს ხმაა, ესე იგი — ჭიაა დაბუდებული და, თუ არ დააფრთხე, არ შეეშვებიან, იმ ჭიას ამოათრევენ და მიირთმევენ კიდეც.

ექიმია კოდალა ჩემი სახლის, აბა რა ვთქვა! მკურნალობს, რომ ბოლომდე არ შეიჭამოს, ნახერხად არ იქცეს, რომ არ გაქრეს ჩვენში ოდა-სახლები...



ლაპრადორი

ახალგაზრდა, ტკბილი ოჯახი გაიყარა, მჯობნის მჯობნი არ დაილევა... ქონება, დიდძალი არა, მაგრამ თავისთვის მოასწრეს, ზომიერად მოაქუჩეს: დებეტი, კრედიტი, ბანკი, სესხი — ისე რომ გასაყოფი შეექმნათ. ქალმა თავისი არაფერი არ დატოვა, საზიაროც არ დასთმო - ყველაფერი გამოისყიდა ქმარყოფილისგან; ფულზე მორიგდნენ. შვილი არ ჰყავდათ, ძაღლი ჰყავდათ, თეთრი ლაპრადორი, ციჟულია-ს ეძახდნენ. „სინულია“, ერთი იყო, მშვიდობიანად რომ შერჩა ქმარს. ქალმა სამაგიერო თეთრი ლაპრადორი უცხოეთიდან გამოიწერა.

რა დაარქვა, არ ვიცი. არც ის ვიცი — ძუ არის თუ ხვადი.

ციცინათელა

ყველაფერს თავისი მეცნიერული ახსნა-გან-მარტება აქვს: სიყვარული — ჰორმონებისაა, შეში — ადრენალინის, დაუნდობლობა — ალბათ, ვი-ტამინების მოჭარბების, ნათება — ელექტრობის, ციცინათელას შემთხვევაში — ფოსფორის. მაგ-რამ ზოგჯერ როგორ არაფრის დაჯერება არ გინ-და...

ღამის წყვდიადში, ცის კაბადონის ამარა მიტო-ვებულს, გინდა გჯეროდეს, რომ მარტო არა ხარ, რომ პატარა ციცინათელა გზას შენ გინათებს...

ნემსიყლაპია

— შეხედე! — ფერმკრთალი გოგონა მძინარეს თავზე დამადგა. თვალები გავახილე. გოგონას სუსტ, გაშლილ ხელისგულზე მწვანე, ზურმუხტისფერი პატარა ფოთოლი ედო.

— ამის გულისთვის გამალვიძე! ფოთოლი არ გინახავს! — უკმაყოფილოდ ჩავიბურტყუნე.

— შეხედე, შეხედე, აბა რა არის?!

თვალები დავქაჩე და ჩემი გავიმეორე:

— ფოთოლია, კარგი, ავდგები.

— ნუ ადგები, უბრალოდ მითხარი, ეს ვინ არის?

ცხვირზე სათვალე წამოვიცვი — ფოთოლს ძაფისებრი წანაზარდები ჰქონდა, თვითონ ფოთოლზე, საძარღვე მკრთალი ხაზები. თითო შევახე, ძაფები ამოძრავდნენ (ფეხები ყოფილა!), და მერელა მივხვდი, რომ რაღაც უცნობი სახეობის მწერია.

— ალბათ, ნემსიყლაპიაა.

— ნემსიყლაპიას გამჭვირვალე ფრთები აქვს, ეს კი გაუმჭვირვალე მწვანეა. რაღაც სხვა იქნება.

— ის უფრო ჰაერში ცხოვრობს, ეს კი, ალბათ, უფრო გაზაფხულის ფოთოლზე. მიმიკრიაა.

— მიმიკრია?

საბოლოოდ გამოვფხიზლდი და მიმიკრიაზე ლაპარაკს შევყევით.

დილა დაინყო.

ნოუზენა

თაგვი ვის არ უნახავს, ბანალურზე ბანალური, ადამიანის მოუსპობელი თანმდევი. სოფლად ხო აკლებული ხარ — სახლებში, საბძელში, საკუჭნაოში, სხვენზე, ბატონო, და სახურავში, ძილს რო არ განებებს, ეზოში, მინდორში, სკივრში, კარადაში, უჯრაში, საპურეში, ლოგინში. მოკლედ, სად არა! ქალაქშიც, რკინა-ბეტონში საკმარისად ჩაგმანული თუ არა ხარ, ხრიკს მონახავს და უადგილო ადგილას ცურცლებით თავს შეგახსენებს. აი, საჯაროდ, შუა ოთახში იატაკზე მაცხოვრებელი თაგვი კი ერთხელ ვნახე. თაგვი კი არა, უფრო წრუნუნა, დაუჯერებლად პატარა, ღოღნოშოს ხელა. კუდი რომ არ ჰქონოდა გამობმული, ვერ იფიქრებდი მაგის თაგვობას. შუა იატაკზე გაუნძრევლად იჯდა, თუ კუდზე მოუცაცუნებდი, მაშინ დაიჯერებდი, რო ღოღნოშო კი არა, წრუნუნაა, თანაც ცოცხალი — ხტუნვას იწყებდა, და ისევ შუა ოთახში ჩერდებოდა. თუ კუდზე ქიცინს გაუგრძელებდი, მაცივრის უკან იმალებოდა და იქ იჯდა. ბავშვები სამარილეში რძეს უსხამდნენ, სათითურში კი — არაუანს.

ერთხელაც სამარილეც და სათითურიც დაუცლელი დახვდათ. წრუნუნა ან ავად იყო, ან დაიკარგა, ან შეიძლება უცებ გაიზარდა...



ზანზალაკეპიანი ძროხები

მოაგარაკეების სოფელში ერთმა ახალგაზრდა კაცმა ძროხები გაიჩინა. დღისით ხელოსნობდა, სახლებს გვიშენებდა, საღამოსკენ კი, ქანცგამო-ლეული, ძროხებს ეძებდა.

შვიდი ძროხა ჰყავდა. შვიდივე ბოდიალა. ხან ტყეში იბნეოდნენ, ხან მდინარის პირზე მისვენდე-ბოდნენ. ძროხას ბოსელში ბოჩოლა თუ არ ელო-დება, დაბრუნება ეზარება, სადაც დაუღამდება იქ ან გაუთენდება, ან არა... კაციც ხშირად ეგრე გა-თენებამდე ეძებდა. ბოლოს იაზრა, ან უფრო არ დაიზარა და შვიდივეს ზანზალაკები დაჰკიდა. სამს, ნამდვილი, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, და-ნარჩენებს კი, რაც ხელში მოხვდა — ერთს კონ-სერვის კოლოფი, მეორეს — რკინის „კრუუკა“, მე-სამეს — გახვრეტილი ჩაიდანი შიგ ჩაკიდებული კოვზით, და ბოლოს, ამოტრიალებული სოფლუ-რი, „ენიანი“ პირსაბანი. სანახავადაც ღირდა და მოსასმენადაც. სოფელს ერთად რომ ჩაუვლიდ-ნენ, ზანზალაკების „შვიდკაცა“ ზოგჯერ ისე შეხ-მატკბილდებოდა, რომ სახლში დაბრუნების და დაპურების სიხარულით გათბობდა.

ახალგაზრდა კაცს ცისფერთვალება გოგო უყ-ვარდა, დიდხანს და უიმედოდ. ერთხელაც, დალ-ლილ გუნებაზე, იფიქრა, მანქანიანს იმედი უფრო მექნებაო, და ძროხები გაყიდა. ჩვენს სოფელს შე-ღამებისას, ზანზალაკების ხმა დააკლდა. სამაგიე-როდ, კიდევ ერთი გაუმართავი მანქანის ღრჭია-ლი შეემატა. უიმედობა კი ისევ დარჩა...

ჭრიჭინა

გალაკტიონის ლექსისა არ იყოს:

**ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული?!**

თუ სახლში ჭრიჭინა არ გყოლია, სახლი რაა, რაა საფარი, ბოლომდე ვერ შეიგრძნობ.

ჭრიჭინა თურმე ძალიან შეუხედავი მწერი ყოფილა, მაგრამ ხმა აქვს! შუალამეს თუ დასცხო, ძილი არ გინერია, იჭრიჭინებს, სანამ არ გაგაყრუებს. მე შენ გეტყვი, ხმაზე მიაგნებ და მონახავ. არა, მის ჭკუაზე უნდა იარო და, სანამ შენი სახლი არ მოპეზრდება, მისი სოლო კონცერტები ისმინო. სამაგიეროდ, რო ჩუმდება, როგორი მყუდრო ხდება სახლი, როგორი უძირო სიჩუმე ისადგურებს, როგორი არაამქვეყნიური.

პუზები

ჩემს მეგობარს, კოხტა ქალაქელ ქალს, მწყობრი, ჩამოყალიბებული თეორია აქვს... ბუზებზე ნადირობის. დილას დალაგებით იწყებს, თავის სილამაზეს თვალს შეავლებს, მიიხედ-მოიხედავს, და თუ ბუზი დაინახა, ნადირობას იწყებს.

— ბუზის საკლავი ტარიანი უნდა იყოს, დახვეული გაზეთი სხვა გუნებაზე გაყენებს. ბუზს რომ დაინახავ, ზურგის მხრიდან უნდა მიუდგე, ბუზ-საკლავის მოქნევის ნიავმა რომ არ დააფრთხოს. უნდა მოზომო დარტყმის ძალაც და დარტყმის კუთხეც. თუ სწორზე არა ზის და ნახნაგზეა, საკლავის ტარიც უნდა დააირიბო, დარტყმა არც ნაჩქარევი უნდა იყოს, არც შენელებული, უნდა იგრძნო, ბუზი რა განწყობაზეა, ჭამს რამეს თუ ისე, ჩაფიქრებულია. თუ ჭერზე ზის, თავალმა საკლავის მოქნევა ძაან ძნელია, დიდი გულისყური უნდა, თუ საქმეში მთლიანად ჩართული არა ხარ — ააცდენ. ეს ყველაფერი ხომ ასეა, მაგრამ თუ ბუზთან რაღაც შეუცნობადი კონტაქტი არა გაქვს და აზრი გაგებნა, ათიდან ერთს ვერ მოკლავ. მთავარი ეგ არის, შეუცნობადი ერთიანობა, მსხვერპლ-მონადირის ფატალური დაწყვილება, რომელშიც განგებას მაინცა აქვს ადგილი. თამაშია, დიალოგი, ურთიერთობა. როგორ შეიძლება მოიწყინო, თუგინდ მანამდე, სანამ ბუზები არსებობენ, სანამ ერთი მაინც დაფრინავს!

მელიმებოდა. სერიოზულად ვუსმენდი.

ოცდაათი შველი

თანამგზავრი არ მეშვებოდა, ამბებს თავზე მაყრიდა. ვერც გაეცლებოდი, ტყეში მიმავალი ბილიკი ერთად გვქონდა გასავლელი. როდესაც ოთხმოცი წლის ბებიამისის ქელების აღწერას მიადგა, მეშველა მეგონა, მაგრამ ისევ „რაინდობისკენ“ გადაიხარა და ახლა იმ ოცდაათი შველის ამბავს აწვებოდა, ჭირის სუფრას რომ შეენირნენ. აღმა სიარულისაგან გული ისედაც ამოვარდნას მქონდა და ამ კონვეიერული ნადირობის სცენებმა სულ მომთხარა. სახლთან მისულმა შევკივლე:

— შემეშვი, ვერ ხედავ, სული კბილით მიჭირავს, და ერთი ისიც გამაგებინე — ეს ბებიაშენი ერთი ორბეთელი დედაბერი იყო თუ ტახტის დედოფალი, ნახევარი საქართველოს შველ-ირემი ზედ რომ დააკალით!

პასუხს რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, კაცი საგ-მირო შარავანდედს იქმნიდა. ხოლო შველი, ოცდა-ათი კი არა, სამიც რომ ყოფილიყო, ჩემს მიწა-წყალს დაკლდა.

მელიები

მესხეთ-ჯავახეთის იალაღები ზამთარში ერთ
დიდ, უკიდეგანო ველად გადათეთრებული, მზეზე
უთვალავ ნაპერნკლებად ბზინავენ. საქართვე-
ლოში ეს ერთ-ერთი ყველაზე გაშლილი სივრცეა,
თვალი რომ არაფერს ებჯინება და ცას ერთვის. აქ
სამანქანო ჩაჭრილი გზით თუ ივლი, აქეთ-იქით
თოვლი კაცის სიმაღლეზე დევს, ჩაიფლობი. ველ-
ზე კი, აქა-იქ, შორიახლოს, პატარა მელიები და-
სუნსულებენ, ალაგ-ალაგ ჩერდებიან, თოვლში
ჩქარ-ჩქარა ორმოებს თხრიან, შიგ თავს ყოფენ,
და, იმედია, რაღაცას პოულობენ, ალბათ თაგ-
ვებს. მანქანით მოსიარულეებს არ უფრთხიან.
ეტყობა, ჩვენი ზორბა მძლოლისა არ იყოს, სხვე-
ბიც ავტომატის გარეშე მოძრაობენ, თან არც თო-
ფები დააქვთ და არც მშვილდ-ისარი. თოვლიან
გზაზე ქვასაც ვერ ნახავ, რომ მოიხელთო და, თუ
გაგიმართლა, მელიას მიუწვდინო და თავში ხეთ-
ქო, გულის მოსაოხებლად.

ამიტომაა, მელიების დანახვაზე მათი დარდით
გული შიშით არ მიცემს და ლიმილით ზამთრის
უფერულ მზეს ვეფიცხები.

საბრძოლო მამლები

ვნებათალელვის დეფიციტი თუ გაქვს და საკუ-
თარი თავი მოგბეზრებია, ტოტალიზატორი მაგის
პირველი წამალია. ეგ სჭირდა ალბათ ერთ საქმი-
ან კაცს, სერიოზული სამსახურის მეცნიერ მუ-
შაკს. საბრძოლო მამლები გაიჩინა. საბრძოლო
მამლები ჩვეულებრივებს ჰგვანან, მაგრამ ბევ-
რად პატარები და გამხეცებულები არიან. ერთს
ერთ ჯიბეში ჩაისვამდა, მეორეს — მეორეში და
ასე ცხადდებოდა სამსახურში. მამლებს თანამშ-
რომლების თვალწინ ჯიბეებიდან ამოიყვანდა და...
სისხლისმღვრელი ომის დასაწყებად მებრძოლებს
ერთმანეთის დანახვაც ყოფნიდათ.

ეგრევე აფრინდებოდნენ ერთმანეთს და, თუ
არ გააშველებდი, ტვინის შერყევამდე უნისკარ-
ტებდნენ ერთიმეორეს თავებში. მაყურებელი თა-
ნამშრომლები ტოტალიზატორის პრინციპით ნიძ-
ლავდებოდნენ — რომელი მამალი მოიგებდა და გა-
დარჩებოდა.

მეცნიერება ამ გზით წინ ვერ წაიწევდა და პატ-
რონიც და მამლებიც სამსახურიდან დაითხოვეს.

სადმე სხვაგან მოიკიდეს თუ არა ფეხი, არ ვიცი.

პითონი

სტუმარი ვის არ ჰყოლია. ისა თქვით სტუმარი, არავის რომ არ ჰყოლია, ისეთი. პითონი, მახრჩო-ბელა გველი — ამაზე მეტი რა გინდა!

პითონი ჩვენთან სტუმრად ნაცნობმა ჰერპე-ტოლოგმა მოიყვანა. წარმოიდგინეთ, კარტოფი-ლით სავსე დიდი ტომარა მხარზე გადაკიდებული, წელში რომ გზნიქავს. ასეთი მძიმე ტომრით მე-ოთხე სართულზე ამოვიდა, თავმოკრული ტომა-რა გახსნა, და დიდ, ბუხრიან ოთახში პითონი გა-იშელართა.

გველი სამი მეტრის სიგრძისა იყო, სისქითაც კარგა სქელი (ჯერ ჩვილიაო — აგვიხსნა პატრონ-მა) და გრიშა ერქვა.

როგორ დავიზაფრებოდით, ისიც წარმოიდგი-ნეთ. ცოტა რო გონს მოვედით, მასპინძლობა და-ვუწყეთ — კვერცხი უყვარს, მთელ-მთელს ყლა-პავასო... მაგრამ გრიშამ ყოვლად უზრდელურად კუდი შეგვაქცია. პატრონმა აქაც აგვიხსნა:


— ერთი კვირის წინათ კარგად ჭამა, ახლა არ შია, ინელებსო.

მაშინ ურთიერთობა მოვინდომეთ — ხან კუდ-ზე ვქაჩეთ, ხან ყელზე შემოვიხვიეთ, მაგრამ გრი-შამ აქაც სრული სისხლცივობა გამოიჩინა. თავი დავანებეთ. ამასობაში გრიშამ ბუხარში შეძრომა მოინდომა, მერე ბუხრის წინ გემრიელად მოფსა, მერე საძილე ოთახში გასრიალდა, დიდ ლოგინზე აძვრა, ბალიშები მისწი-მოსწია და ლეიბის ქვეშ ტკბილად დაიძინა.

დავადგინეთ, რომ პითონები ზოგიერთებივით

უზრდელები არიან, სტუმრად არ მოისვლებიან და
თანაც ჩვენ არანაირად არ ვაინტერესებთ.

მაგრამ, სათქმელად, ამისთანა სტუმრით ვინ
დაიტრაბახებს?!



შესანირი ცხვარი

სახლის ყიდვისას ბევრი რამეა საფიქრალი. თურმე ისიც, რომ სალოცავის ახლოს არ ღირს დასახლება.

ამას ჩემი მეგობარი გვიან მიუხვდა — სახლი უკვე ნაყიდი ჰქონდა. მისი ეზოს გვერდზე, დიდი, საუკუნოვანი ხის ქვეშ ლამაზი ნიშია, ირგვლივ დაყრილი ძველი ქვევრებით. ხეებზე ჩამომხმარი ტყავები და თავის ქალები თუ გაგიჩენს ეჭვს მშვიდი ცხოვრებისა. ესეც მოხდა. დღესასწაულების დროს სახლიდან იხიზნება — მგრძნობიარეა. ერთხელ თუ შეესწრები, ცემა-ცემით როგორ მიათრევენ ყელში მოყრონჭილ შესანირს სალოცავის ნიმინდა გზაზე, გაუგებ (სახლის პატრონსაც და ცხვარსაც). ცხვარი ურჩობს, ფეხები უკან რჩება. რაც უფრო ახრჩობენ, მით უფრო ველურდება. რაღაცას ხვდება. ბევრს არა აქვს ისეთი ჯანი თუ ბედი, როგორიც ერთ მოზრდილ ცხვარს აღმოაჩნდა: იმდენი ათრიეს და ულმერთოდ ურტყეს, რომ თოკი გაწყვიტა და ტყეში გავარდა. სდიეს, სად არ ეძებეს. ვერ იპოვეს.

არადა, ერთ დროს შესანირი პატივით მიჰყავდათ, მის თავზე „საბოდიშოს“ იტყოდნენ, ისიც ხომ ზეგარდმო ნებით შეიქმნა მეხუთე დღეს და, ცოდვის მონანიებით, შესწირავდნენ.

ფოცხვერი

ფოქსტერიერის ჩვეულებრივი სასეირნო ზოოპარკის მიმდებარე ვერეს ხეობა იყო. ყველა ადგილ-კუნძული ვიცოდით, როდის ვინ გვერჩოდა, როდის ვის უფრთხოდით, დავიდარაბის თავი არ გვქონდა, მაგრამ ერთხელ ყველას შეეშლება, და ერთხელაც ჩვენც გავებით შარში. დაჭაობებულ ნაწვიმარ გუბეში რაღაცა მოძრაობდა. ფოქსტერიერი აშვებული იყო და ვინაობის დასადგენად ტალახში შევარდა. ნამში ორი არსება ერთ დიდ გორგლად გადაიქცა, და ვინ ვინ იყო, ვერ გაარჩევდი. დამხვდური კატა მეგონა. ვწუხდი, ჩემი ძალლის დარდი მქონდა, მაგრამ არც ის გამეხარდებოდა — კატა დაეგლიჯა. ბრძოლას ბოლო არ უჩანდა, დავეჭვდი, ამდენ ხანს კატა როგორ უმკლავდებოდა, და ჩემი ძალლის სიყვარულმა ჭაობში შემაგდო. როგორ გავაშველე, მშრალზე როგორ ამოვათრიე, ყურებდაგლეჯილი შინ როგორ მოვიყვანე, ნუ მკითხავთ.

მეორე დღეს გავიგე — ზოოპარკიდან ფოცხვერი გაქცეულა, და იმ გუბესთან უნახავთ. ქალაქში გადმოგდებულს, უძიროდ და უშვილოდ, ფოცხვერს არავინ ჰყავდა იმედად და გულშემატკიცრად. ჩემი ძალლისთვის კი რამხელა ძალა ვიყავი.

სევდიანი მოსაგონარია.

მგლის ლეკვი

ბედნიერია, ვისაც გინდაც ქალაქში, გინდაც ერთი ბენო, თავისი ეზო-სახლი აქვს, მითუმეტეს, თუ ძალლი ან კატა ჰყავს. პატარა გოგოს კი ვერაზე, საკუთარ პატარა ეზოში მგლის ლეკვი ჰყავდა. მონადირებს დაუობლებიათ და მუშტისოდენა ლეკვს პატარა გოგონა უვლიდა. ახალშობილი ყველა საყვარელია და გულსაკლავი. ლეკვიც უსაყვარლესი იყო. გოგონამ თავდადებით გაზარდა და, ბოლოს, ლეკვის იერს მგლობა დაემჩნა. იერს, თორემ ხასიათი ერთგული და დამყოლი ჰქონდა. ეზო საკუთარი კი იყო, მაგრამ ირგვლივ დიდი კორპუსებით შემორკალული. მაღლივი სართულებიდან ყველა ეზოში იყურებოდა, და უბანში ხმა გავარდა — ქალაქში მგელიაო! გოგონას მოსვენება დაეკარგა, ყველა ჭკუას არიგებდა — მგელია და თავის ხასიათს არ მოიშლისო. შეგონებამ რო არ გაჭრა, ახლა მაღლივი სართულებიდან მგელს ხან ტყვიას ესროდნენ, ხან მოშხამულ ხორცს შემოუგდებდნენ. ნაცადი ხერხია შუა ქალაქში ნადირობისა...

მგელიც ერთხელ დაიჭრა და მოიწამლა კიდეც. სხვა გზა არ იყო, ადრე თუ გვიან ან მოკლავდნენ, ან მოწამლავდნენ. გოგონა გერმანიის ერთ-ერთ ზოოპარკს დაუკავშირდა, მგლის შეფარვის თანხმობა მიიღო, და გაჭირვების ფასად თავისი გამოზრდილი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ზოოპარკში გაამგზავრა.

რა გასაკვირია, ეს გოგონა პროფესიით ზოოლოგი რომ გახდა. შეკითხვაზე, თუ რატომ არ მიაბარა მგელი თბილისის ზოოპარკს, ამბობდა:

— მოშინაურებული ცხოველის ბუნებაში გაშვება სახიფათოა. ხანგრძლივი ხელისშეწყობა უნდა, დამოუკიდებელ ცხოვრებას რომ ალლო აულოს, თუ არადა, როგორც წესი, უმეტესად იღუპებიან. თბილისის ზოოპარკს კი მგლები უკვე ჰყავდა, სიბრალულითაც არ მიიღებდნენ. და ისე-დაც ჩვენი ზოოპარკი უფრო სამხეცეა, ვიდრე პარკი, სადაც ლალი ცხოველები დასეირნობენ.

მელია

შუაღამისას ავტომატის კავანმა და განწირულმა კნავილმა გამაღვიძა. საათზე ოთხის დასაწყისი იყო — ტკბილი ძილის დრო. რა შეუსაბამოა ავტომატის სიმძლავრის და უსუსური კნავილის ხმები. ვის არ აძინებს ამ გარინდულ ღამეში უინი ხოცვა-ულეტისა?! მონადირეები?

და გამახსენდა მილეული, ძვლებამოჩრილი მელია — ოთხი მოტოვებული ყაზახის საგანგებო ნანადირევი. მისი გაპუნული ბეწვი, ტყვიებით დახვრეტილი, ბავშვს რომ ყელზე ვერ შემოწვდებოდა, დიდხანს ეკიდა ქალაქის აივნის მოაჯირზე. ვერ გააშრეს, მატლები დაესია, დალპა და ისიც ნაგავში მოისროლეს. ლირდა კი ამის გულისთვის ოთხი კაცის მანქანით აყრა, საღამოს ტბის (მარტო სახელი რად ლირს!) დათოვლილ ველზე უმწეო მელიის ალყაში მოქცევა, და შედეგად — თვალებგაყინული, სისხლიანი ნეშტი ჯიპის საბარგულში.

თუ მამაკაცობა ისაა, რომ ერთმანეთთან არ გატყდე, ერთმანეთის დასანახად ხელი არ აგიკანკალდეს, თოვლიან ველზე მოძუგძუგე მშიერი მელიის დანახვაზე.

მორიელი

თუ გინახავთ, მამა-შვილი ქვა-ლორლიანში მო-
რიელებს ეძებდეს?

— მორიელებს მწირი და კლდოვანი ადგილები
უყვართ. შეხედე, ამ ქვის ქვეშ ნამდვილად იქნება.

ქვა ფრთხილად ასწიეს და იქიდან ნამძინარე-
ვი, უმზეობისაგან გამჭვირვალე მორიელი გამოძ-
ვრა.

— ეს შვილია, დააკვირდი, რა პატარაა, დაიბნა
და კუდის ანევა დაავიწყდა. ბალახით მოვუთათუ-
ნოთ, მოვფხანოთ ზურგი.

მორიელი გამოცოცხლდა, კუდი ნამგალივით
მოიმარჯვა და გაქცევა დააპირა.

— ახლა ხომ ხედავ, ნამდვილად მორიელია.

მერე ქვა ისევ ასწიეს, მორიელი ბალახით
ფრთხილად მიუჩოჩეს, და თვითონაც შინ ნავიდ-
ნენ.



შიახლები

ერთი ბეწო ბიჭი მეომრის სულით იყო გაჟღენ-თილი: ან ომს ხატავდა, ან ომობანას თამაშობდა. ომს ზოგჯერ ნამდვილსაც აწყობდა. სადმე მინ-დორში ჭიანჭველების მიწურ საბუდარს ნახავდა, იქვე, შორიახლოს — მეორეს, და ამ ორი ტომის ჭიანჭველებს ერთმანეთს წაკიდებდა.

— შეხედე! ეს ჭიანჭველები დიდებია და წით-ლები, ისინი კი ჩვენი მაგიდის ჭიანჭველებს უფრო გვანან.

ერთ პატარა ჭიანჭველას აიღებდა, „დესანტს“ წითლების ბუდეზე დასვამდა და მერე ბლუჯით დანარჩენებს შეუგდებდა. იქ ამბავი ატყდებოდა ამ უგვანო შემოგდებულების გამო! ნამდვილი, დაუნდობელი ომი იწყებოდა, ჭიანჭველების ბუ-დები იცლებოდა და ყველა უაზრო, გიუურ სირ-ბილში ირეოდა.

— ეგრე არ არის, ახლა ესენი ამ შემოსულებს ტყვედ აიყვანენ, მერე მონებად ამუშავებენ. სირ-ბილი კი ამბის მიტან-მოტანაა.

ასე იყო თუ ისე, მშვიდი, თავდაუზოგავად მშრო-მელი ჭიანჭველები, მანამდე ერთმანეთთან მშვი-დობიანად მოარსებე, იმდენს იზამდნენ, რომ ბო-ლოს გვამებს დაათრევდნენ და ახარისხებდნენ.

დიდი ჭკუა არ უნდა და ასოციაციური აზროვნება, — როგორ ჰეგავს ყველა და ყველას ომი ერთმანეთს.

ეს პატარა ბიჭის ხელიც, იმ ზეარსებულ ხელს ხომ არ ასახიერებს, რომელსაც ჩვენ ასე იოლად ვემორჩილებით.

ფუტკარი

ფუტკრის ამბავს ნუ მომაყოლებთ, მაგათი ან ყობილი ყოფა-ცხოვრების შესახებ ტომებია დაწერილი.

ერთს გეტყვით. უცხოს, შემთხვევით თუ გან-გებ სკაში მოხვედრილს, ფუტკრები ერთიანად შე-მოეხვევიან და სანთლის და დინდგილის გარსში მოაქცევენ, ისე, რომ არ გაიხრწნას, არ შეაწუხოს ბინადრები. ეგ მომსვლელი ნაწილობრივ “ბედნიე-რებას” ენია — ხორციელ უკვდავებას, უბრალოდ რომ ვთქვათ — მუმიად იქცა. ასეთი მუმიები მრავლად არა, მაგრამ ძველი ეგვიპტის ფარაონებიდან მოყოლებული, თითქმის ჩვენამდე, კანტი-კუნტად გვხვდება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ფუტკრებმა ეგვიპტელებისგან ისწავლეს მუმიფი-ცირების რეცეპტი. პირიქით, უფრო საფიქრებე-ლია — ძლევამოსილი ფარაონები ჭკუას ფუტკ-რებისგან სწავლობდნენ.

დიდი ხვლიპი

ჩვენთან ბუნებამ რაღაცის ახირებ-აკვიატება იცის ხოლმე. ერთ წელიწადს სულ თაგვებია, სა-დაც გაიხედავ. მეორე წელს თაგვს წამლად ვერ ნახავ, სამაგიეროდ, კალიები — უამრავი. მერე კა-ლიების წელიც გავა, და ახლა პეპლებით აჭრელ-დები, მერე ჩიტები, მერე კიდევ და კიდევ...

წელს ხვლიკების ზაფხულია, ყველგან და ყვე-ლაფერზე — მზეზე, ჩრდილში, კლდეზე, კედელ-ზე, „ვედროში“, ტაშტში. მაგრამ საკვირველია, დიდი, კაშკაშა მწვანე ხვლიკები რამდენი წელია აღარ არიან, სულ უფერულები და უწონადოებია.

სასეირნოდ გასულმა პატარა შავმა ძალლმა (ყველაფერს რომ ერჩის, ბუზიდან დაწყებული, კამეჩით გათავებული), ბალახში რაღაც დაიჭირა და არაფრით არ მოეშვა. „საქმის გასარჩევად“ მი-ვედი, და სიხარულიც და წყენაც ერთი იყო — დი-დი მწვანე ზოლებიანი ხვლიკი, ლამის ვარანის ხე-ლა, თვითონ ფართხალებდა, კუდი კი არა. კუდია-ნად მეტიც მიაყოლა შავმა. ძალლს ხელი ვტაცე, უარესი რო არ ექნა, კარგ სიშორეზე გავეცალეთ. უკანა გზაზე სულ იმის ფიქრი მქონდა, სატანჯვე-ლად ხომ არ დავტოვე განახევრებული ხვლიკი. ეგების ჯობდა არ ჩავრეულიყავი და ძალლს ბო-ლომდე ექნა თავისი „შავი“ საქმე. ხან ნამდვილი მახსენდებოდა, ხან წაკითხული, ტანჯვას როგორ უმოკლებენ ერთგულ ძალლს თუ ცხენს, ან მეო-მარს თუ მეგობარს. რა მძიმე არჩევანია.

ფეხი შევანელე. ძალლს ჩამოვრჩი.

„ალპინისტი“ დათვი

იალბუზის წვერი გაყოფილია და შუაში „უნა-გირზე“, ორ წვერს შორის მუდმივი ალპინისტური ბანაკი იყო. იქამდე მისვლაც საქმეა, და თუ მიხვი-დოდი, თოვლში ამოთხრილ სადგომში ყველაფერი დაგხვდებოდა, რაც ადამიანს სჭირდება ჯანის მოსაბრუნებლად — ასანთი, ჩაიდნები, სპირტქქ-რები, აუცილებელი პროდუქტი — შაქარი, ჩაი, კონსერვი. ამ ბანაკში ერთი ხნიერი მხატვარ-ალ-პინისტი ადიოდა, რჩებოდა და მწვერვალებს ხა-ტავდა. მისი მონაყოლიდან ვიცი, რომ ხშირად ღამ-ღამობით პროდუქტების სამალავს დათვი აკითხავდა. ბუჯური და ფშვინვა მესმოდაო, — ყვებოდა, — მერე ოხვრა და უცნაური ხმები. თურმე დათვი იმ სიმაღლეზე „სგუშჩონკის“ საჭ-მელად ადიოდა. არც არავის ერჩოდა, არც არა-ფერს აშავებდა, არც სხვას არაფერს ჭამდა „სგუშჩონკის“ გარდა. დილაობით მხატვარს „სგუშჩონკის“ დაჭყულეტილი რკინის კოლოფები ხვდებოდა. დათვი სხვას არაფერს პრინციპულად ხელს (თუ თათს) არ ახლებდა. მაშინაც და დღესაც მიკვირს, ვერ გამიგია, ამ შედედებული რძის სუნს, რკინის კოლოფში მოქცეულს, დათვი როგორ იღებდა, ასე მიზნობრივად იმ სიმაღლეზე რომ მი-ბაჯბაჯებდა.

ლოკომიციანი

ჩემს საწერ მაგიდაზე ორი გაქვავებული ლოკომინა დევს (ზედმეტ პათეტიკად არ ჩამომერთ-მევა) — კვალი გარდასულ ჟამთა. ვუყურებ და ჩემი მაგონდება — პატარა ბიჭის ლოკომინები. შავ-თვალას ცხოველები უყვარდა, მაგრამ კიდევ ერთი ვნება ჰქონდა — თხრის და ჩიჩქვნის, სულ განძის ძებნაში იყო. ოქრო-ვერცხლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ თხრა-თხრაში ხან ქვაყუთი სამარხი გათხარა, ხან “სერდოლიკის” ძარღვს წააწყდა, ხან თიხის ჯამ-ჭურჭელს, ერთხელ კი სათამაშო პანია ქვევრს. რაღაც გუმანი ჰქონდა, გრძნობდა, სად უნდა ეთხარა. შესაშური ბავშვობა ჰქონდა: საქართველოს გეოგრაფია ზურგჩანთით ფეხად მოსიარულებ შეისწავლა — რაჭა, სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი და აჭარა, იმერეთი და სამეგრელო. ერთხელაც მშობლებმა დალესტნის მთებშიც წაიყვანეს. იქაც, სადაც კარვად ჩერდებოდნენ, თხრიდა და ეძებდა. მძებნელი იპოვისო და იპოვა კიდეც — დიდი ქანი ჩაკირული ლოკომინებისა. ენთუზიაზმი ლოკომინებით სავსე ტომრით დაგვირგვინდა. სხვადასხვა ზომის, ფორმის და ფერის ნიუარები, უთვალავი წლის განმავლობაში ბიჭის უინიან აღტაცებას უცდიდნენ.

— შეხედე, ეს სხვა სახეობაა, ის არა, ჩვენ ბალში რომ დაცოცავენ ხმელეთის გერმაფროდიტები. ესენი ზღვის ბინადრები არიან, მერე რა, რო გვანან, უფრო დააკვირდი. აქ ალბათ ზღვის ფსკერი იყო!

ნიუარებს სათითაოდ წმენდდა და თვალები უბრნებინავდა.

და მით უფრო, რაოდენ სამწუხარო იყო მისი დაუდევარი მშობლებისათვის, რომ მოახერხეს, და ნიუარებით სავსე ტომარა გზაში დაკარგეს. ბიჭის გულის მოკვლას, რაც არასდროს უქნიათ, ის ქნეს — ტყუილი უთხრეს, გეოლოგიურ მუზეუმში მივაძარეთო. ბავშვს დაუკითხაობის წყენა კი დარჩა, მაგრამ “მუზეუმი” ღვაწლის აღიარებას ნიშნავდა...

იმედია, ამ წიგნის წაკითხვისას ის ბიჭი, დღეს თვითონ პატარა ბიჭის პატრონი, ამ ამბავს გაიხსენებს და მიუტევებს თავის დაბნეულ, დაუდევარ დედ-მამას.

მინი-ზოოპარკი

ერთ დროს თბილისში ცხოველების მოყვარული ახალგაზრდა კაცი ცხოვრობდა. ერთი ოთახი ჰქონდა, ჭისხელა — სიმაღლით სიგანეზე ბევრად მეტი. შიგ, ანუ ოთახში, ცხოვრობდნენ: დიდ რკინის გალია-საკანში ადამიანისხელა მაიმუნი (მგონი ორანგუტანგი), ტერარიუმებში გველები, ჭერზე ჩამოკიდებულ გალიებში სხვადასხვა ზომა-ფერის თუთიყუშები, კოლოფებში ვირთხები, აკვარიუმებში პირანია-თევზები, კატები და ძალლები ხომ თავისთავად. ოთახში შესვლისას, თვალებში სიჭრელე რო დაგილაგდებოდა, მაიმუნის გალიას-თან მდგარს (სხვა ადგილი უბრალოდ არც იყო) მასპინძელი გეტყოდა:

— აბა უთხარით (მაიმუნს) — “**Папа мой!**”

შენც გაიმეორებდი, და მაგრა ინანებდი. „პაპა მოის“ გაგონებაზე მაიმუნს გიჟის თვალები უხდებოდა, გალიის კარს ველურად ანჯლრევდა და კბილებით რკინის გადაკვერცას ცდილობდა. გველები ისედაც ვერ იტანენ მაიმუნებს, და მაგის გიჟიბაზე ერთიანად ტერარიუმიდან ამოძრომას იწყებდნენ. თუთიყუშები სხვადასხვა ხმაზე აქანდებოდნენ — ზოგი დაგვიანებულ „ზდრასტვულ დურაკს“ — იძახდა, ზოგი — „პაპა მოის“ იმეორებდა, ზოგიც — გემრიელად დედას იგინებოდა. მაგათ ხმაზე ახლა ვირთხები ატყდებოდნენ და წრეზე ნერვიულად დარბოდნენ.

ამასობაში ძალი და კატაც გააქტიურდებოდნენ, და ბოლოს, რეტდასხმულს, თავზე ვიღაცა დაგახტებოდა და თავდადებულად თმებს

გწინებიდა, ან გულმოდგინედ თვალებში ასანთის ლეროებს გთხოვთ.

— ხომ არ შეწუხდით? — დამტკბარი ხმით იკითხავდა პატრონი, — ეს, თქვენზე რომ დაცო-ცავს და თავზე გაზით, უიშვიათესი სახეობის, ყველაზე პატარა ჯიშის მაიმუნია, მარმაზეტკა ჰქვია. ხომ ძალიან საყვარელია? გაგკანრათ? ეგ არაფერია, თვალები დახუჭეთ და შეგეშვებათ.

ახლა თვალდახუჭულს დაგმოძღვრავდა:

— ფრთხილად იყავით, არ გაჭყლიტოთ, პატა-რაა, მარმაზეტკები მსხალზე დიდი ზომისები არ იზრდებიან.

ამას ყველაფერს თუ თავს დაალწევდი, გულით დააფასებდი უენო თევზების ვინაობას, გინდაც პირანიები ყოფილიყვნენ...

„ერთი ძალლი და ერთიც კატა“

ორი ზურგჩანთიანი ბიჭი საუბარ-საუბრით სკოლიდან შინ ბრუნდებოდა. გვერდზე ჩავლილმა ერთ-ერთის შეკითხვას ყური მოვკარი:

— შენ ვინმე მოგიკლავს?

შეშინებულმა, „რესპონდენტს“ შევხედე. ათი-ოდე წლის ბიჭს ცოდვით დამძიმებული, კრიმინა-ლური ბიოგრაფიისა ნამდვილად არაფერი ეტყო-ბოდა, მაგრამ ჩაფიქრდა და, წუთიერი პაუზის მე-რე, ამაყად უპასუხა:

— ჰო, ერთი ძალლი, და ერთიც კატა.

დაუნდობელი შემართებით გაჯერებულ ქალა-ქის სივრცეში, წესით, სისხლის წყურვილი ასე არ უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ პასუხმა შემზარა. იმას აქეთ ვფიქრობ, რომელი ცხოველი დაიბრა-ლებდა (ჩვენ რომ მაგათი ნამდვილად გვესმო-დეს), ან რომელს დავაბრალებთ, ისე, სავაუკა-ცოდ, სხვის თვალში თავის მოსაწონად, ადამიანის კვლას.

მე ამ კითხვაზე პასუხს თავი ვერ დავადგი.

— თქვენ ხომ არ იცით?

ჩვენი ფინა

ყოველ ოჯახს აქვს ისეთი მხიარული თუ მწუ-
ხარების დღეები, როდესაც განწყობას არ უხდება
აბეზარი ძალლი. ერთი ასეთი გლოვის დღე ჩვენც
დაგვიდგა.

ძალლი გვყავდა, პატარა ფინია, და ნაცნობის
ნაცნობთან გავამწესეთ — ქალაქის ბოლოში, სა-
დაც მანამდე არასდროს გვყოლია. მანქანით წა-
ვიყვანეთ და რამდენიმე დღით დავტოვეთ. ეგ დი-
ლას იყო. საღამოს კი, ჩვენი ადათის თანახმად,
მისამიმრებას ვიღებდით ჩვენთან მომსვლელ ახ-
ლობელ-ნაცნობთაგან. როგორც მიღებულია, ვი-
ჯექით და ხალხის ნაკადი მჭიდრო მწერივით მოე-
დინებოდა. და, რაოდენ გაოგნებულები ვიქნებო-
დით, წარმოიდგინეთ, როდესაც მომსვლელებს
შორის დინჯად და აუჩქარებლად ჩვენი ფინია გა-
მოგვეცხადა. „მოგვისამძიმრა“...

ისიც აცხონოს ღმერთმა, დიდი ხნის წინან-
დელს გიყვებით.

ლორეპი

სიმართლე გითხრათ, რატომ არის ღორი ესე
შეგინებული — ვერ გამიგია. სიბინძურის გამო?
ვინ თქვა? ტლაპოში მოღრუტენე ღორი თიხის სა-
ფარით უსწორდება ათასნაირ მკენარს. ყველა-
ფერს რომ ჭამს? ვინდა არ ჭამს. დანა-ჩანგლით
რომ არ მიირთმევს? მაგრამ მადლობა ვთქვათ,
ერთადერთი თუ არა, უმთავრესია, ვინც ჩვენს ოხ-
რად დარჩენილს ჭამს და სანიტარია ჩვენგან მიყ-
რილ-მოყრილის. ზნე? ერთგული, გონიერი და,
როგორც ამბობენ, ერთადერთი ჩლიქოსანთა შო-
რის, ვისაც იუმორის გრძნობა აქვს, თუ დააცლიან
და დროზე ადრე იქით არ შეჭამეს. ზრდილობა?
აგერ, ჩვენს სოფელში ღორების უპატრონო სამე-
ული გამოჩენდა — მაგარი სასაცილო: გრძელდინ-
გიანი, ზოლებიანი, გარეული ტახის ახლო ნათე-
სავები, მჭლე და ჯაგრიანი. ერთად დაბოდიალო-
ბენ, მონარჩენ საზამთროების ქერქებს და ჩამო-
ნაყარ პანტას ახრაშუნებენ, გზას გითმობენ, ღო-
ბეს არ გიგლეჯენ, ვიწრო თვალებს გაყოლებენ —
იქით ხომ არაფერს ერჩი. გავიგე, თურმე მაგათი
პატრონი ავარიაში მოყოლილა და უპატრონოები
გახდნენ. უფრო სწორად, მოყოლილა კი არა, მო-
ახდინა — გალეშილი მჯდარა საჭესთან, მოსახ-
ვევში ერთი ასად მოჩვენებია და შემხვედრ მანქა-
ნას შეასკდა. გადარჩა (პირველი არ ყოფილა!), მე-
ორე მძღოლიც გადარჩა, იოლად დაშავებულან.

იმედია, საშობაოდ მაინც მოაკითხავს თავის
ღრუტუნებს.



ბომბო და მურა

ჩემი მეგობარი ექიმია, ნამდვილი ექიმი, და, გეგონება, ავადმყოფების შემყურეს, დარდი აკ-ლიაო, ისე გულთან მიაქვს ოთხფეხების გაჭირვება. ასე, სიბრალულით შერჩა ორი ზორბა ძალლი — ერთს კლავდნენ, დაიხსნა და შეიფარა, მეორე, შიმშილისაგან გათანგული, თვითონ მოვიდა და კართან ფეხსაწმენდ ქეჩაზე დაეგდო.

ექიმს სახელების შერჩევაზე ბევრი არ უნვალია — ერთს ბომბო დაარქვა, მეორეს კი — მურა. სამაგიეროდ, წვალება მერე თქვი, სამსახურით დალლილს მაგათი მოვლა-სეირნობა როგორ „უხაროდა“! სეირნობა პატრონისთვისაც მოსახდენიაო, — თავს ამით თუ ინუგეშებდა. ეს ბომბო და მურა, ყველაფერთან ერთად, დიდი დონუუანები გამოდგნენ, „სიყვარულისთვის“ მოწიფულ ძუკნას ერთს არ ტოვებდნენ, უბანი არ იკმარეს და მთანმინდა-სოლოლაკის რაიონს „ემსახურებოდნენ“, კვირაობით იკარგებოდნენ. ყოველ მაგათ გაუჩინარებაზე ექიმს (ცოდვა გამხელილი სჯობს!) იმედი ეძლეოდა, — ეგების სადმე ოჯახი დაიდონ და თავი დამანებონ. მაგრამ ნურას უკაცრავად, ძალლები დაგლეჯილ-დაფლეთილები ბრუნდებოდნენ კვალიფიციურ ექიმთან სამკურნალოდ. ცხოვრებაში ეგრეა: ზედ რო ჰყვები და დაჲკანკალებ — სწორედ იმას მოგპარავენ, ან დაიკარგება, და არდაბრუნება თუ გიხარია — სწორედ ის ბრუნდება, გინდაც ოცი წლის მერე. ასე გაწელეს ცხოვრება ბომბომ და მურამ ღრმა სიბერემდე. ახლა სიკვდილის მოახლოება —

„ზრდილობიანმა“ ძალლებმა ამ დროს შინიდან წასვლა იციან. ბომბომ და მურამ აქაც „ბანკი მოხ-სნეს“, ორივემ სახლში, პროფესიონალი ექიმის ხელში დალია სული. არც მერე არ დაიკლეს არა-ფერი — საფლავზე ქანდაკებები დაიდგეს.

შუაგულ ქალაქში ექიმს, ქალს, ძალლების მინად მისაბარებლად ასფალტი ეჯიჯვნა? და (ამიტომ ღამით) სამხატვრო აკადემიის სკვერში სტუ-დენტთა ქანდაკებების ძირში დაასაფლავა. ერთი არ გაუმართლათ, ქანდაკებებს არ აწერია:

— ბომბო —

— მურა —

და წლები, თავსა და ბოლოში.

„თავადი“ ქალები

ტრასაზე შავი „ცინცხალი“ ჯიპი „პრავიანად“ მისრიალებდა. ჯიპმა სიჩქარეს მოუმატა, ფანჯარა გაიღო და ბანჯგვლიანმა ხელმა პატარა ტომარა მძლავრად მოისროლა. ტომარა ჰაერში შეფართხალდა და მძიმედ დაეცა.

მომდევნო მანქანაში მჯდომ კაცსა და მის ცოლ-შვილს ტომრის ჰაერში შეფართხალება საეჭვო ეჩვენათ. მანქანა გააჩერეს და ტომრიდან ცოცხალ-მკვდარი ლეკვი ამოიყვანეს.

დღეს იმ ლეკვს სამი პატრონი ჰყავს, ორი სამ-ტრო-სამეგობრო კატა, ერთი გასართობი ზღვის გოჭი, გვარიცა აქვს და სახელიც, პასპორტში პატრონის გვარი უნერია — გაბაშვილი, სახელი კი — პეტო.

უცნაური ქალლები

„თეთრი ყორნისა“ არ იყოს, ყველაფერსა აქვს
თავისი გამონაკლისი.

ერთ ჩემ მეგობარს ფოქსტერიერი ჰყავდა, სახელად დუდუ, მეორეს კი შავი ნიუფაუნდლენდი. წესით, პირველს (ფოქსტერიერს) ცხოვრებაში ყველაფერზე მეტად სორო უნდა ჰყვარებოდა, მეორეს კი — წყალი. ამათთან სწორედ რომ პირიქით იყო: დუდუ შუა ქალაქში ცხოვრობდა და, თუ სახლიდან გაიპარებოდა, პატრონმა უკვე იცოდა, რომ საბანაოდ წაბრძანდა ფილარმონიის შადრევანში. ნიუფაუნდლენდი კი მტკვრის პირას აგარაკზე ცხოვრობდა და ცოცხალი თავით (თუ არ იხრჩობოდი და შველა არ გჭირდებოდა), თავისით, გასაგრილებლად წყალში არ ჩავიდოდა.

რა უცნაურია, არა?

დაობლებული ქალები

მარტოხელა მოხუცს სანუგეშოდ და ხმის გამცემად ქვეყანაზე არავინ ჰყავდა ერთი მასავით მობერებული ძალლის გარდა. მისი სიხარულიც ეგიყო და მისი დარღიც. ძალლი ხომ ერთგულია და გულის მაამებელი, მაგრამ მის გარდა არავის თუ არ უხარია შენი შინ მოსვლა და შენი ამქვეყნად ყოფნა, შენი სიხარულია მით უფრო. და თუ მოხუცდი და დასალიერზე ხარ — დარღიცაა: — შენს თვალებში მაცქერალს შენს მერე რა ბედი ეწევა...

ამ მოხუცმაც იდარდა და გადაწყვიტა, მეზობლებისთვის დაეტოვებინა თავისი პატარა ოთახი (ღვთის მადლით, ქუჩაში არ ცხოვრობდა) და თუ რამე ებადა სხვისი მოსაწონი, ერთადერთი თხოვნით და იმედით, რომ მის ძალლს არ გააგდებდნენ და აჭმევდნენ.

ასეც მოხდა. მეზობლებმა ოთახი ჩაიბარეს, და როდესაც მოხუციც ჩაბარდა უფალს, ძალლი ორი დღე გააჩერეს და მერე... ავი ენები, — მონამლესო, — ამბობდნენ. მეზობლები უარზე იყვნენ, აბარას იტყვოდნენ. მაგრამ ბევრმა ძალლმა პატრონის ისეთი დარღი იცის, რომ მონამლვაც არ სჭირდება...

გველი

ფერმკრთალი გოგონა და მისი უფროსი მეგობარი ტყეში დადიოდნენ საბუხრე შეშის მოსატანად. გოგონას მუდამ ღია სანდლები ეცვა, არაფრით არ იჯერებდა დახურულის ჩაცმას, სიცხე იყო და სცხელოდა, ცოტა ჯიუტიც იყო. იმ დღეს ტყეში შეაგვიანდათ და თავიანთ „ეტლს“, ფიჩით დატვირთულს, უკვე შეღამებისას მიაგორებდნენ. მეგობარს გულისყური გოგონაზე ეჭირა და უცნაური წინათგრძნობით სულ ფეხებში უყურებდა.

— ფრთხილად! შეჩერდი! გველი! — დაიძახა და გოგონამ ფეხი ჰაერში, ზედ გველის თავზე შეაჩერა. გვერდზე მიდგნენ და გზაზე გარდიგარდმო დაგრაგნილ გველს დასათვალიერებლად ჩაუსხდნენ. ბნელდებოდა, და სანამ გველი ბალახებში გასრიალდა, ზურგზე ჭრელი ნახატი ძლივს გაარჩიეს. მეორე დღეს გოგონას დახურული ფეხსაცმლის ჩაცმაზე ხვენნა აღარ დასჭირდა, თვითონ ჩაიცვა და ითხოვა:

— დღეს ადრე წავიდეთ, შეშასაც მოვასწრებთ და ის გველიც კარგად დავათვალიეროთ.

შეშა კი მოზიდეს, მაგრამ გველი აღარ გამოსულა, ალბათ არ ეცალა...

დაილაპუ

წყნეთში, ფუფუნებაში (აბა როგორ!) ერთი მოვლილი კავკასიური ნაგაზი ცხოვრობდა. თავისი ცხოვრების შესაფერს ბევრს ვერაფერს ახერხებდა, ერთი იცოდა მხოლოდ — „Дай лапу”-ს ეტყოდნენ და „ლაპუს“ გაძლევდა. ეგრე შერჩა კიდევაც “დაილაპუ” ზედმეტ სახელად. სამწუხაროდ, სხვა არაფერი იცოდა, არც ჭკუის, არც სწავლა-განათლების არაფერი ეტყოდოდა, მაგრამ მაგისტრის ხელი არაფერს შეუშლია და პატრონმა იჩალიჩა თუ დაილაპუს დრო დადგა, დაილაპუ კინოში გაიჩითა — ფილმში გადაიღეს: თამაშობდა, ახოვნად მიდი-მოდიოდა და, „დაილაპუს“ რო იტყოდნენ, თათს იწვდიდა. წყნეთში, უბანში დიდად პოპულარული გახდა, პატივისცემა შეიფერა, ფერ-ხორცი კიდევ უფრო შეისხა. მაგრამ ისევ დაილაპუდ დარჩა, მისი ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვდა...



პრაზანეპი

მდელოზე, ბალახებში დიდ ღრმულს წავაწყ-დით, დიდი კარდალის ზომის. ბალახებს შორის აქა-იქ ფიჭები იყო მიმოფანტული. ღრმულს კედ-ლებს ირგვლივ შემოშენებული ფიჭა შერჩენოდა, ფიჭის სახურავი კი ამოტრიალებული განზე ეგ-დო. ჩავიხედეთ. ღრმულში, არეულობაში, სამიო-დე კრაზანა უაზროდ დაბოდიალობდა, ხან აფ-რინდებოდნენ და ისევ დაკარგულებივით ნანგრე-ვებში ტრიალებდნენ. შემზარავი იყო დარბეული სამყოფელი. რამდენ კრაზანას უნდა ეშრომა, რომ ასე, ფიჭებით შემოეშენებინათ და დაეხურათ თა-ვიანთი „ქალაქი“ და ვიღაცამ, ნებით თუ უნებლი-ეთ, ნაქალაქევად აქცია.

შემზარავი იყო და ტრაგიკულიც, თუ ჩვენე-ბურ უბედურებას მიამსგავსებდი...

ლაპრადორი ლაპრიკო

დიდი ოჯახის წევრები დიდიან-პატარიანად დიდები იყვნენ, ზომით დიდები და კეთილები. ჭამა უყვარდათ ძალიან და ერთმანეთი. კიდევ ერთი ვიღაც უყვარდათ — ლაპრადორი, ისიც დიდი, მსუქანი და კეთილი. სიარულისას უკანა ტანს კეკლუცად იქნევდა და სუყველას კუდს უქიცინებდა. კარგა ხანი ჰყავდათ ეგ ლაპრადორი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ოჯახის უფროს ფაშფაშა-ქათქათა ქალიშვილს ალერგია ეტაკა. ექიმებმა დაადგინეს — ლაპრადორისააო. ოჯახი საგანგებო საბჭოზე შეიყარა, — რა ვქნათ, საქმეს რითი ვუშველოთო. სხდომას ოჯახის მამა თავმჯდომარეობდა.

თავყრილობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სხვა საშველი არ არის, ლაპრადორი უნდა გავასხვისოთო. ბოლო სიტყვა მამისა იყო და თქვა კიდევაც:

— რაო, გავასხვისოთო? ალერგია შენ გჭირს თუ ლაპრიკოს? ჰოდა შენ გასხვისდი, დროა, 28 წლისას ცოტა დაგიგვიანდა კიდეც.

უფროსი ქალიშვილი გათხოვდა, სხვა გზა არ ჰქონდა. ლაპრადორი როგორც ცხოვრობდა, ისევ ისე საპატიო სავარძელზეა წამოგორებული. ოჯახში ისევ სიამტკბილობაა და შვილიშვილიც შეემატათ. ამასობაში ყველაფრის მოკირკიტე ამერიკელმა მეცნიერებმა და-ადგინეს — ალერგია იმას არ ემართება, ვისაც — მუც-ლად ყოფნიდან მოყოლებული ან კატა ჰყავდა, ან ძალი, ან სულაც ბალახ-ბულახში გაიზარდა.

ასე რომ, შვილზე ოჯახს ცოტა დააგვიანდა, შვილიშვილზე კი ალერგიის შეყრის ვარიანტი არ არსებობს.

ორი მნევარი

ზამთრის პირზე ჩვენს მიტოვებულ სოფელს ორი მნევარი შეეკედლა.

ავტობუსიან, ავტომატებიან და ფანრებიან (ღამე ნადირი რო დააბრმავოს) მონადირეებს და-ეკარგათ. ჩვენ კი იმის იმედით, რომ მოაკითხავდნენ, სამოწყალოდ ხმელა პურს ვაჭმევდით - რა გული გაგიძლებს, სურიკატებივით წყვილად რომ დაგიჯდებიან, მალებამოყრილები, ლუკმის მოლოდინში. არადა, მახსენდება ერთი ქალბატონის ამბავი.

რუსთაველის თეატრი ბაქოში იყო გასტრო-ლებზე. ეგ ქალბატონიც იქ იყო, როგორც დასის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მეუღლე ცნობილი მსახიობისა. თან, როგორც ყოველთვის, თავისი პუდელი ჰყავდა წაყვანილი. გასტროლები დამ-თავრდა, თეატრი თბილისში დაბრუნდა, ქალბა-ტონი კი ბაქოში დარჩა... თავისი პუდელის საძებ-ნელად! დაჲკარგვია. ქალბატონმა უცხო ქალაქში იმდენი მოახერხა, რო კარგა ხნის ძებნის მერე იპოვა, იმედი რო აღარავის ჰქონდა!

ჩვენ კი გვაქვს, გვინდა რომ გვქონდეს იმედი, რომ ორ გამხდარ მნევარს გაიხსენებენ და მოა-კითხავენ.



ზაზუნა

როდესაც რაღაცას წერ, პირველად ვისაც აკითხებ, ის შემთხვევითი არასდროს არ არის. შემთხვევითი არც ფერმკრთალი გოგონა იყო. გულისყურით კითხულობდა. ყოველ ამოხედვაზე თვალებში ვუყურებდი — რას ფიქრობდა. უცებ წამოიძახა:

— უფრო საშინელი ამბავი ვიცი! ოღონდ ვერ მოგიყვები, გახსენებაც არ შემიძლია!

მერე კი თავი ვერ შეიკავა და აკანკალებული ხმით ზაზუნას ამბავი მომიყვა:

— ეზოში, ბიჭები ბადმინტონს... ზაზუნათი... ცოცხალი ზაზუნათი... თამაშობდნენ! ზაზუნას აბურთავებდნენ!

ჩოგნის ყოველ დარტყმაზე სუსტი კრუსუნი ის-მოდა. როდესაც ზაზუნას ბოლო ამოკვნესა მიჩუმდა, დაღლილმა სპორტსმენებმა ზაზუნას კუდზე ბანარი მიაბეს და ცეცხლზე ნელა დაწვეს.

ამ ამბის მოყოლა, ფერმკრთალი გოგონასი არ იყოს, მეც გამიჭირდა, მაგრამ არ მომეყოლა, არ შემეძლო.

ლეკცი

ახალი წლის წინა ღამე იყო. იანვრის დადგომას შესაფერი სიცივე მოასწავებდა. ქალაქი მიჩუმდა თორმეტ საათზე ერთიანი სროლის მოლოდინში.

„ალექსანდროვის“ ბაღიდან ყმუილი მოისმა, არ იკლო, იმძლავრა და სასოწარკვეთილ კივილში გადაიზარდა. ღამის სიბნელეში, ბაღში, ალვის ხეზე მიბმული ლეკვი განწირულად გაჰკიოდა, გათოშილი და შეშინებული.

პატარა გოგოს, მის პატრონს დაუსჯია – ლეკვმა თამაშის დროს ფანჯრის ფარდა ჩამოხია...

პატარა ციყვი

ქალაქის ქუჩაში ერთი ბეწო ციყვი გამვლელს
აეკიდა — ფეხდაფეხ მისდევდა.

კაცმა მოიხედა და დასაჭერად ხელი წაატანა.
ციყვი განზე გახტა. ახლა სხვამ დაუპირა დაჭერა
და ხელი სტაცა. ციყვი ამასაც დაუსხლტა.

— ასე არა, დაჭერა ასე არ უნდა, — თქვა ამის
შემხედვარე მოსეირნე კაცმა და ციყვს გაშლილი
ხელი მშვიდად გაუწოდა. პატარა თავისით შეხტა
ხელისგულზე, სითბო იგრძნო, მოკალათდა და იქ-
ვე ჩაეძინა. დღესაც ეს თბილი ხელები უვლიან,
თავისთან აცხოვრებენ და კოკო დაარქვეს.

მცევარი

ტახებზე მონადირე ორი მწევრიდან, ერთი ისე დაშავდა, ისე დაგლიჯა ტახმა, რომ მონადირეებმა, — მაინც მოკვდებაო, — სახლში აღარ დააბრუნეს და იქვე ტყეში დატოვეს.

ერთი კვირის თავზე სანადიროდ წასულებს თავიანთი მწევარი უკანა გზაზე მოლასლასე შეხვდათ.

უეჭველია, გაიკვირვებდნენ. დააპურეს, მოათბეს, თან გაიყოლეს, მაგრამ ნადირობისას ვეღარ დააკავეს, გაექცათ, და ამჯერად კი ნამდვილად შეაკვდა თავის მოსისხლე მტერს.

ნადირევი დათვი

კაცები ნადირობაზე საუბრობდნენ.

— მე კი — არა, არა ვნადირობ! ვერა, ვერ ვნა-
დირობ! გამიტყდა, მაგრა გამიტყდა! დათვზე ვი-
ყავით წასულები, კვალს დავადექით და მე შემრჩა.
თოფი შეყენებული მქონდა, ხელი ჩახმახზე მედო,
დავუმიზნე... იმანაც დამინახა... და თვალებზე
თათი აიფარა!!!

— არა, არა, იმის მერე თოფი ხელში არა ამი-
ლია!

ქვენარმავალი

ვარაზის ხევის თავქვეში, უნივერსიტეტის მხარეს, მტვრიან ასფალტზე წვრილი ქვენარმავალი პანიკურად იგრაგნებოდა — სამაგისოდ ჰქონდა საქმე, ქვის კედელს აწყდებოდა, ვარდებოდა, ისევ მიცოცავდა და საშველი არ უჩანდა. უნივერსიტეტიდან გამოცვენილი გოგოები გაასმაგებული ქალურობით გაჰკიოდნენ, ბიჭები გოგოების მოსაწონად გაასმაგებულად აგრესიულ ინტერესს იჩენდნენ. ხნიერი ქალი გაუჩერდა, გადაეფარა, არ მოკლათო, და ნაფოტის მიშველიებით მიწაზე შეგდებას ცდილობდა. ქვენარმავალი ნაცრისფერი იყო, თავზე ორი ყვითელი ლაქა ჰქონდა. ქალს ხელის მოკიდების, ხელით მიშველების ეშინოდა, ვერ გაერჩია გველი იყო თუ ანკარა, და მაშინ გაიფიქრა, — რამდენი რამე ვიცით, ასი წელი არაფერში რომ არ გამოგადგება, და რამდენი არ ვიცით გარდაუვალი და სასიცოცხლო.

თქვენ ხომ არ გახსოვთ, ყვითელლაქებიანი გველია თუ ხოკერა?

პლატები

— როგორი გადაყოლა იცით ქართველმა დედებმა, ჯარია, რა მოხდა, ვის არ მოუხდია, — მიუბრუნდა მძღოლი ჩანთებით დახუნძლულ ქალს.

ქართველმა დედამ ხმა არ ამოიღო, გული უჩქაროდა — მანქანა საჯარისო ნაწილს უახლოვდებოდა, შვილი დაინახა.

აწონილს სამხედრო ფორმიდან ხელ-ფეხი ამოჩრილი ჰქონდა, გალუმპულ კნუტების გროვას გულში იხუტებდა და შიშველ ხელებზე ჩამონადენ წყალს ცრემლების ღვარი ემატებოდა.

...კნუტები დასახრჩობად ზემდეგის კიკინები-ან გოგონას გუბეში ჩაუყრია.

— კი გყოლიათ მისახედი, — ჩაილაპარაკა მძღოლმა და დაბნეულად მიმოიხედა.

მშიშარა ძაღლები

სააგარაკო დასახლებაში, ტყიან ბილიკზე
პატრონი ორ მილეულ ძალლს დაასეირნებდა.

უცებ ძაღლები შედგნენ, ყურები ცქვიტეს,
აიჯაგრნენ და ყეფით ჩაბჟირდნენ.

ხეებს ამოფარებული ორი ჯარისკაცი იდგა,
შემთვრალები, წითურები, იარაღშეყენებულები,
ლულებით ძაღლებზე მიბჯენილი. ძაღლებს უცებ
ხმა ჩაუწყდათ, შიშით ადგილზე გაიყინენ, პატ-
რონს ვეღარ სცნობდნენ. ახალწვეული ჯარისკა-
ცები ყოფილან, (რატომძაც?) დასახლების ამბავი
არ სცოდნიათ.

— სწავლებებია, ნუ გეშინიათ, ტყვიები „ხა-
ლასტოია“, — კმაყოფილებით განმარტეს ბიჭებ-
მა.

— ნამდვილი ღმერთმა არ დაგაჭირვოთ, —
უთავმოყვარო ლაციცით „გაუგორა“ პატრონმა.

— გაიხარე, — ფართო, ავტომატიანი ხელგაშ-
ლით დალოცეს ახალწვეულებმა.

ჩვენი კი დაგვიხეთქეს გულები.

ნეტავ ასე მტერს თუ შეაშინებენ?!

ბოცვარი და კურდლეჭი


თეთრი ბოცვერი ეზოში მარტოდმარტო ცხოვ-რობდა. იცოდა თუ არა, პატრონი რისთვის უვლიდა და აჭმევდა, ვინ იცის, იწყენდა კია — ყურებდაცქ-ვეტილი ჭამასა და ჭამას შორის უხალისოდ იდგა. ერთხელაც პატრონს კომბოსტოს ფოთლები ხელში შერჩა — ბოცვერი არსად იყო.

— ამნაირ შემოღობილში როგორ დაიკარგებო-და, უეჭველი მომპარესო, — გადაწყვიტა.

ცისფეთვალება გოგოს კი ელიმებოდა. თურმე რიურაჟზე, უთენია ბევრჯერ უნახავს ტყის ნაც-რისფერი კურდლელი ბოცვერს როგორ აკითხავდა, როგორ უხაროდათ ერთმანეთის ნახვა და თამაში.

— ნამდვილად ტყეში გაიპარა, კურდლელს წაყვა, სწორედ იმ გზით, რა გზითაც კურდლელი აკითხავდა.

ერთად ყოფნა უნდოდათ და კურდლლის მოში-ნაურებას ასე არჩიეს.



დედა ქალლი

ძუკნას ძუძუები პარკებივით ეკიდა, ფეხებში ებლანდებოდა. რვა ლეკვი დაბადა, რვავე გადარჩა, და რვა ძუძუ რძით გატიკნილი სიარულისას აქეთ-იქით დააბანდალებდა. თვითონ ნეკნებად იქცა. ლეკვებს დააპურებდა, საღამოსკენ ლასლასით, ყეფა-ყეფით ეზოს შემოუვლიდა, ქვეყანას თავის ამბავს გააგებინებდა და შუაღამისას მეზობლის ეზოში იპარებოდა; იქ აივნის რბილ სავარძელში მიიძინებდა, ისვენებდა.

ეგრე ადვილია რვა შვილის გამოზრდა?!

ვრთხილი ჩიტი

ბუდე ცარიელი იყო, კომშის ხე კი ბუჩქად გაშლილი – მიგვავიწყდა და არ ვერიდებოდით. მერე შავმა თუქსუსმა ძალლმა, საათობით რომ იჯდა კომშის ძირში ერთ წერტილს მიშტერებული, მიგვანიშნა – ბუდეში ვიღაცა დასახლდაო.

ტოტები გავწიეთ, ბუდე ბუდედ აღარ ჩანდა, ზედ დიდი ფოთოლი ეფარა. დედა ჩიტი ქვეშ იჯდა, ფოთოლი კი ალბათ მეუღლემ გადააფარა, დამალა.

არ გვენდობოდნენ, ეგონათ ჭკუით გვაჯობეს.
რა ხიფათიანია ცხოვრება!

უილბლო კატა

გაუბედურებულმა კატამ ბეტონით ამოლესილ ქალაქში მოახერხა და ჩიტი დაიჭირა. პირიდან ცალი ფრთა და ბელურის გაშეშებული ფეხები ეკიდა. ბედით გაოგნებული იდგა და იმას ფიქრობდა, რომელ მოფარებულში შეეჭამა ასე იშვიათი სადილი. იქვე მდგარმა ლაზლანდარამ (ქუჩაში შაურმას რომ ღეჭავენ) რეაქცია არ დააყოვნა და ეკოლოგიური თანაფარდობა აღადგინა...

ალბათ ჩიტები უყვარს.

ჭარა

გზატკეცილზე ნაირ-ნაირი მანქანები სრიალ-სრიალით მიქროდნენ. ბედით კმაყოფილი სხეულები გადაჰქონდათ A პუნქტიდან B პუნქტში. პროგრესად მიჩნეული კომფორტი სიზანტეს ანანავებდა. კონდიციონერის უქონლებს სიცხე თავში უვარდებოდათ, დაგმანულ „ნინნასულებს“ შურით თვალს აყოლებდნენ. ყველაზე არშესადარი კაბრიოლეტი არხეინად არაფრად აგდებდა არც პირველთ და არც მომდევნობას. მცონარება სულებს იმკიდა.

ზეგანზე შოსე იალაღებმა მორკალეს. მორკალეს და დააბრკოლეს. მშვიდი განდინებით უშფოთველად დაიღვარა ზღვასავით მოლივლივე ცხვრის ფარა. მხარზე საწვიმარგადაგდებული მწყემსები სახრეებით საპატრონოს ერეკებოდნენ. ფარლალალა ზურგჩანთებში უპოვრის საგზალი ელაგათ – უეჭველი ხახვი და შოთის ნაჭერი. მანქანის პატრონებს თვალს არ უსწორებდნენ, ჯიქურ არ იმჩნევდნენ მოჩქარე მგზავრების ზეგარდმო უკმაყოფილებას.

ვინმეს თუ გაახსენდა მწყემსის და ფარის ნამდვილიც და ალეგორიულიც, ვინმეს თუ აღეძრა თანაარსობა, ვინმეს თუ აუთამაშდა სილალე და თავისუფლება?

ცხელოდა.

პვიცი

სოფელს ღვევი ერქვა და ჯერაც ჰქვია. ვერეს ხეობაში მზის გულზე კარგად ჩანს, პატარაა. რა-საც ხედავ, იმის ნახევარიც არ არის, ცოტა დარჩა, ერთი-ორი სახლი თუ შერჩება დროს – შიფერიანი, ბლოკით ნაშენები. დანარჩენს, ქართულს, ძველს – კრამიტის სახურავები ჩაქცეული, საბჯენები ლავინებივით ამოჩრილი, ხის აივნები გა-დაქანებული, რიყულები დამტვრეული, ჩუქურთ-მები ჩამოცვენილი. წინათ მობიბინე პურის ყანები სარეველამ დაფარა, ბალები – ჯაგნარმა. სოფელს შებერებული, კავიანი დედაბრებილა ინახავენ მთვლემარე სოფლის მილეულ სუნთქვას.

მოულოდნელად შორს ჭიხვინი გაისმა, შემტე-ვი, უცხოდ, შეუფერებლად. კვიცი დახტოდა, დარბოდა ტლინკების სროლით, თავის კუდს და-დევდა, სიცოცხლის სიხარულს ვერ იტევდა.

მნარედ გამეღიმა; ეგების იმიტომ ვხედავ ღვევს ასე საწყლად მიმავალს, რო ორივეს ერთი, რღვევის დრო დაგვიდგა.

ამ კვიცის კბილას კი, სხვას, გულისფეთქვა იქით გაახედებს, თრიალეთის, კავკასიონის, სოფ-ლის გადაღმა.

ცხოველები

მშვიდობიან დროს ამისთანა ფიქრები ცოტა ნა-
ძალადევი, ყურით მოთრეული გვიჩვის.

და, აი, ომსაც მოვესნარით. იმერული ოდის
თავზე ძალზე დაბლა ხუთმა ვერტმფრენმა გუგუ-
ნით გადაიფრინა. ავტომატის კაკანი გაისმა. ზედ
ყურთან, დიდი, შემფრთხალი ფრინველის ფრთის
ნიავი ვიგრძენი. ამდენი წელია ჩემს ბალში ამხელა
ჩიტი თვალით არ მინახავს. თურმე... და ის ფიქრე-
ბი, მშვიდობიან დროს ნაძალადევი რომ გვიჩვის,
მართებულად დამიბრუნდა.

ჩვენს მიერ, ჩვენივე, ადამიანების ატეხილი
ომების დროს, ვინმეს თუ მოუცლია ყოვლად უდა-
ნაშაულო ჩვენი თანამაცხოვრებლების მსხვერპ-
ლი დაეთვალა: რამდენი ფრინველი, ბელი თუ შვე-
ლი, რამდენი შინაური თუ გარეული...

დასასრული

საქმის დასაწყისი ჭირს და დასასრული, შუაში კი სიტყვა თვითონ გპოულობს. ამიტომაა, რომ დაწყება ეპიგრაფების ავტორებს მივანდე, დასასრული კი თავისით მოვიდა.

— ქალბატონოო! - მომესმა ღობის გადაღმი-დან და ჩემი ორი ძალლი ისტერიულად აყეფდა.

— კოლას შვილიშვილი ვარ!

ჭიშკართან თავჩაღუნული, სუფთად ჩაცმული კოლას შვილიშვილი იდგა, სადავით ჩალისფერი ცხენი ეკავა, ცხენი გამხმარ ვაზის ფოთოლს წიწ-კნიდა, უნაგირზე ბრეზენტის ხურჯინი ეკიდა, შიგ ხაჭო და არაუანი ელაგა. ერთმანეთი მოვი-კითხეთ, ხაჭო და არაუანი ვიყიდე და ჩემს ამბებს დასასრულად ჩავუთვალე.

ლმერთო, ნუ მომიშლი ცხენით მომსვლელ თავ-ჩაღუნულ ბიჭს, ბაბუამისის ნაამაგარ რძეს და ხა-ჭოს. სუპერმარკეტებისა და მერსედესების დროს რა მყიფეა, რა მსხვრევადი, რა ძნელი შესანახი თავჩაღუნული ბიჭი და ჩალისფერი ცხენი — ზედ გადაკიდებული ხურჯინით.

გადამცდარნი



„ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომ-
ლებიც ამტკიცებენ, რომ ყველაზე უარეს საუკუ-
ნეში მოუწიათ ცხოვრება. ვერ ვიტან ასეთ ლაპა-
რაკს. არ ვიცი, რა არის პროგრესი, მაგრამ ის ნამ-
დვილად ვერ გაგვიადვილებს უმთავრესს — ამქ-
ვეყნად ჩვენი სულის გადარჩენას...“

რობერტ ფროსტი

«На **тех** весах вздох и слеза перевесят расчёт
и умысел».

Венедикт Ерофеев
«Москва-Петушки»

ԵՐԺՄ

Շնոնդուս են յեզեր, նայար Շենութլեթուլ Շնոնդեծ-
ի յղամանցես եռքտ յըդո – դուդո, մազո, ցուսկրուս
ուշրեծուտ ծրժպատալա դա մոլուզլուզ – ծոյնեծուս
յղամանցես սամշայլո, յուլնի ճասածնեզո. մովաժ-
ւուրդո, յայլուզաս ար ապորեծծա, յուժորդա, յուեծու
յղամանցեծու յէլլանդեծուդա, ան զոնմեմ ազնո, ան մո-
ւու դրու ճագցա. նամուզուզանց, սատվալուս ծոյնդեշո
հիազսզո, դա յուլնի մուծմուս մացուրագ, յուլուտ մուզե-
ծո. որու յուեծուս პագրոնմա րա տյշաս, տոյ յէշս յուեծ-
նի մազալս յազլու անյ յուժորս. յէշսու յուեծուս პագ-
րոնմա րա յնաս, յորտեծուց րոմ սայրենագ յէշս ճա-
այրենա յու արա, սատվալուս ծոյնդուս սոյրդյ զեր ճա-
յուծլուզուա.

Րոցոր յըտնաօրագ յուժարդելագ մուզուզարտ,
ճա Րոցոր յըտնաօրագ յուժորս նասզլա, րա
այստանլագ յուժորս, րոցոր ար զոյնդեծուտ, զուծ-
րացուտ, ար զիյյարուծտ...

Տոտյուս ագալունի ագալունու ճախուրու սատվալուս
ծոյնդյ, ար յուպուրու եռքուս, թղարծս, մատեռզարս,
աարուդու տապու օնֆուր տոյ հիզենս յաժորվեծյուլս,
ար յաայարու յուլս յեզուսու սոծրմազյ տոյ արասրուլ-
յութուլյեծա – յախուսիցյ, յայանմրտելուցյ, մացրամ
ար յոնդյ յու յոմծայրեսու մուզլու – սոծրալյուլո.
Սոծրալյուլու ճա սոյզարուլու եռմ յըտուա.

...Ճա յուպուրուծ ծոյնեծուս ամ յուժուզայս սամշայլս.

სოფელი

ახალ ადგილზე თუ დასახლებულხართ? სულ
ახალზე? პირველ ერთი-ორ ენთუზიასტს ფრთხი-
ლად მოყვება კიდევ სამი-ოთხი, მერე აუჩქარე-
ბენ, და აი სოფელიც! ნელი-ნელ ირკვევა ვინ ვინ
არის – ხასიათებით, თორემ სამსახური ქალაქისაა
(თუმცა ხასიათიც). მაგრამ აქ, სოფლად, ჯერ ხა-
სიათებია. აგერ, პირველი უფრო მტაცებელი ყო-
ფილა, ვიდრე პიონერი, მეორე — უფრო წვრილი
მანაკი ვიდრე მევიოლინე, ის ცუდლუტი — დიდი
პოლიტიკოსი, აგერ მსახიობად რომ არ ვარგა —
ჯიგარი ყოფილა, ის ხელმრუდი, ეს ბაცაცა, ის
ბოზი, ეს ფეთხუმი, ეს კი, ხევისბერობას რომ ჩე-
მობს უფრო ხევის ახვარია, და ა.შ. ეს ყველაფერი
კარგი, მაგრამ სანამ სოფელში ერთი გიური მაინც
არ გამოჩნდება, იგულისხმეთ, რომ ოფიციალუ-
რად სოფელი – სოფელი არ არის. აბა უმაგათოდ
(ქალაქს და დაბას აღარ ვამბობ) თუ სადმე გინა-
ხავთ სოფელი?!

და აი, გვეშველა, გამოჩნდა!

ახლა მოდი შორს ნუ წავალთ, თუ ვინ არის გი-
უი, რის აქეთ გიურია, რის იქით – ნორმალური. ეგ
ჩვენ კი არა, დიდ ფილოსოფოსებს და ამა ქვეყნის
განმჭვრეტებს ერთიანად ვერ დაუდგენიათ.

მოდი შევთანხმდეთ: გიური ის არის, ჩვენ — მე
და შენ — რომ არ გვგავს. საქციელით, თორემ იმის
იქით დავიბნევით.

არა გვგვანან, და მორჩა!

პაპლის ჩიტი

მაინც რა დრო იყო! ახლაც შემოგვრჩა, - კვირა-ობით აქა-იქ „მაწონი, მაწონი“ – გაისმის, ან უთენია – „ბულკი, ბულკი“, მაშინ კი რას არ გაიგებდი:

- მაწონი, მაწონი! (ხომ ვთქვით).
- კარტოშკა, კარტოშკა, კარტოფილი!
- ლელვი, ლელვი!
- ტაჩი ნაუი ნოუნიცა!
- ბატი-ბუტი, ბატი-ბუტი!
- ბოთლებს ვიბარებ, ბუტილკა საბირაი!
- ყვაილების მინა!
- ცოცხი, ცოცხი!

ხანდახან უცნაურსაც შემოგთავაზებდნენ: მატყლის ჯოხები, მატყლის ჯოხები! გაიხედავდი – პატარა, ხმელი, ვერცხლის წყალივით მოუსვენარი, ჭროლა მოხუცი, მხარზე გადებული, კონად შეკრული ჯოხებით.

— მატყლის ჯოხები არ გინდა, ქალო?! ეხლა დავჭერ, კარგია. არა მცნობ? კაკლის ჩიტი ვარ, წყნეთელი. ისე მოგცემ, აიღე!

კარგა ხანს ალაოდ მეგონა. შუა ვაკეში რის მატყლი, რის ჯოხები, რის კაკლის ჩიტი! მერელა გავიგე: მართლა წყნეთელი ყოფილა, ჩვენ გვცნობდა და ჩემს რძლობასაც, და მართლა “კაკლის ჩიტი” იყო – სოფელმა შეარქვა. ხეებზე ძაფრინავდა, კაკლის ბერტყვაში ბადალი არა ჰყავდა, თავი ამით მოსწონდა. ოჯახიც ჰქონდა, ვაუებიც ჰყავდა, მაგრამ ხეებზე ძრომიალს არ იშლიდა – კაცი იყო და საქმე ჰქონდა. ძაან სიბერეში ტოტმა უმტყუნა, მიზიდულობის ძალა ვერ დაძლია... სული კი ნამდვილად ცაში აფრინდებოდა.

დაფინა

ჩვენებური ბაზარი, ჭრელი, ფერადოვანი, ხვა-
ვიანი. გულს გიკეთებს, დოვლათი იმედისაა, გა-
დაზამთრების. მოვაჭრებიც აქ იხსნიან სოფლის
შეგინებას, მათ ხელში ხარ, გმართავენ, გეპაექრე-
ბიან. თავისას ვინც უზის, უფრო მორჩილია —
ოფლმა სიკეთე იცის, სხვები უფრო მედიდურად
დაუთმობლები. ყველას თავის ხასიათი აქვს, თა-
ვის ელფერი. ხილის რიგში მზე არ ჩადის, ზაფხუ-
ლი არ იწურება. ანათებენ მზით დამრგვალებული
ხურმები და ბრონეულები, ლიმონის ხორკლებზე
ნერწყვი გიმუავდება, ხალისი გეძლევა. ბოსტნეუ-
ლი უფრო დემოკრატიულია, მიწიერი, თვითონაც
და გამყიდველიც უფრო დამყოლია, უფრო არასა-
ნაძვისხეო. ჩირებში რატომღაც ორი ქარვასავით
რუსი მეფობს — ბაზრის თვალი, ბაზრის მშვენე-
ბა; სანელებლებს კი უფრო თავნაკრული ოჯახის
დედები უძღვებიან. ხორცის მხარეს არ უნდა გაი-
არო, თუ ანგელოზური გინდა შეინარჩუნო. იქ
ყველაფერი სისხლზეა დამკვიდრებული და ყას-
ბის უპირატესობაზე. ხორცს ქალები არ ვაჭრო-
ბენ, მხოლოდ ქათამს. ცოტა იუმორი გინეკოლო-
გიურად გაპარჭყულ დედლებს შემოაქვთ, ყვით-
ლად ცხიმიანს, კანგადამსკდარს. ისევ ყველის რი-
გი სჯობს, ქათქათა და მშობლიური, ყველა კუთხე-
კუნფულის სახე და მადლი. აქ ქალი და კაცი ერ-
თია. მაგრამ თუმურს უფრო კაცები ვაჭრობენ,
სულგუნს — ქალები. აი, სოფლის კვერცხებს, კა-
ლათაში ჩალაგებულს, კაცი ეჯდეს, ეგეც იშვია-
თია. ჩვენებური ჩურჩელები, ტყლაპები და სა-

წებლებიც უფრო სადედაკაცოა. რა უსახსროდაც უნდა იყვე, ბაზრის პარაქა მაინც უკეთეს გუნება-ზე გაყენებს. დახლებს შორის მოფუსფუსე მათ-ხოვარიც აქ მარტო არ არის, ხალხში ირევა, არ დაიკარგება. და უცებ ბინძური კიბის თავზე, ყვე-ლის დახლს ზურგით მიყუდებული, მიწაზე მჯდო-მი კაცი ხიჭვივით გატკენს. ნამეტანი ჩრდილშია, ნამეტანი უსიხარულო. თვალს აარიდებ, გასცდე-ბი და გეძახის! სახელს გეძახის! ბაზრის დემოკრა-ტიზმაც აქვს თავის საზღვრები, მით უფრო, არც ბაზრის დირექტორის გამტოლებელი ხარ. ჩერდე-ბი და სცნობ, გიცნობს, ბურკაძეა, შენი სოფლი-დან, შენი იმერეთიდან. სამათხოვროდ არა, სავაჭ-როდაა ჩამოსული, წინ უწონადი ტომარა უდევს, დაფნის ფოთლებით სავსე, ზედ დაფნის ტოტი, ლამაზი და სიმბოლური. ყველანაირი ეკალი, შიდა და გარე, ჩამოგეყრება, ერთნი ხართ სოფლის და ბაზრის წინაშე. დიდ, გვირგვინად ჩაწნულ დაფნის ტოტს გჩუქნის, პერგამენტივით პრიალას, და ერ-თმანეთს ემშვიდობებით.

სოფელში რახანია არ ჩავსულვარ, არც ჩემს-კენ ველოდები ბურკაძეს. დაფნის გვირგვინი სამ-ზარეულოს კარადის თავზე მტვრით გაფერმკრ-თალდა, უფრო ალიგიერის საკადრისი.

რა სისაწყლეა.

მედუდუკე

პლასტმასის კრამიტით გადავლილი სიღნაღი, პიკასო და ცაში ჩაკარგული ალაზნის ველი — როგორი მოსარიგებელია?! იწყენ და ალაზნის ველს შერჩები. და ამ დროს — მუსიკოსები. ჩვენებურს, ქართულს, „დედიკოებზე“ მღერიან. უფრო იწყენ. ორატორია გირჩევნია. ოფიციანტებივით გემსახურებიან, ვაჭრულად გაფასებენ, შაბაში სჭირდებათ — მაგათი ხელფასი ხარ. ეგუები. ალაზნის შვილია, ეგებ ეგ გერჩივნოს. გადამხდელი ჰყავთ — ახალგაზრდა, ერთი-მეორის პირზე მკოცნელი, ხელგაშლილი დედიკოების შვილები. ალაზნის სივრცეს ეგენი არა — შენ არღვევ. შენ არ უხდები მედუდუკეს, ცხვირ-პირ გაუიშინებულს, ტკიპივით ჩასხმულს. შენ არც გიყურებს, უკრავს, დუდუკს სეგმენტებად შლის, ზედ ღვინის ჭიქას დგამს, ისე უკრავს. საცირკოა, ილეთია, შვილები ჰყავს, ცოლი, დედიკო. ალაზნის ნიჭი დრომ ჩაყლაპა, ვაჭრობამ — ბგერა. უკრავს, ფორტეზე წყდება. ჭიქა უტყდება, ღვინო ესხმევა. იმეორებს და იმავე ფორტეზე კივილი გამოსდის. კივილი შენია, შენი სიღნაღის, შენი ალაზნის შვილის. ძალიან გიყვარს, კუბიზმს გირჩევნია.

„ხევისბერობა“

თავში ხევისბერობა ვახსენე. სოფლის ახვრობას რომ უფრო ჰეგავდა. ტიპი კაცური ჩანდა, პირველი სახლდებოდა, ტყეში, უგზოობაში. სიკეთეს სატყუარასავით ხმარობდა საჭირო მეზობლების მოსათაფლავად. კიდევაც გამოსდიოდა, სანამ გაუგებდი — ერთ სიკეთეს ორ ქვეშქვეშა ბოროტებას რომ მოაყოლებდა. სამსაც, თუ მოახერხებდა. მოკლედ, სიკეთე რომ ემეტა, ანგარიში გაგვისწორა.

სოფელი ნასოფლარზე გაშენდა. ალაგ-ალაგ ღობე-ყორე შეხვდა ზოგიერთ ბედნიერს. ზოგს წყაროს ძარღვი შიგ ყურის ძირში. რა თქმა უნდა ხეებიც. უმეტესად კაკლის ზორბა ხეები, აქა-იქ ქლიავი და კომშიც. მოკლედ — კაკლები. ბევრი იყო. ზოგის ეზოშიც, ზოგიც შორი-შორს მიმოშენებული. ზოგი შუაგულ მდელოზე, ზოგი ტყის პირას. ერთ დღეში სუყველას ვერ შემოურბენდი. თან ვერ წაიღო დალოცვილმა დამრგველმა! და ამ ჩვენმა ხევისბერმა კაკლის ინტერესი რო შეატყო „სამწყსოს“, საჯაროდ განაცხადა:

— ის ხეები (კაკლის), რომლებზეც სარია მიყუდებული — ჩემია, სოფლად ეგრეა.

მერე შევამჩნიეთ, მიყუდებული ყველას ჰქონდა. ხევისბერს მიმოქცევაზე კანონთან თოთო მიამიტის შეუხებლობა არ ეტყობოდა. ამიტომ უფრო უნდა გვევარაუდა — ან გიუი იყო, ან გიუებად გვასაღებდა. არჩევანით ორივე ვარიანტი უნდა გაგვხარებოდა.

სოფელს გიუი ევლინა.

ქრისტეფორე

ფარავანი დიდია, მშვიდი, ყველას განბანს, მონათლავს: ქართველს, სომებს, დუხობორს — ცივია და განურჩეველი.

ქრისტეფორე! ხალხში დარბის, ირევა, პრინცად ქცეული მდაბიო. იფერებს, უხდება ტანზე შავები, თეთრი ფეხსაცმელი, თეთრი შლაპა. პლასტიური, გრაციოზული, გრძელი მკლავები, თხელი მტევნები, თლილი თითები, ნუშის თვალები შავი, წყვდიადი, და თეთრი ცხვირსახოცი.

ქრისტეფორე! ტრაპეზი: ჯური, ჰაცი, ჰანირი, გინი. ვაზის ფოთოლი და ტოლმა, ტოლმა. შია, ტოლმა მუშტში უჭირავს, მკლავებზე ცხიმი ჩამოსდის, ტოლმიანი თითით ცხვირს იწმენდს, ფრჩხილები შავი, სახე ცხიმიანი, თეთრ შლაპას იხდის, მრგვალი, არიული თავი, შავი თმა, ტოლმიანი ხელით თმას ისწორებს, სცივა, გალურჯდა, ვერ გრძნობს, მიჩვეულია, ფეხსაცმელს დახედა, თეთრი ცხვირსახოცით გაიწმინდა.

ქრისტეფორე! დღეს პრინცი, ხვალ მდაბიო! ისევ სანაგვე, ცარიელი ბოთლები, სიცივე, უღიმლამო ქალაქი, ლოთი დედა. არც თეთრი შლაპა, არც თეთრი ფეხსაცმელი, არცა ტრაპეზი, არც ვაზის ფოთოლი, არც თეთრი ცხვირსახოცი.

ქრისტეფორე!

ფარავანი დიდია, ცივი და განურჩეველი, ყველას განბანს, ყველას მონათლავს, ყველას დაიტევს.

ბავშვთა სახლი

ბავშვთა სახლი, მისი ბინადრები...

ვყოფილვარ, მინახავს....

ერთს ვიტყვი მხოლოდ.

ბავშვთა სახლში ან არასდროს არ უნდა შეხვიდე, ან თუ შეხვალ, რაღაცა უნდა მოიმოქმედო, ან ისე უნდა დაიმდულრო, რომ სტიგმატები დაგემართოს, სხვისთვის უხილავი, შენთვის მოუცილებელი, უმაქნისობის საზღაურად.

რაული, ბიძინა, ტყუპები ანი-თეონა, მარიამი,
ბაკური, რაული...

გეთლემის ვარსკვლავი

მოკლეა ჩვენი მეხსიერება. ერთი თაობის წყვეტაა საჭირო, რომ ყველაფერი დროს ჩაბარდეს. ტოპონიმები თუ შეგვინახავენ წარსულის კვალს: შახტსტროი, იმელი, ანდროპოვის ყურები, კიროვის პარკი – იმ დროის კვალია, როდესაც კიროვი ვინ იყო, ბავშვმაც კი იცოდა, და იოანე ღვთისმეტყველი მაშინდელმა კი არა, ბევრმა დღევანდელმა მორწმუნემ ნათლად არ იცის.

სწორედ იმ დროს იმელის შენობასთან ანდროპოვის ყურების მიმართულებით ქალი მიდიოდა, წელში მოხრილი, ზურგზე ჯვარმოკიდებულივით. პირველ შეხედვაზე ეგრეც იფიქრებდი, ჯვარი გეგონებოდა, და ჯვარიც იყო – დამბლადაცემული შვილი. ყველა დროის ნორმალური ობივატელი ზურგზე კაცმოკიდებული ქალის დანახვაზე ავარიას, უბედურებას იფიქრებდა. ასეც ფიქრობდნენ და მანქანებს უჩერებდნენ. ქალი მანქანაში არაფრით არ ჯდებოდა. მადლიერებით უარს ამბობდა. რუსი იყო და რუსულად პასუხობდა:

— Спасибо, сынок! Недалеко иду, к Иоанну Богослову, сказали, близко это.

რუსთაველიდან კიროვის პარკამდე რა გაუჭირვებდა (სადაც თურმე იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია ყოფილა), როდესაც შუა რუსეთიდან ასე, ფეხით, შვილმოკიდებული მოდიოდა. მოდიოდა წმინდა ადგილებში, წმინდა ტაძრებში, ლოცვა-ვედრებით, რწმენით სასწაულქმედი ძალისა, იმედით შვილის ფეხზე დაყენებისა.

— Где придется сынок, спим на паперти. А хлебушек? Люди добрые везде есть. Христос

за нас понёс и мы снесём. Храни вас Господи!
ასე დაგლოცავდა, და გზას დაადგებოდა, თავისი
ცხოვრების გზას. ასეთი ტერტულიანესებური აბ-
სურდი რწმენისა ან რწმენა აბსურდისა თუ შეგაძ-
ლებინებს შეუძლებელს, თუ დააყენებს ფეხზე
დამბლადაცემულს. ჩვენ კი იმ დროშიც და ყველა
დროს, შეგრძნება გვქონდა, რომ იქით, მთის გა-
დაღმა არ გვახედებენ. და ეს „მთის გადაღმა“ —
ცა ყოფილა ჩვენს თავზე და ცაზე ბეთლემის ვარ-
სკვლავი.

დანაშაული

მოწესრიგებულია ქალაქი პარიზი, სულს მოითქვამს ჩვენგან ჩასული, მოისვენებს, თითქოს შენ გინყობენ ხელს მტკიცანის მოსამუშებლად. ზიხარ განცხომით ავტობუსში და მგზავრებს ათვალიერებ. და მაინც გერლვევა მყუდროება, აქაც ყოფილა ავადმყოფობა და სიკვდილის აჩრდილი – ავტობუსი ჩერდება, და ამოდის ახალგაზრდა კაცი, ძლივს ამოდის, ძლივს იმორჩილებს თავს, ძლივს სუნთქავს, ძელზე ხელს იშველიებს, ჯდება და ხედავ – მიტკლის ფერი ადევს, ჩაცვენილ თვალებში აღარც იმედია, აღარც შველა, ცივი ოფლი ასხამს, მოდუნდა და მითვლიმა. სულის მოთქმას კონტროლიორი ურლვევს, თავზე ადგება და მხარზე შეჯანჯღარებით მგზავრობის ბილეთს ითხოვს. კაცი მუდარის მზერით ხელებს შლის, და გესმის, არც ბილეთი აქვს, არც ფული, არც შეპასუხების ძალა. კონტროლიორი ულმობელია, როგორც ბედისწერა. ვაი, რომ ენა არ იცი, სიტყვას ვერ ჩაურთავ მგზავრების გამოსარჩევების მომლოდინე. ავტობუსი დუმს, პარიზელები გიყურებენ და ვერ გხედავენ, მარტო სამართლის მკაცრი ხმა ისმის და თავის მართლების ჩურჩული. არაფერმა გაჭრა, ბოროტმოქმედი გაჩერებაზე ჩაათრიეს. ავტობუსი ისევ დაიძრა, პასტორალური წესრიგი აღსდგა.

თბილისი მომენატრა.

გიში მარინა

სოლოლაკის ქუჩების გზაჯვარედინზე, მანქანების სავალ გზაზე ზის ქალი, სახლიდან გამოტანილ ზურგიან სკამზე, მხედარივით ფეხგაშლით შემომჯდარი.

ცალი ხელი კვერთხივით ყავარჯენს ეყრდნობა, მეორე — ლარივით გასწორებული მათხოვრობს, უფრო „მოთხოვრობს“ („მოთხოვნის“ სემანტიკიდან გამომდინარე). გზისგასაყარის მესაზღვრეა, მეხარკე, ცნობიერი და ურცხვი. სირცხვილისაგან სახენაფარებული მათხოვრობა, ფერხთ ბეჭდური ასოებით დაწერილი ახსნა-განმარტებითი ბარათით, მარინას არ ეკადრება, არც სჭირდება — ყველამ იცის ვინ არის „გიში მარინა“. ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს კინოთეატრის სიბნელეში მისი გოეთესებური შეძახილი — შუქი აანთეთ! ანთებული შუქი და შუაგულ დარბაზში ქალი, ღვინით სავსე ჭიქით ხელალმართული, ახსოვთ მისი დამლოცველი სადღეგრძელო, ისევ შეძახილი: ეხლა ჩააქრე! ჯერ კიდევ ახსოვთ მისი ბოზობაც. საზღაურისას კი თვითონ მოგიყვება გზაგამოვლილის დიდაქტიკური სიბრძნით.

მისი თანამდევი მის თანამოლხინებს თუ ახსოვთ, თორემ ღერძული ფეხმოტეხილსაც არ გასტყდომია.

ამაყია, შეუვალი თუ მართლა გიში?

მანი, მანი

რომ შეხედავ – თაგვია, სუფთა თაგვი, ყველაფრით ნაცრისფერი. ეგრე გეგონოს! ასი წელი ყოველ ქუჩაში გასვლაზე, სულ ცოტა ორ-ორჯერ მაინც ნახავ, ერთი – სახლიდან გასვლისას ნახავ, მეორე – სახლში დაბრუნებისას ნახავ. საერთოდ თუ არ გადიხარ, ფანჯარაში არ უნდა გაიხედო – ნახავ. ამოჩემებული თუ ჰყავხარ, შანსი არ არის, არაფერი არ გიშველის, ვერ დაუძვრები – დაგინახავს, დაგიმიზნებს, დაგეტაკება, – მანი, მანი, მანის გაიძახის და შენ ცხვირთან თავისი სამი თითის მოძრაობით გითარგმნის.

ამ სიტუაციიდან ორი პოზიტიური გამოსავალი არსებობს:

შენთვის – თაგვმა ინტერესების სპექტრი რომ გააფართოვოს, უცხო ენას ისწავლი.

თაგვისთვის – შენ ფული რომ აძლიო, თაგვი წელში გაიმართება.

მოცემულობებიდან გამომდინარე, ინვერსია ვერ ხერხდება. ერთი რამე კი აშკარაა – თუ მოქალაქეობა არ შეიცვალე, ან უბანი მაინც, ნევროზს აგკიდებს!

მანი, მანი, მანი, მანი!!!

ზანგი

ვარაზისხევის აღმართზე თუ წითელი აგინთო, ვერ გაასწარი და მანქანა გზაჯვარედინზე გაგი-ჩერდა, უცნაურს დაინახავ – ზანგს. პანტერის ტყიური მოძრაობით მანქანებს შუა ხელგაწვდი-ლი ცეკვა-ცეკვით დადის ზანგი, ხვანცალებს და უცებ ვერ ხვდები, რა უნდა. ჩვეულებრივად აცვია – ჯინსი, მაისური, ფეხშიშველობაც მისთვის ბუ-ნებრივი გგონია.

გაჭირვებულს არა ჰერავს, არ თამაშობს, თავს არ ისაწყლებს და ხვდები, ზანგობისას ითხოვს. შოკოლადისფერ სახეზე ვერანაირ ემოციას ვერ კითხულობ, შენც არანაირად არ ღელავ, გულგრი-ლი რჩები და ერთს გაიკვირვებ – სად უჭირდა ამა-ზე მეტად, სამათხოვროდ რომ ჩვენთან ჩამოვიდა.

უფრო შენსას ფიქრობ, შენი ქვეყნისას.

რა უსაშველოდ გრძელია გზა მათხოვრიდან პრეზიდენტამდე!

პარდები

ფაქტობრივად, კონცერტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ყველას იცნობდა – ბარდი-მომ-ლერლებიცა და მსმენელებიც. უბრალოდ თავი მოიყარეს. ყველა ბარდი გიტარის თანხლებით მღეროდა საკუთარ სათქმელს. ზოგის მუსიკა სჯობდა, ზოგის ლექსები, ზოგისას ორივეს არა უშავდა. ამ ბარდისას კი ვერაფერს გაიგებდი, მარტო სტროფის ბოლო სიტყვას თვლითინებდა, დანარჩენს ერთიანად ყლაპავდა:

..... .ЛЮБЛЮ
..... .ПОЮ
..... .ЛЮБОВЬ
..... .ТВОЮ

აზრს რომ შეეშვებოდი, დააკვირდებოდი – უკ-ბილოა, ელემენტარულად ცარიელი აქვს პირი. ძა-ლისხმევა მარტო ბოლო სიტყვას ყოფნიდა. გალი-ზიანდებოდი, ჯერ პირს მოუაროსო, მერე — ასეთ დღეში საერთოდ რა ამღერებსო, მერე დაწყისტის ნიხრი გაგახსენდებოდა, მერე შეიბრალებდი, ამა-სობაში სიმღერაც მორჩებოდა. ამოისუნთქავდი, ამისთანა უსახსროს ბევრს არ ემღერება, ფონს გა-ხვედი, გგონია. ამასობაში გაიხედავ, კიდევ ერთი მღერის, ახლა ბარდი ქალი. ამის სიტყვა არც ბო-ლოში ისმის, არც თავში, ერთი მთლიანი აუმია. ახ-ლა უკვე შემზადებული ჩააცქერდები პირში: თურ-მე კბილები კი აქვს, მაგრამ რომ არ ჰქონდეს, სჯობს! კბილების თანწყობით იგივე ძვირადლირებული დანტისტები ფსიქიურ სრულყოფა-არასრულყო-

ფას ადგენენ თურმე. აქ დიაგნოზი დასმული იყო. კბილები ენას (როგორც პირის ღრუს კომპონენტს) ტოტალურად უშლიდა, ამასობაში დედა-ენასაც ერხეოდა. პლუს ამას, ქალი გაჭირვების-გან წრიულად თვალებს აბრიალებდა და დამხრჩ-ვალივით ჰაერს ყლაპავდა. სიმღერისთვის აღარ გეცალა, რითი მიშველებოდი — ფიქრობდი. ამას უკბილო ბარდი დაგასწრებდა და დიდი მოფერე-ბით მიკროფონის შნურს გაუსწორებდა. გულმტ-კივანს ნაკლულებზე ამდენი ირონია არ გეკადრება, მით უფრო, მსმენელს, მაგრამ რო გაიგებდი, რომ ეგ ორნი, უკბილო და კბილებიანი, საყვარლე-ბი ყოფილან, რომ სიმღერითა და სიყვარულით ერთმანეთს ამ ქვეყანაზე ყოფნას შველიან, და-ფიქრდებოდი და ჰოლივუდური კბილების თან-წყობას, რამე რო იყოს, დასთმობდი...

პიგარი

დედამისს ღორი უყვარდა სუფრაზე. სუფრის თავშიც. ღორის „ხალადეცი“, ღორი მოხარშული (ტყემლით), ღორის მწვადი (უტყემლოდ), ღორის თავი ბოლოკით. ახალი წლის სუფრა ღორის გარეშე არ სწამდა. თანაც „რასაც შეჭამ შენიაო“, და საუკეთესოს ითხოვდა.

ჯიგარი დედის სიყვარულით იღვწოდა. 20 აგვისტოს ცხრა მთას იქით სოფელი მონახა, ღორების ფერმას გაეცნო, ორი საუკეთესო მოიწონა, გაასუქეთო და დეკემბრის 20-ში მოგაკითხავთო. ფული ჯიგრულად გადაიხადა, ზედ ჯიგრულად ფეშქაშიც მიაყოლა.

20 დეკემბერს დილიდან შუადღემდე ფერმის პატრონს ეძებდა – ღორებს დასდევსო, ღორი – რკოს, ჯიგარი – ფერმის მეპატრონეს. ნაშუადღევს ქანცგამოლეული მეპატრონე ჯიგარს ჩაბარდა, შეატყო, ვერ აჯობებდა. ჯიგარი, რისი ჯიგარი იყო, სული მოითქვა, და საჩუქრები ამოალაგა: ფერმერს 20-ლიტრიანი ბოცა ღვინით, მის კნეინას – ავის ასაცდენი გიშრის თვალი, უჭულ-ბუჭულოებს – კონწიალები და ჩირთი-ფირთები. მშვიდობა აღსდგა, სუფრაზე ბოცა დაიდგა, ზედ ჯიგრის საგზალი მიულაგდა. ჯიგარი ვერ სვამდა – „რულზე“ იყო. მასპინძელი და მასპინძლის ძმაბიჭი მეღორეები ჯიგრის სადლეგრძელოებში იხრჩობოდნენ. შეღამებისას სოფელი მზად იყო ღორების დასაჭერად: ვინ, სად, ვის, რატომ დასდევდა ბოლოს გაირკვა – ორ ფერმიხდილ ბურვაკს დაასკდნენ და გაგუდეს. ჯიგარმა – დასაკოდად იჭერთო? ჩემები დედლები იყვნენ! პატრონმა – უი, ისინი მგლებმა შეჭამესო.

ჯიგარს სისხლმა თავში აასხა – გაგწყვიტავთ,
დაგკოდავთ ღორებივითო! უჭულ-ბუჭულოები
გამოლაგდნენ, სურდოიანი ტანტალები. დაკოდ-
ვას აიტანდნენ, დასაობლებლად მეტნი იყვნენ.

დედას საახალწლოდ სამუშაუშე ჩლიქები შეხვდა.

ჯიგარს – კერატის ყვერები და კუდები – მიყ-
ვარსო.

ზარმაცხები

ორი ტიპი, ალბათ ქურთები, ასე 17-18 წლის, საგანგებოდ მიშვებულები – გასაფეროთხი მტვრი-ანები, იღლიებში სიმეტრიულად ყავარჯნებ-ამო-დებულები, მიქცევა-მოქცევით, ლაპარაკ-ლაპა-რაკით ქუჩაში დაიარებიან. რაღაცა საინტერესოს ჰყვებიან.

შიგადაშიგ ყავარჯნები უშლით, ხელში იკავე-ბენ და ჩვეულებრივ სიარულში ისვენებენ. ქუჩა ლარივით სწორია, გამვლელები ერთიმეორეს შო-რიდან აფიქსირებენ. სადარბაზოში თუ შეხვალ, თორემ ქუჩის ბოლოდან ჩანხარ. ჰოდა, ეს ახალ-გაზრდები საინტერესოს რომ მორჩებიან, საქმე რომ გაახსენდებათ, უცებ წყვილად დახეიბრდე-ბიან, სიმეტრიულად ყავარჯნებს ამოიდებენ, და, არც მეტი და არც ნაკლები, ლარს გთხოვენ:

— **Лари дай, ну!**

დეგენერატი უნდა იყო, რომ ლარი მისცე, ნე-ტავი დღის ბოლოს მაგათი ნადავლი დამათვლე-ვინა, ეგეთი რამდენია.

პოშები

ამათთვის ხომ დრო არ არსებობს; არც ჩაცმულობას იცვლიან, არც ქცევას, არც მრავალშვილი-ანობას. ლალები, მიუბმელები, ყველგან და ყოველთვის განზე მყოფები, ხელმრუდები, ვაჭრუკანები, მარჩიელები. ხან „ნასკა“ გტენიან, ხან ოფლის წამალს, ხან **Боря-гадай-ს.** **Боря** ყვითელი, ჯიბის თუთიყუშია. ჯიბიდან გავარდნილი **Боря** «**Боря-гадай**»-ს გაგონებაზე ჯიბიდან ძვრება, მხარზე აცოცდება, შეიფერთხება, თხილისხელა თავს აქეთ-იქით ატრიალებს, პატრონის ქუდში ჩაყრილი დაგრაგნილი ქალალდებიდან ნისკარტით ერთს ამოიღებს – შენი ბედისას. ფულს უადებ და კაის კითხულობ, **Боря** ცუდს არ გეტყვის.

— Ещё дай, бойко, Боря чайка хочет!

მოიცილებ, გელიმება, გართობს, ერთობი, და ქალალდში მალულად იხედები.

ფაქტია, **Боря** ყველგან **Боря-ა**, ჩვენშიც და ჩინეთშიც იცნობ და გიცნობენ. ქვეყანა ყველგან მაგათია, და არსად არ არის.

არც გეცოდება, არც გშურს, არც ითავისებ. მაგრამ ეგრე კია?

პროფესია

მათხოვარი და გიუი – თურმე ესეც პროფესიაა,
ამასაც დაუფლება სჭირდება.

იტალიური ეზოს ყაიდაზე მორკალული ხუთ-
სართულიანი სახლის ეზოში სასოწარკვეთილი
კივილი ისმის:

— ხალხებო! გიშველე!

გულის გამპობი, ამის მოსმენა შეუძლებელია,
უნდა შეწყდეს, უნდა შეწყვიტო. გიუივით ეფეთე-
ბი ჩანთებს, ფულს ეძებ, ნახულობ, ფანჯარას მი-
ვარდები, ვერ აღებ, საკეტს მოგლეჯ, გააღებ,
ფულს გადააგდებ.

გეშველა. კივილი შეწყდა. ბრმა მოხუცი და
ახალგაზრდა ხეიბარი თავნახრილები ხურდა
ფულს ეძებენ, კივილისათვის აღარ სცალიათ –
ბევრი დაუყარეს. ხვდები, სახლი ნევრასტენიკე-
ბით ყოფილა დაკომპლექტებული. შემკივლებ-
ლებმა სიჩუმის გამოსასყიდი შეაგროვეს, ეზოს
დასანახად ისევ ძვლებში დაიშალნენ, ყავარჯნებ-
ზე მიწვნენ, ერთი-ორი გაჩოჩდნენ, და კუთხეს მი-
ფარებულებმა მოკურცხლეს.

გაგაცურეს, გიხაროდეს – არც ეგრე უჭირთ,
მაგრამ კივილით დაშანთული კიდევ გენვის და
ბოროტება გეპარება...

რუსი

ვინმეზე თუ თვალი შეაჩერე, უკვე ურთიერთობები გილაგდება, და თუ ერთსა და იმავე ადგილზე გხვდება, იცი რომ დაგხვდება, უკვე იგულისხმე, რომ იცნობ. აგერ რამდენი წელია, პეტრიაშვილის კუთხეში სათნო, უმოძრაო, თეთრი, რუსი ქალი ზის, კალთაში ჩახუტებული მშვიდი ბავშვი უზის და სცნობ, იცი, რომ სამსახური არა აქვს, ფერი არ ადევს, საჭმელი უჭირს, წამალი, ბავშვს გამონაცვალი აცვია, ნაპოვნ სათამაშოს ათვალიერებს, იცი, ან მარტოხელაა, ან კიდევ უარესი... შენს ფიქრს იკავებს, ზოგს ხვდები, ზოგს იგონებ. შეეგუები. და ერთბაშად – მეორე ბავშვიანად დაგხვდება. ეგეც თავისია თუ შეაჩეჩეს? რუსი დარდიანია, დარდს რაღას იმატებს. ლიზიანდები, მეორეს ჩააცქერდები, ესეც უფერო, ჩუმი. დრო გადის, თავისას შვრება. იცი, ორი ჰყავს, მაგრამ ცოტათი ლელავ, მესამეს ხომ არ ელოდება?

ქართველი

როგორ ვახსენო ამ მიმართებაში ქართული სიმღერის დვთიური ჰანგები, როგორ წარმოვთქ-ვა ქართული ნიჭის სახელი — ჰამლეტი?! მაგრამ მისი სახელიც ხომ ყოფნა-არყოფნას ეთამაშება და ბოლოს და ბოლოს ყველა ხომ ამ ქვეყნის შვი-ლები ვართ. არა სადმე სხვაგან, არამედ საქართ-ველოს შუაგულში, თბილისში, რუსთაველის მოე-დანზე ქართველი ბიჭი ზის, ყველაფრით ნაკლუ-ლი, სმენითაც ნაკლული, ჩონგურზე უკრავს, დოლზე ფეხს აყოლებს და ქართულს მღერის, თავდავიწყებით, თვალებდახუჭული. მისი შემო-სავლისაა ეს სიმღერა, მისი გაჭირვების. მაგრამ ქართველის ცხოველმყოფელი, მზიური ბუნება თავს იჩენს, იმარჯვებს, და მღერის ქართველი, ემღერება, მოსწონს სიცოცხლე, ნამღერიც, ნათქ-ვამიც. ბედნიერია! ხრჩობის ბურთი ყელში გებჯი-ნება, და არ გესმის, ვის დარდობ, ვისზე გეტირე-ბა.

ნემო

ერთ დროს კარგად მოშვებული წვერ-ულვაში ეჭვს იწვევდა — რა იცი, რაა... იშვიათად თუ ვინ-მე იზამდა, თავისებური გამოწვევა იყო, მიმიკრი-ული ბუნების კაცს შეაწუხებდა მტრულად ცნო-ბისმოყვარე მზერები. დიდხანს ვერ გაუძლებდა. ამ წვეროსანსაც ასე დაემართა.

მაღაზიაში, მოლარესთან შელაპარაკებულს, უბნის პატენტიანი გიუი გამოესარჩილა:

— ამას წვერი რო აქვს, გიუი არ გეგონოს, მან-ქანა ყავსო!

თითქოს აბსურდული მტკიცებულებაა, მაგრამ თუ ისევ დიაგნოზიანი გიუი მიაგნებდა ასეთ უტყუარს! მეორე ის იყო, ავადმყოფს ექიმი რომ მიუყვანეს (არა ოჯახისა, ახლა როა). ექიმი ავადმ-ყოფის დანახვაზე აღფრთოვანდა და გამგებიანად ყურში ჩასჩურჩულა — მთელი ჩვენი პოლიკლინი-კა თქვენთან არისო! იატაკევეშეთში დამალული ნემო ბურჭულაძე ეგონა (მაგათი ფანი ყოფილა). ოჯახმა არ გაუტეხა, — კიო, ნემოაო, — პატრიო-ტული დაიჭირეს.

წვეროსანმა ეგეც აიტანა, მაგრამ საკუთარ ცოლზე რომ ჰკითხეს — თქვენი ქალიშვილიაო? მოთმინების ფიალა აევსო და წვერ-ულვაში ალაგ-და.

ახლა გიუობას აღარავინ აბრალებს. გიუობის პარამეტრებიც შეიცვალა და გიუებიც მომრავლ-დნენ.

მოხუცთა თავშესაფარი

მესა დამთავრდა, მრევლი აიშალა. მოხუცი ქალი წაბორძიგდა, სუფთა, მოვლილი, ნაპატრონები, თავბრუ რომ არა, ერთს არ იფიქრებდი მის გაჭირვებას.

— გაგაცილებთ.

გაუხარდა.

— შორი არ არის, აქვე მოხუცთა თავშესაფარში ვცხოვრობ, ეკლესიის უკან.

მივიყვანე. თავშესაფარი არასდროს მენახა, მოხუცი ისე არა, სახლი უფრო მაინტერესებდა. შენობა სამსართულიანი, კოხტა, ლამაზი, ლიფტით (გამარკვიეს: სამსართულიანი ლიფტი ბუნებაში აღარ არსებობს, მოიძიეს, უცხოეთიდან ჩამოიტანეს, უთუდვირია). კარები ნელ-ნელა იკეტება, მოხუცი შიგ რომ არ მოჰყვეს (ენერგიულს ამასობაში ჩაეძინება). კრიალი გაუდის ყველაფერს, ნოხები, აბაურები... ოთახი – კრემ-ბრიულე და რახათ-ლუქუმი ერთად, ისეთი ინტიმური მყუდროებაა, რომ ინტიმის არარეალიზებულობა შეგაწუხებს. მოხუცმა: მადლობაო, მიირთვიო, დაბრძანდიო, ტკბილიაო, რბილიაო. მერე: ვახშამზე ჩამომყევიო. სასადილოში არჩევანი შეგშურდებოდა, ოფიციანტები — გაგაოგნებდა, სანიტრები — ჩაგაფიქრებდა. აირეოდი, და უმადურობის ბორიალი დაგენებოდა — თუ აქ ასეთი ცუდია, სადაც ცუდია, იქ რაღა?

კაი პიშვები

ბიჭებმა სოფელს თავი შეაფარეს. შეშა დასჭირდათ, შესცივდათ. შეფარებულებს, იასნია, ლიმონკები ექნებოდათ. და აი, მაგ ლიმონკებს ხე-ებს ძირში უგდებდნენ და ფესვებიანად აყირავებდნენ. ამის გაგონებაზე, სხვას ვერ იტყვი – შთამბეჭდავია! დაუე პოზიტიური ელფერით, ობრაზ-შია! (იასნია, ლიმონკები, დაუე, ობრაზშია – ასე ადრე ქართულ-რუსულად იტყოდნენ). აბა ამის გამკეთებლებს ბირდაბირებით ეხერხათ – იმენნა ობრაზში ვერ იქნებოდა.

ისე კი, გეგონება, ვაუა-ფშაველა ჩვენსკენ არ გაჭაჭანებულა.

ლოთები

სპორტსკოლის ეზოში, თუთის ძირში, სკამზე ლოთი დასახლდა, ჯერ კიდევ იერი არ დაუკარგავს, ყარაჩოლლური უჭირავს, ფრიად კომუნიკაბელური მოლაპარაკეა. ეგ არ უნდა დააწყებინო, თორემ თავს ვერ დააღწევ.

მაღაზის „კრიშა“ ვარო, სახლიც მაქვს და ძალლიც მყავდაო, ნამეტანი შევმჭიდროვდითო, და ასე თუთის ძირში მირჩევნიაო.

სხვა არ ვიცი, მაგრამ „კრიშობა“ გჯერა, სასმელი არ აკლია, პახმელია არ უჭირს. შენ გიჭირვებს ლაპარაკით.

ერთ მშვენიერ დღეს, მისნაირი „შემჭიდროვებული“ მიუწვა გვერდზე.

სალაპარაკოდ არ გითრევენ, ერთიმეორეს ეულურტულებიან, პახმელიაზე ერთად გამოდიან. მეგობრობა იყო თუთის ძირში და სიყვარულიც ენვიათ. ახლა თუთის ძირში შემჭიდროვდნენ, — ყარაჩოლელ „კრიშას“ ქალი მიუწვა გვერდზე, და პახმელიაზეც ერთად გამოდიან.

მეგობრობა და სიყვარული – ხვედრია.

შემეშინდა, ეს ცნებები არ წაბილწვოდათ.

სპორტსკოლის ეზოში ძალლებს აღარ ვასეირნებ.

ძურთი

უნივერსიტეტის ეზოში ბიჭები ხორხოცებდნენ, ლუდმა ააქოთქოთა, თავისი მოყვნენ, სხვისას გადაუარეს, ნათესავ-ნაცნობებს მიწვდნენ:

— მაი გოგო, ქე რომ შენ მოგწონდა, გათხოვდა. მაი აფერი, მერე თქვი! ქორწილია, ქალოურს გადოუხადეს, ქუთაისში. ქვეყანაა, სიძეც იქინეა, ნეფე- დედოფალს თავი დაადგეს, სიძისას ყვებიან — თბილისელიაო, კაი ბიჭი, კაი დედმამიშვილი, ქურდიაო, გეიგე — სიტყვა ეთქმისო, აქოურსაც მიგვიხდავსო. კაი სვეს და კაიც ჭამეს. ჭამეს, მარა რა ჭამეს რო იცოდე — ქურდი კი არა, ქურთი ყოფილა მაი უბედური, კამაზის შოფერი. რო გეიგეს, რო ტკუცეს თავში, რო გეიგდეს ლაჯებში, საციხო არ ქნეს, თვარა... გამეეპარათ. ქალი ისევლე საშენო დარჩა თუ არ გააბახეს.

ამას მოყვნენ, იცინეს, ჩაბჟირდნენ, პლასტმა-სის ჭიქა-ბოთლები იქვე მიყარ-მოყარეს და უნი-ვერსიტეტში შელაგდნენ.

სწავლა-განათლება დაიწყო...

საინგილოს თაფლი

წლიდან წლამდე ერთი და იგივე მეორდებოდა.
— საინგილოს თაფლი, საინგილოს თაფლი! —
და შენ, თაფლი დიდად რომ არც გიყვარს და არც
მაინც და მაინც სხვა არ გამოძრავებს, კისრისტე-
სით ჩარბიხარ ეზოში და ამაყად სამლიტრიანი ქი-
ლით ბრუნდები.

პირველივე ჯერიდან ნათელი გახდა: „ინგილო-
ები“ — აფერისტები არიან, თაფლი — ყალბი,
ტყუილი, სიაბანდი, ტუფტა, ქიმიაა, შაქარი და
„ტრაინო ადეკალონი“. ერთადერთი, რომ ნახევ-
რის ფასად დაზარალდი.

ერთი — შეგეშალა, მეორე — ვერ იცანი, მესამე
— ვერ გიცნეს, მერე და მერე? კლიენტისას გაიგებ,
ბოლოს და ბოლოს, სხვა გასაღებს თუ ვერ მოარ-
გებ — პატრიოტიზმის მსხვერპლია. მაგრამ მაგ
„ინგილოების“ ვერაფერი გავიგე. ხან ფერეიდანი
თქვან, ხან ტაო-კლარჯეთი.

ნუთუ პატრიოტიზმი ასე მოდებულია?

მუშაბი

თუ ძველებურ კაფელის ფეჩითან საქმე არა გქონიათ, აგიხსნით — ტონაა. სადაც აწყობენ, იქ დგას, არც გადააქვთ, ვერც ძრავენ. კლიენტმა დაიჩემა და ოთხი დევგმირი მუშა დააყენა თავზე. იმათი ერთი ეყოფოდა ფეჩს, და ეგეთი ოთხი? — გაუმართლა. ოსები იყვნენ, ჩვენები, კეთილები, ახმახები, მხარბეჭიანები, ცარიელა ჯანი და კუნთი. ეს ფეჩი ხო ბუმბულივით ასწიეს, ვილისზე ხო შეაგდეს, სოფლად მიტანილი მსუბუქად ხო ჩამოიღეს, და ოთახშიც შეიტანეს. ახლა ოთახი. დიდი იყო, მაგრამ არც ისე. მარჯვენა კუთხეში დამიყენეთო — დიასახლისმა.

მუშებმა პატარა ჩაისუნთქეს, ოთხი მხრიდან ეძგერნენ და... სახლის პატრონმა, ალერსიანად — მაინც დაიღალნენო. მუშები, შეურაცხყოფილნი, ისევ ეძგერნენ... ბოლოს და ბოლოს კი მიადგეს ეს კაფელის ფეჩი მარჯვენა კუთხეში, მაგრამ რა გაუჭირდათ, მერე მივხვდი — ფიზიკის კანონი: ანუ თანაბარი ძალები საპირისპიროდ მიმართული ვექტორებით ბათილდება — ქმედება ნულის ტოლია.

ქურუმი

იმ დროს, ჯერ კიდევ ორი მიცვალებული დაუ-
საფლავებელი რომ გვეწვა ქვეყნის ყველაზე დე-
დაქალაქში და ნორმალური ვერაფერს განჭვრეტ-
და, შუა აზის ქვემდგომ ქალაქ სამარყანდში შემ-
დეგი ხდებოდა: ქალაქის შუაგულ რეგისტანად
წოდებულ მოედანზე შესახედავად აბსოლუტუ-
რად ნორმალური კაცი აბსოლუტურად გიჟურს
ყვიროდა:

— ხალხნო! ამ ქვეყანას დედა აქვს ნატირები!
თუ არ გჯერათ, აგერ თქვენ და აგერ მე! თავს უშ-
ველეთ! საცაა დაიქცევა!

ამის გაგონებაზე რეგისტანი იცლებოდა. და-
ზაფრული ნორმალურები გარე-გარე გარბოდნენ,
არა მგონია დაქცევის შიშით.

რითი დაასრულა გიჟმა პირადი ცხოვრება, ვინ
იცის! ქვეყნის ცხოვრება რითი დასრულდა, ვიცით
ყველამ.

მისტიკოსები

ზამთარი, მოსკოვი, 40-გრადუსიანი ყინვა, ქალაქი გადარჩენაზე — მაღაზიიდან მაღაზიამდე, ტროლეუბუსიდან — მეტრომდე, ნებისმიერი სეირნობა — **პეთომ, პეთომ.**

და ამ სირბილში უცებ აუჩქარებელი ტრიო — ორი „ლეტნად“ ჩაცმული ბებერი და ჯაჭვით გამობმული შავი კატა. ამისთანა სანახაობა ზაფხულშიც, „მუხის ირგვლივ ოქროს ჯაჭვზე მოსეირნე კატის“ ქვეყანაშიც კი, საშვილიშვილოდ დაგამახსოვრდებოდა: ბებრები ორივე შავ ხავერდში თეთრი ჟაბოებით, კაცს ამასთან ფეხზე მოტმასნილი ტრიკო, დარტანიანისებური ჩექმებით, თავზე ცილინდრი, თვალში მონოკლი. ქალი ბოლეროში, ვუალიანი შლაპით. დინჯად მიაბიჯებდნენ, ხელიხელჩაკიდებულნი. უკან — სერიოზულ ჯაჭვზე ასევე სერიოზული, ვერტიკალურად კუდაპრეხილი შავი კატა.

რას იფიქრებდი? დღესაც ვფიქრობ, ვინ იყვნენ და რატომ არ სციოდათ? ეგების იცოდნენ, რომ ასე, სხვის მესხსიერებაში წარუშლელები დარჩებოდნენ?

ოფელია

კარგა ხნის წინანდელ ამბავს გიყვებით. მაშინ თქვენხელებს გაგებაში არ ჰქონდათ ბევრი რამე, ეჭვი მაქვს, რომ არც ის იყო გაგებაში, რა სჭირდა.

კუს ტბის ფერდობზე, თბილისისკენ გადმოსახედზე, ახალგაზრდა კაცი იდგა, ქალის გამომწვევი ჩატარებითა და პარიკის ვარცხნილობით, მაღალქუსლებიან ფეხსაცმელზე ბანჯგვლიანი ფეხებით შემდგარი. ხელში სარკე ეკავა და ტუჩებს წითლად იღებავდა. მარტო იყო, ირგვლივ არავინ. ძალლს მოვქაჩე, გავუჩერდი. ამაზრზენი მიზიდულობა მერე გავაცნობიერე, მაშინ კი სიტუაცია ჩემებურად დავალაგე:

- იგვიანებენ? — შევეკითხე.
- ჯერ არსად ჩანან, — მიპასუხა და გამომწვევად ჩულქი გაისწორა. მოძრაობა არტისტული იყო და დავრწმუნდი, რომ სწორ გზაზე ვარ.
- ჯგუფი, გადამლები ჯგუფი იგვიანებს, არა? რა როლს თამაშობთ?

— ოფელიასი, — მითხრა და უწმაწურად ჩამიკრა თვალი.

ისეთი უცნაური დრო იყო — კაბუკის თეატრი ვიცოდი, ოფელია ორივეს გვცოდნია, ტრანსვესტიზმი კი — არცერთს.

დღეს, მგონი, პირიქით არის.

ჭუკლი

ჭუკლი, თქვენი არ იყოს, არც მე მინახავს. ისე, რომ გენახა, ჭუკლი — ჭუკლი იქნებოდა — პატარა, უჩინარი, შეუხედავი დედაკაცი. მიწაზე, რომელიც შეხვდა, ოთხი უფანჯრო კედელი ამოიყვანა. გადახურვით — გარდიგარდმო ბარჯვებზე გაზეთებს აფენდა სქელ ფენად — ამტკიცებდა, წვიმისგან იცავსო. ბალის ნერგები ბოსტნის ჩითილებივით მიაყოლა.

— ქალო, რას შვები, — რომ ეტყოდნენ, — შორიშორს დარგე!

— მე ვიცი და ჩემმა მარჯვენამო, — პასუხობდა.

ჭუკლი ასე დიდხანს ვერ იგიუებდა. გაზეთს წყალმა აჯობა, ბალი ლერწებად გადაგვარდა. თვითონაც გაქრა ჭუკლი. რამდენი წელია, არ გამოჩენილა.

მაგრამ რატომლაც ყველას ღიმილით და სიკეთით აგონდება.

ნალკოტი

— რა წალკოტია! — იკივლა მანქანიდან გად-
მოსულმა ქალმა. ჩემი მეზობელი იყო ათი წელი.
თავის წალკოტს პირველად მოაკითხა.

— ეს რა წალკოტია! — კიდევ ერთხელ დაიყვი-
რა და მანქანიდან ორი თხა გადმოიყვანა.

ერთმანეთს გავეცანით. შიში ვერ დავმალე, მე-
გონა, ეს ორი თხა ჩემს თვალწინ უნდა დაკლული-
ყო ფუძის ანგელოზის სახელზე. უცებ ვერაფერი
შევბედე — თავისი სახლ-კარია ბოლოს და ბოლოს,
და უფლებრივ შარის მოსადებს ვეძებდი. ამასო-
ბაში მეზობელმა ორივე თხას ბანარი შეაბა და
მდელოზე სასერინოდ წაიყვანა. საღამოსკენ, უკ-
ვე შიშის ზარი რომ მცემდა, ორივე თხა ისევ მან-
ქანაში ჩასვა და ქალაქში დააბრუნა. მის მერე საა-
გარაკოდ, თავისი წალკოტის სანახავად ჩამოსუ-
ლი, არც თხებიანად, არც უთხებოდ, არავის უნა-
ხავს.

ვაკის პარკში კი, ამბობდნენ, ხშირად ნახუ-
ლობდნენ თავის თხებთან მოსეირნეს.

პიკა

კიკა ის პირველი ადამიანი იყო, გამართულად ფეხით მსვლელს, მომავლისკენ პირნათელ მომზირალს, მზეს რომ დაუჩრდილავდა. ეგეთებს, დაუნებს (სამედიცინო დიაგნოზით) ჩვენში საქვეყნოდ არც დღეს არ ამზეურებენ, და იმ დროს, ოპტიმიზმის ზეობაში, სახელმწიფოებრივ დაუმორჩილებლობასაც ნიშნავდა. თავს უყრიდნენ, საგულდაგულოდ გმანავდნენ, ჩვენი დიონისური მსოფლალქმა რომ არ დაქვეითებულიყო. ამდენიც ხერხდებოდა. საკუთარ ჯანმრთელობაში ეჭვმიუტანელ გადმოსახედიდან კიკა სიცილად არ ყოფნიდათ. კიკას, ასე ორმოც წელს მიტანებულს, ასაკს ჰკითხავდნენ, და ისიც, გაგორებით — სამისო, ენას მოგიჩლექავდა. ტროლებუსში აიყვანდნენ, გვერდზე მოისვამდნენ, და მგზავრების ოხტში ამოდიოდა — ხრუშჩოვი ვარ, ხრუშჩოვი! — ყვიროდა. ტაშს უკრავდნენ, აგულიანებდნენ, ასე ატინგიცებდნენ გარეთ გამოსულს. უთუოდ პატრონი ეყოლებოდა, თორემ ასეთები დაუნსაც არ შერჩებოდა, არც მსმენელსა და წამქეზებელს. კიკას რამდენიც ეწერა, იცოცხლა. მისი გარდაცვალება ქალაქმა გაიგო. მის დასაფლავების დღეს, ორ საათზე, ქალაქის თავზე ერთიანი, უწყვეტი მანქანების საყვირების ზარი იდგა. ქალაქი კიკას ემშვიდობებოდა. უმისობა ქალაქს დაემჩნა. მეორე ხრუშჩოვი და ისიც სამი წლის, არ მოვლენია. კიკა ქალაქის მეხამრიდიც იყო და ქალაქის სიმბოლოც.

თუ კიკას არ იცნობდი, თბილისელი არ იყავი.

„თვალეილული“

И с ужасом
Я понял, что я никем не видим,
Что нужно сеять очи,
Что должен сеятель очей идти!.

В.Хлебников
«Одинокий лицедей»

იტალიის შემორბენას, მე რომ მკითხო, აზრი
არა აქვს. სჯობს ნებისმიერ ტაძარში აზრებს თავი
მოუყარო, დამშვიდდე, თვალი მომზირალი ქნა, და
თვალთ იტალია გადაგემლება. ასე, გაუფანტავად
შემოუძახებ ყველა საცეცებს და მოაჯირის წინ
გაირინდები. მოაჯირი ჯოტოს ფრესკას რკალავს.
ფრესკა მიმქრალი სფურატოს იდუმალებითაა მო-
ცული, და თუ ზოგადს დასჯერდები, თორემ დე-
ტალებს ვერ დაინახავ. სამაგისოდ მოაჯირში
ელექტრონული ყულაბაა — ფულს აგდებ, ნათდე-
ბა, რამდენიმე წუთით სამყარო ხილვადი ხდება და
მერე ისევ წყვდიადს უბრუნდება. ბევრ მნახველს
თავი არა აქვს, უვადო აღფრთოვანების ფული
ჯოტოს ყულაბას აყლაპოს. დგახარ უსუსური და
ირეალური და ამ გაუნათებლობის ინტიმში
ფრთხილად შემოგორებული ინვალიდის ეტლი
გაფხიზლებს. ეტლში ხნიერი კაცი ზის, ეტლს
ახალგაზრდა ქალი მოაგორებს. იციან, რის სანა-
ხავად მოვიდნენ. ჯოტოს ფრესკის წინ მოაჯირს
მიებჯინენ. ხურდები ჩაყარეს. ფრესკამ ინათა.
ქალი კაცის თავზე დაიხარა და ჩურჩულით მოყო-
ლა დაიწყო, თან ფრესკას უყურებდა, თან ჰყვებო-

და, თან ისევ ახედავდა და ისევ ჰყვებოდა. შუქი
ქრებოდა, კაცი ისევ და ისევ თხრობას ითხოვდა.
ექსტატიურად ზეალმართული რძისფერი თვალე-
ბიდან ცრემლი სდიოდა – კაცი ბრმა იყო.

ყულაბაში ფული ცვიოდა და ცვიოდა.
ქალი მორჩილად ჰყვებოდა და ჰყვებოდა.
ბრმა ხედავდა.

ცაცა

ცაცა – ნახალოველი უბნის გიჟი იყო.

ქსენია – კეთილშობილი პეტერბურგელი.

ცაცა ახალგაზრდა იყო, რომ გააუპატიურეს.

ქსენია ახალგაზრდა იყო, რომ დაქვრივდა.

ცაცა ჭკუას გადასცდა, პატივაყრილი, უსიყვარულოდ, უბნის სირცხვილი, იმ დღიდან ფეხშიშველი ლამის პერანგით დადიოდა ზამთარზაფხულ.

ქსენია სიყვარულს ვერ შეელია, ქმრის ტანსაცმელი ჩაიცვა და მის მერე არ გაუხდია.

ცაცა უბნის მათხოვრად გადაიქცა, ფულს მათხოვრობდა, შეაგროვა, ახარისხებდა, გორად ეწყო მაგიდაზე.

ქსენიამ თავისიც და ქმრისაც სახლი და ქონება დაარიგა და სამოწყალოდ ცხოვრობდა თმენითა და ლოცვით.

ცაცა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ნაგვის მანქანამ გაიტანა.

ქსენიამ სამოცდათერთმეტ წლამდე იცხოვრა.

ცაცას შენაგროვები ფული მის გასვენებაში ვიღაცას მოუპარავს.

ქსენია პეტერბურგელი 1988 წელს, ქრისტიანობის 1000 წლის თავზე, რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

და მაინც, გაუპატიურებული, შეურაცხეყოფილი, გზასაცდენილი, ფულს დახარბებული, სანაგვით გადავლილი – გულს უფრო სტკენს, უფრო დაგცემს, რომ ქვეყნის ბრალი, ქვეყნის უკულმართობა მოინანიო.

ქურდი

ზამთრის პირზე დაცლილ სააგარაკო სოფელ-ში სახლები გატყდა. ასე იტყვიან, თორემ უფრო ვიღაცა შეძვრა გვერდული ფანჯრებიდან, სათავ-სოებიდან. მფლობელები დაფეთდნენ, ერთიმეორეს შემოუძახეს, პოლიცია დაიბარეს და სოფელს თავს დაატყდნენ. ერთ-ერთი დაზარალებული სახლის საბუხრე მიღიდან კვამლი ამოდიოდა. ცხადზე ცხადი იყო, რომ იქ ვიღაც დასახლდა. შურისმაძიებლები ერთ მუშტად შეიკვრნენ, იარაღი-ანი პოლიცია წინ წაიგდეს და შიგნიდან დაგმანული ციხე-სიმაგრე აიღეს. შიგნით ყველას თავ-თავისი დანაკარგი დახვდა ერთიანად თავმოყრილი: ვის ყავის სახარში, ვის ნარდი და ტელევიზორი, ზოგის შემონახული კონსერვი, სასმელი, ტანსაც-მელი. ბუხრის ოთახში სითბო იყო, შუაში მაგიდა იდგა, მაგიდასთან ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა, მაგიდაზე სარკე იდო, შიგ იყურებოდა და ქალის პარიკს იზომავდა. ადამიანური ცხოვრება მოიწყო, გათბა და დროის შეგრძნება დაკარგა. ან სად უნდა გაიქცეს, ან სად უნდა ეჩქარებოდეს, ზამთარში უსახლკაროს, გზაარეულს, გონება-შეზღუდულს. მოსახლეებმა თავ-თავისი დაიბრუნეს, პოლიციამ აქტი შეადგინა, დამშვიდდნენ და ქალაქს დაიშალნენ.

ახალგაზრდას კი ციხე თუ მიუსაჯეს, მასაც ექ-ნება თავშესაფარი.

რომანტიკოსი

სოფელი აირია, უფრო ქვეყანა. ფარულმა იჩინა თავი, მიჩუმათებულმა, უფრო ავმა, თორემ სიკეთეს რა მალვა უნდა. იმ ცხონებულს კი, მათემატიკოსს, სიკეთე ჰქონდა, მეტი არაფერი, რომანტიკული და მრწამსიანი. ლამაზი, ახოვანი მამაკაცი იყო, დალაგებული, ხალისიანი საქციელით. სოფელში თუ სადმე კამათი აგორდებოდა, მისი წამოწყებული იყო, და სიტყვაც მისი მოგებული. ერთი ხელისძადება მინაზე სახლს აპირებდა, არ ჩქარობდა, უფრო ლალობდა. ქალაქში კი ცოლ-შვილი ჰყავდა და სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა. თავისი საქმე უყვარდა, განტოლება ქვეყნის გასაღები ეგონა, ანთებული თვალებიდან ნაპერნკლებს ყრიდა, იმედი ჰქონდა — „ალი გაღვივდებოდა“. და აგერ, გაღვივდა კიდევაც. გაღვივდა და აირია. ამ არეულობაშიც (ერთმანეთზე რომ ნადირობდნენ) ქუჩაში ახალგაზრდებით შემორკალული, ანთებული მზერით, მარჯვე ნაბიჯით, როგორც ყოველთვის — იმედიანი, მქადაგებელი. იმედი იმედად, მაგრამ ცხოვრებამ მაღალი იდეები ლუკმა პურის ძიებით დაფარა. გაჭირვებაში მათემატიკოსმა არ იუკადრისა, კაცი იყო და ვაგზალზე მუშად მუშაობდა, — დატვირთულ ყუთებს ათრევდა, თუ ურიკით, თუ ზურგით. ამასაც გაუძლებდა, ჯიში ჰქონდა. უფრო სხვამ გაწყვიტა ნელში... ქვეყანას ლოგარითმი და განტოლება ვერ მოარგო, ვერცა „არა კლა“. გული გაუსკდა, გული ჰქონდა და გულიც უნდა გასკდომოდა.

მისი წამოწყებული სახლი დრომ დაშალა, ეზოს
ტყე მოეძალა. სოფელში არც მისი სისხლით მემკ-
ვიდრე გამოჩენილა ვინმე, არც სულით ნათესავი.
კარგი კაცი იყო, სახელი არ ჰქონდა დასამალავი.
ავთო ერქვა, ბერიძე.

პლეხანოვის პროსპექტი

ამას მოვესწარით – მიხაილოვის პროსპექტს, პლეხანოვის პროსპექტს დავით აღმაშენებლის პროსპექტი დაერქვა. ჰოდა მაგ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, შუა ქუჩაში, ავტობუსების გაჩერებაზე, მოსაცდელ სკამთან ეგდო, (სიტყვა არ შემეშალა — ეგდო) ახალგაზრდა ქართველი მამაკაცი. ეგდო გულგაღელილი, ჩახდილი (ვაი რომ პირდაპირი მნიშვნელობითაც!) თავის ამონანთხევში, ჩამონაუურში, ამაზრზენი და შემზარავი. გვერდზე მიგდებული ბინძური საცვალი, ცალი ფეხსაცმელი და „ნასუფრალი“ (გაჭყლეტილი პომიდორი, კიტრის ნალინჯალი, ბოთლები და ერთჯერადი „სერვიროვეა“) მიგახვედრებდა – გდია, კი, მაგრამ ამჟამად ერთგვარად აქ ცხოვრობს, ამ ადგილზე. ეს არ იყო შეჩვეული(!) მათხოვრობა, ბილწსიტყვაობა და უტიფრობა, ეს იყო დაცემის აპოთეოზი. ქართველობას ხაზი გავუსვი, არ მომერიდა, არ შემეშალა. ქართველს ნამდვილად არ ჰქონდა ხასიათში ქვენა შრეების საჯაროობა. არამც თუ – მთვრალს, ნასვამსაც ვერ ნახავდი სახლიდან გამოსულს!

ირგვლივ ყველა, გამვლელი და მომლოდინე ჩვეულებრივი იყო. არანაირი ვაი-ვიში და თავში წაშენა. ამ კიტრი-პომიდვრით კი ნამდვილად, ვიღაცამ ნამუსი მოიბანა. ყველას ეტყობოდა – მილიონი რომ მიგეცა – არავინ მიეკარებოდა. ზუსტად ამ შეძახილზე – „მილიონი რომ მომცენ მაგას არ ვიზამდიო“, — დედა ტერეზამ

(კეთროვანს რომ ჩირქს ბანდა) ასეთი პასუხი
გასცა:

— მილიონად არც მე ვიზამდიო!

ნაადრევად ხომ არ გადავარქვით სახელი
პლეხანოვის პროსპექტს?!

Public Relations

დალაგებულ ზემო-ქვემო ურთიერთობებში შფო-
თის კენჭი ჩავარდა. გარკვეული „ვინ-ვინ არის“ — ის
ჩასაფრებულ სიმშვიდეში ახალი წევრი ჩაიხრახნა
— public relations — „საზოგადოებასთან მეურთი-
ერთობებე“ — ქართულად, ალბათ, ასე გამოითქმის
მისი სამსახურებრივი დასაქმება.

ხელში ნარჩევთა სია უკავია და სამოთხის (ანუ
ბანკის) ვერგილიუსობას იფერებს. სიაში ბევრს
ვერაფერს შეცვლის — სალხინობელგამოვლილია
ყველა. მაგრამ ყველა ციხე-სიმაგრეს თავისი
ხვრელი აქვს, და შიგნიდან ტყდება.

საზოგადოება კი ჭრელია, როგორც ყოველთ-
ვის, სადღეისო წარმატებით შედუღაბებული. წარ-
მატება ხერხდება, ურთიერთობა კი ის ძვირი ნებაა
წამისა, რომელიც მარტოობაში უფრო გვსტუმ-
რობს. ასე რომ, „საზოგადოება“ და „ურთიერთო-
ბა“ წარმოუდგენლად რთული დასაწყვილებელი
გამოდგა. ჩვენ კი, კნინნი, სამოთხის კართან ვშფო-
თავთ მანამდე, ვიდრე იმედი გადაგვეწურებოდეს.
და რა ალალმართალია „საზოგადოებასთან მეურ-
თიერთობის“ მშობელი, რომ თავის სოფელში, თა-
ვის საძმოსთან, არავის არმოსაწონად არავის არ-
მოსაწონ წუთისოფელს მიყვება.

ორდენისანი

დედა-შვილი იქნებოდნენ – შუა ხნის ქალი და სრულიად ახალგაზრდა გოგონა. ერთად დადიოდნენ, ხელიხელჩაკიდებულები, უწყინარნი, უვნებენლი, თვინიერები. რუსები იყვნენ იერითაც და იმ მორჩილებითაც და ვნებითაც, რომლითაც რუსი იზიდავს და ზიდულობს კიდევაც ტკივილს. დედა პატარა, პირმრგვალი ქალი, სუფთა კაბაში, ზედ აუცილებელი ჟილეტით. ჟილეტი უფრო ჯავშანს ჰეგავდა ან საკურთხეველს (ან შეიძლება ორივე ერთად იყო), ზედ მიმაგრებული ორდენებით, მედლებით, სამკერდე ნიშნებით. რაც გულის მხარეზე არ ეტეოდა, ზურგზე ჰქონდა დაკიდებული. გოგონა სულ უბრალო, თავნაკრული, სათნო, სევდიანი ხიბლით, ფრთხილად დაჰყვებოდა, უფრო მარტო არ უშვებდა. ასე წყვილად არააქაური ღიმილით შეგხვდებოდნენ ქალაქში. დროდადრო გამვლელებს აჩერებდნენ. თუ გაუჩერდებოდი, ქალი, ჯილდოგამხნევებული, საქართველოს ისტორიის მოყოლას იწყებდა:

— არ გეცოდინება, მოგიყვები, რომელი გინდა, დიმიტრი თავდადებული, ერეკლე...

გამართული პათოსით გიყვებოდა, და ასე მოყვებოდა, თუ ან არ გააჩერებდი, ან ფულს არ ჩაუჯიბავდი. გოგონა გვერდზე ედგა და უმანკო ღიმილით მსმენელს თვალებში უყურებდა. რაღაცა გაუცნობიერებელი დანაშაულის გრძნობა გამოგყვებოდა... ქართველები ისედაც არ ჩანან ასეთი უსუსურების გამსრესნი, და ხელს თუ არ შეაშველებდნენ, მჯერა, არცა ჰკრავდნენ.

უბრალოდ, ისე, დრომ გაიყოლა დედა-შვილიც და იმდროინდელი ჩინ-მედლებიც.

ნიღაპი

გაუცხოების კვალია, ანარეკლია — ნახშირით წარბჩათრეულად შემოვლებული თვალები, შავი თმები, შავი ფრჩხილები, შავი ტანსაცმელი, ჩაცვენილი კბილები, ჩაცვეთილი ქუსლები. ფერუმარილით თეთრი სახე, შავ გუგებს ირგვლივ ასმა-გად თეთრი სკლერები, მტვერდაყრილი, ჭალარა-გარეული, უსუფთაო.

მძებნელი, მომლოდინე — დაეკარგა, ეძებს, ხედავს და ვერ ცნობს. აქაურობის მიღმა ეძებს, ადამიანებს მიღმა დაეკარგა. თავის ქალობაც იქ დატოვა, აქაურობის მიღმა.

იმედი კი აქა აქვს — ჩვენთან, ირგვლივ, ქა-ლაქში, დედამიწაზე.

უპირი

უნივერსიტეტის უბირზე, სულ ცოტა, მაშინ უნდა წერდე, კბილის ტკივილისგან ყბა რომ აგხ-დება და მაგისთვის მოიცლი. ჯანმრთელად მყოფს ფილოსოფოსობა გერევა — სჯობს თუ არა უქონლობა ქონებას, ყველაფრით მოყირჭებას — სიმშვიდე და ა. შ. ალბათ სჯობს, თუ ნებაყოფლობითია და ზეალმავალი. მაგრამ ეგ ყველაფერი თეორიებია. რეალურად კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზო-ბაღში ადამიანი ცხოვრობს. ყველაფრით არაადამიანი. სიბინძურისგან შავი. ზამთარ-ზაფხულ შიშველი და ფეხშიშველი — პირუტყვი, იმდენად, რამდენადაც აგერ მეოთხე წელიწადია ყოველდღე ვნახულობ და მისი ხმა არ გამიგია, მისი გამოლაპარაკება არ მინახავს. ეგების მუნჯიც არის. ვერა-ვაკის პუბლიკა არ ერჩის; არ სცემენ, არ დასცინიან, თვალსაც კი არ აყოლებენ — არ იმჩნევენ. ამის მადლობელიც უნდა ვიყვეთ. არც თუ წარსულში და არც თუ შორს, ეგეთებს დასცინოდნენ და სცემდნენ კიდევაც. ჩვენსას, უნივერსიტეტელს არამც თუ — აჭმევენ სამოწყალოდ მონარჩენს. ძილით მიწაზე ძინავს, ბალის ნეშომპალაში ფოთლებნაფარებულს. ყოველ ჯერზე მწოლიარეს რომ ხედავ, ერთი ფიქრი გაქვს — ცოცხალია თუ არა. მის ფიქრზე, განცდაზე ლაპარაკიც არ არის. ცოცხალი თუა, თუ სუნთქავს? მერე კი გზა ერთი გვაქვს.

მშიცი

ქელები რუსთაველზე, ლალიძის წყლების ერთ-ერთ დარბაზში მიმდინარეობდა. ქართველი უქონელიც უკანასკნელს გაიჭირვებს და არ შერცხვება. აქ კი მეტზე მეტიც იყო. სუფრაზე სართულებად ელაგა ყველაფერი, არამარხვაში რაც გვეჭმევა. კუჭი რომ დამძიმდება, უანგბადიც მაშინ გახსენდება. გარეთ გამოვედი, ქუჩაში. დარბაზის გვერდით ფანჯრები მიწის პირზეა, თუ გახსოვთ, და რა ძნელი გასახედი იყო იქით, როდესაც ფანჯარას მიკრული კაცის შიშნარევი მუდარიანი მზერა მძალავდა. შევხედე და ჩავიკეცე, მის გვერდზე, პირისპირ.

— შნირი არა ვარ, **детдомовский я!**

ასაკს ვერ იტყოდი. ვერც ეროვნებას. ორივეს ქუჩურად ამტვრევდა - რუსულსაც და ქართულსაც.

— გშია? — შიშიან თვალებში იმედი გამოკრთა. თავი მორცხვად, ჩქარ-ჩქარა დამიქნია.

ჩემსას არ გეტყვით, უბრალოდ რაც ხელს გამოვაყოლე ის გამოვუტანე.

როგორ ჭამდა, ორივე ხელით, ლუკმით პირს როგორ ილესავდა, მადლიერებით ამოხედვა როგორ არ ავიწყდებოდა!

რა გამოისყიდის ჩვენს სიმაძლრეს, უფალო?!

მარიკალა

ბავშვები ერთიმეორეზე გატუტუცებულები იყვნენ. ზოგი თავს ძალით იტუტუცებდა – გაზულუ-ქება პრესტიჟის ნიშანია. ემანაციას გრძნობენ ჯერ არ ჩამოყალიბებულები. ვინძლო, თუ ზრდილობიანად მოგექცა – ეგეც ნასწავლია, ერთ-ერთი შემადგენელი ემანაციისა.

და უცებ ბადით შემოვლებულ საჩვილო მანე-ჟიდან პატარა გოგოს თვალები – სავსე ინტერე-სით, სიხარულით, კრძალვით, უშუალო მორცხვო-ბით.

პატარა – პატარა კი იყო, მაგრამ მანეჟისთვის დიდი, ჭედავდა. შიგ შემძვრალი დაუფარავი ინტე-რესით ათვალიერებდა უცხო სათამაშოებს. მარი-ამი ერქვა. დედამისის მეხუთე შვილი იყო. დედა კი სხვის ოჯახში, სხვისი შვილის მოვლით დანარჩენ ოთხს ინახავდა, აჭმევდა; ნაბოლარა კი თან ჰყავდა. ნება დართეს.

მაინცა და მაინც ხუთი დედმამიშვილია საჭი-რო, გაჭირვება თუ ემანაციის შეუვალობა?

როგორც ყველაფერი ნაღდი, ნაღდი ბავშვიც რა იშვიათია.

ეჭვი

პატრონთან მოსეირნე ძალლი ყოველთვის ნა-
ლოლიავებია. მარტო მოძუგძუგეს უჭირს. ამ
ორის შემხედვარეს კი შფოთი გიტანს. კაცი ჩამო-
ძონძილი, მხარზე ტომრით, მორბენალ თვალებს
აქეთ-იქით აცეცებს და ციებ-ცხელებიანი მზე-
რით ფეხებქვეშ სულ რაღაცას ეძებს. წელზე ჯაჭ-
ვით გამობმული ძალლი უსიცოცხლო მორჩილე-
ბით უკან მიჰყვება.

ეჭვი არ გეშვება და... ქვესკნელურად გინათ-
დება – ამ კაცს შია! ქრონიკულად შია. ძალლი კი
მოსიარულე ლუკმა! შიშისგან გბურძგლავს. ასე-
თი ელდა მაძლარს თუ გეცა – მშიერს რა მოუვა!?
რა საცოდაობაა ჩვენს თავს!

გუდა

კიროვის პარკის ჩასავლელ კიბის თავში ხშირად ნახავთ სახლის კედელს ზურგით მიყუდებულ მჯდომარე ქალს. დაუთვლელი ძონძი აცვია, ერთი მეორეზე ჩამოჩაჩული. დაუბანელი, დაუვარცხნელი, წვერმოშვებული, სახლის კედელს მიბჯენილი, უკიდურესობას მიბჯენილს ჰგავს. ნერვი არ უტოკავს, თვალი არ უთროთს. ამაოებას აცდენილი მისხალს არ გიტოვებს სიბრალულის-თვის. პატივნარევი ზიზღით უვლი გვერდს და ცდილობ დაივიწყო.

ერთი არ გასვენებს – ასე არააქმყოფს, ასე განდგომილს რა აქვს, რა უდევს ირგვლივ შემოლაგებულ ტომრებში, ჩანთებში, პარკებში?

თუ სატირალი ერთიანად გამოიტირა, თუ ზეარსს ნაზიარევი სიმშვიდეს ეწია, რას ვერ შეელია მისი ხელი, ასე მფლობელურად ნივთჩაკიდებული? რა უწყვია, რა სიმდიდრე, რას დაატარებს თან – უცილობელია რამე თუ მასაც „რაიმე აქვს სახსოვარი“?

თუ სხვაზე უფრო ძნელად ეგ ძაფი წყდება, და ამა ქვეყნის ფუჭი ტვირთია?!

შორი გზა

ახალგაზრდა უგონოდ იწვა. უიმედობა იყო მის თავს. თავზე დედა ადგა. პალატის სამარისებულ სიჩუმეში დედამისის მუდარა ისმოდა. დროდად-რო, თანაბარი ინტერვალებით შვილს გადაეფარებოდა, ჩასცექეროდა და მარცვლავდა: დე-და, დე-და, — თავზე ხელს შეავლებდა, — შვილო, შვილო. რეაქციას ელოდა. ახალგაზრდის გაჩერებული მზერა უმისამართო, უსივრცო იყო. — საჭ-მელი, საჭ-მელი, — ისევ ჩახედავდა თვალებში. ცოტა ხანში ღვინოში დამბალ პურს ტუჩებთან მიუტანდა — ღვინო, შვილო, ღვინო. ვაჟს ტუჩები არ ეძვროდა. მერე ყურთან ჩასჩურჩულებდა ქალის სახელს — მზეო, შვილო, მზევინარი. დააკვირდებოდა, სიხარულის ელფერმა ხომ არ გადაჰკრაო. მერე ისევ, ახლა წყლით დასველებული საფენით დაუნამავდა გამშრალ პირს: წყარო, შვილო, წყაროს — იტყოდა. მერე სოფელს გაიხსენებდა — იდუმალა. იდუმალა არ მოგენატრა, შვილო? შეისვენებდა. მერე ფეხის-გულს შეუღუტუნებდა, მერე გასაღების აცმას დაუჩხარუნებდა — ყველაფერი ამაოდ.

შვილი სააქაოს არ იყო. ბოლოს უსიცოცხლო ხელისგულზე ქალალდის ნაგლეჯს შეახებდა და — ფული, ფული! — იტყოდა. ვაჟის ხელი ოდნავ შეტოკდებოდა, თითები ნელი-ნელ უღონოდ მოიკუმებოდა.

დედის სიხარულს კიდეგანი არ ჰქონდა. იმედი ეძლეოდა.

ისე კი, ღმერთო შეგცოდე, ღირს კია მარტო ამისთვის ასე შორი გზიდან მობრუნება?!

ნაშვილები

საჯინიბო მისთვის საურთიერთობოც იყო, სა-ასპარეზოც — მისი კაცობის დამადასტურებელი. მეჯინიბები იხმარიებდნენ, საფასურად ირონიული ღიმილით ალაპარაკებდნენ და უსმენდნენ. სოფლად კი მისი არც მომსმენი იყო ვინმე, არც რამედ ჩამგდები.

მოხუცი დედ-მამა ერთიმეორეს მიჰყვა, შრო-მითა და დარდით დაბეჩავებულები. დედმამობა ერთგული კი გაუწიეს, მაგრამ ღვიძლი რომ არ იყო, დასაფლავებისას თავზე დაახალეს ახლო-ბელმა ჭირისუფლებმა. ჩვილობაში იშვილეს. სოფლელებს თუ გააბრიყვებდნენ, ჯანმრთელი ბავშვის მაძიებლებს – ავადმყოფი შეაჩეჩეს. სისხ-ლით მემკვიდრე ნათესავებმა – საქონელი დაუკ-ლეს, სკამი-დგამი გაზიდეს, სახლ-კარი გაუყიდეს.

თავზარდაცემული, არასრულყოფილი, „ნამდ-ვილი“ მშობლების საძებნელად წავიდა თუ უსახ-ლკარობას გაექცა, ეს არც სოფელში იცის ვინმემ, არც საჯინიბოში.

მის მერე არც არავის მოუკითხავს, არც არავის უძებნია.

პიანისტი

ადრე სახლიც ჰქონდა, კარიც და თეთრი როი-ალიც.

დღეს ძალლების თავშესაფარი აქვს და, სადაც დაუღამდება, იქ სძინავს.

ადრე დედაქალაქების დედაქალაქში სულმთლად მაქსტროსთან სწავლა, ბაშმეტთან და მისნაირებთან მეგობრობა (უცხოეთი საით იყო, რომ არც ვიცოდით), გასტროლები და სტუდიური ჩანაწერები.

დღეს იგივე ტიტულები და ლაურეატობა (ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ წაართმევ) და იგივე უპატრონო ძალლები, იგივე თავშესაფარი. კიდევაც რო დაურბევიათ და წაურთმევიათ.

ადრე — აპლოდისმენტები, სცენა და თაიგულები.

დღეს — ბეჭდიანი დიპლომები, გაყვითლებული რეცენზიები, მოგონებები და გულში ჩაკრული ფეხმოტეხილი ძუკნა.

ადრე — მოფრანგულე საზოგადოების პატივისცემა და მფარველობა.

დღეს — ბეიკერის ორმოს აცდენილი თავისი სამფარველო უჯიშოები და უპატრონოები. იგივე ფრანგული — „მას გეცილების ვერავინ“.

ადრე — პატიუი და ცერემონიები.

დღეს თავს არიდებენ, ვარდისფერ ტყავის „ტროიკას“ ამადლიან, ნესტიანი სარდაფიდან აგდებენ. მარტო ლეკვებს უხარიათ მისი მოსვლა და დანახვა.

ადრე პიანისტი.

დღეს გიუი.

კიდევაც თუ ეგრეა, — რა დიდებული უკიდურესობებია!

მაგრამ თუ მამა ფლორენსკის და ჯაკომეტის სიტყვებს შეაჯერებ, ნუთუ ყველაფერი სიტყვებია, სიტყვები და მხოლოდ ლიტონსიტყვაობა?!

«Чего ты хочешь, о какой успешности думаешь, стать славной пианисткой? На это я никогда не расчитывал и пожалуй, не хотел бы для тебя. Эстрада - мучительное дело, требующее больших жертв, мало дающее внутреннему человеку, разлучающее с самой музыкой и переносящее интерес из музыки в самолюбие и угодничество публике. Не поменяй чистого безкорыстного любования красотою суетливой погоней за славой, кроме горя ничего не дающей. Не задавайся слишком большим».

Павел Флоренский
Из письма к дочери Ольге
(январь 1936 г., Соловки)

„ალმოდებული სახლიდან, არჩევანი რომ მქონდეს — კატა გადავარჩინო თუ ლეონარდოს ტილო — კატას გადავარჩენდი“.

ალბერტო ჯაკომეტი

P.S. ამის წაკითხვისას მეგობარმა მკითხა:

— ეგ როგორ დაემართა, იცი?
— ?

— მოსკოვში ორკესტრთან უნდა დაეკრა, რეპეტიციაზე აგვიანდებოდა და (იღბლად?) გზად ძალლს გადაეყარა. ძალლს ცხვირის ირგვლივ ეკლიანი მავთული ჰქონდა შემოჭერილი...

ამან, გზად მიმავალს, ცხოვრების გზაც შეუცვალა.

მოკლე ჩართვა

თბილისში, ზაფხულში, აგვისტოს სიცხეში, უნივერსიტეტის გაჩერებაზე კაცი იდგა.

ტანზე ეცვა: „სეტკა მაივა“, ზედ ქალის „დუბლიონკა“, სპორტსმენის ლამპასებიანი „ადიდასის“ შარვალი, შიშველ ფეხზე კალოშები, თავზე ფეტრის შლაპა. ცალ ხელში საპროფესორო პორტფელი, მეორეში ჯოხად — პლინტუსი. ყველა-ფერს ჰალსტუხის მაგიერი, ყელზე შებმული ელექტროშნური აგვირგვინებდა, თავისი შტეპსელით, მეორე ბოლოთი შარვალში ჩატანებული. ტიპი, ასიანი, გათიშული იყო და თანაც ქსელიდან. თავის სამსახურში მიდიოდა. ოთხმოცი წელი შემისრულდა და იუბილე გადამიხადონო. გზად კე-თილმა ნაცნობმა უვნებელჲჲყო და მოტყუება-მოფერებით სახლში დააბრუნა.

მოკლე ჩართვის მსხვერპლი იყო.

იუბილე არ გადაუხადეს.

გიჟი

გიჟი იყო, აბა, ვინ იქნებოდა, იტალიელი?

იტალიელი თუა, აგვისტო როა? რა დროს ახალი წელია? ისვრის და ისვრის – სკამი, ჯამი, ისევ სკამი, დივანის ზურგი, ისევ სკამი, პლედი, მაგიდა, დანა, ბალიში, „ლუსტრა“ და ისევ სკამი...

მეშვიდე სართულიდან ისვრის, მოხუცი კაცი ისვრის, იშვიათი ჯანითა და მონდომებით. ქვემოთ დალხენილები ჰაერში ხან ფარდას იჭერენ, ხან ბალიშს, სკამსა და დგამს იცდენენ ტრაექტორიის უცდომელი გათვლით.

რას იცილებს ადამიანი ასეთი გამეტებით, გიურია თუ იტალიელი, რა დაუგროვდა ასეთი მძიმე, მოუნელებელი, გაუსაძლისი?

ყველაფერი რომ სძულს, თავი კი არ მოსძულებია.

კვაზიმოდო

ახალგაზრდა კაცი — კაცი იყო, კაცობით, ძმა-კაცობით, გაებით, რომელიც საძმოს შეგძენს — გამტანს და გამგებს, და რომელმაც შესძინა კიდე-ვაც საძმო.

სხვა კი არა ინება ბუნებამ. რომელი ერთი, რო-დესაც ერთ-ერთიც გეყოფა მთელი ცხოვრების წასამწარებლად — პატარა, თეძოებამოგდებული, ხელფეხმოკლე...

კახეთის კვაზიმოდო, კახეთის პეტრუჩიანი, აბსოლუტურად, სრულიად უიმედო. მარტო გული. არცა დაკვრა, არცა სხვა რამე მუსიკობანი სიყვარულის საიმედოდ. ძმაკაცებს კი უყვარდათ, პატრონობდნენ და ეფერებოდნენ. ძმაკაცობაში ის წუთიც დადგა, როდესაც კახელმა ბიჭმა, — ქალი როგორიაო? — იკითხა.

ბიჭებმა, კაცებმა, საძმომ, სამეგობრომ, ყველა ფულს ჩამოვიდა, შეაგროვეს და თბილისიდან ქალი, ლამაზი ქალი ჩამოუყვანეს.

რას გადაგვიწყვეტს სალხინობელი?

„Coin“-ი

ტაძარს ავტობუსები მოადგა. უცხოელმა ტუ-
რისტებმა დერეფნად მჯდარ მათხოვრებს შუაში
ჩაუარეს. აქა-იქ სხვა და სხვა ხმაზე ხურდა ფული
აწკრიალდა. ყველამ მალული ანგარიშით ფული
ჯიბეში გადაანაცვლა. უცებ კაცის სიცილი გაის-
მა, ორივე ფეხით უფეხო, ხის დაბალ ხელნაკეთ
ურიკაზე სალდათის ბალთებიანი ქამრებით მიბ-
მული იჯდა, და გულლვიძლიდან ამოსული, ბავშ-
ვური სიცილით იცინოდა. ხელში ხურდა-„კოინი“
ეკავა, თვალს არ აცილებდა, თვალებს არ უჯე-
რებდა.

— ჩემი მეგობარი ლოგინზეა მიჯაჭვული (სი-
ხარული ვერ დამალა და უმისამართოდ წამოიძა-
ხა), ვერ დგება, ვერ გამოდის. ადრე ერთად ვიჯე-
ქით. გაეხარდება, თქვენ არ იცით, რას გაიხარებს,
ამას რომ მივუტან. ნუმიზმატია, ბევრი დაუგროვ-
და, ეს კი მადაგასკარისაა. ეგეთი არა აქვს. რო
იცოდეთ, რას გაიხარებს!

მისნაირი ბედნიერი ადამიანი ქვეყანაზე იმ
წუთში არ იქნებოდა.

ინდოეთის მათხოვრები

გაჭირვებით თავმოყრილით ინდოეთს რომ გა-
ემგზავრები (ლამის ფეხით), იქ როგორ განუწუ-
რაქდები, წარმოიდგინეთ. უკან დასაბრუნებელს
აზიხარ, თორემ იქ მათხოვარი იმდენია, რომ რაღა
შენ გაგიჭირვებენ. ამიტომაც და იმიტომაც,
მათხოვრის არც მისაცემი გაქვს და არც აძლევ.

მატარებლის გაჭედილ ვაგონში მგზავრები კე-
დელს ასრესილები რომ არიან, ერთიმეორეს მი-
ყოლებით, პატარა ინტერვალებით მათხოვრები
ეტენებიან, სამათხოვროდ არა, სამგზავროდ. გე-
გონება, მგზავრებს მორიგეობა ჰქონდეთ დაწესე-
ბული — არცერთს უმოწყალოდ არ უშვებდნენ,
ვიღაცა აუცილებლად გაიღებდა. ეგრე ჩემი ჯე-
რიც დადგა — მათხოვარი თავზე დამადგა და თა-
ვისი მოითხოვა. არც ქართული ესმით, არც ჩი-
ქორთული, „არა მაქვს“ კი, ძნელი მისახვედრი არ
არის — მხრები ავიჩეჩე. ქალი შეჩერდა, თვალებში
ჩამხედა, ამოიოხრა, კეფაზე ხელი დამადო, თმებ-
ზე გადამისვა და თან ტკბილი ბუტბუტი მოაყო-
ლა. ასე გაჭედილში თუ მოიძებნებოდა გაჭირვე-
ბით მთარგმნელი, და იმან მითარგმნა:

— არ იდარდო, შე საწყალო! შენც გადმოგხე-
დავს ზენაარი. მიენდე კრიშნას — სულის სიმშვი-
დეს მოფენს და მისი წყალობით შენს ბოდიალ-
საც ბოლო მოეღება.

დედა

— რა გამიხარდა, სადა ხარ, როგორ, რა ხანია
არ ჩანხარ! რამხელა გაგეზარდა, მოგესწრო შვი-
ლი, მოგესწრო, კაცია უკვე!

— მომესწრო, ვენაცვალე. აი, ქალაქში გამოვე-
დით, გამოვასეირნე, — ნაყინი მინდაო, — ჯიბი-
დან ცხვირსახოცი ამოილო, შვილმა თვინიერად
სახე მიუბრუნა, პირზე ჩამონანუნი მოწმინდა.

— ეხლა სად ხარ, სად, ქირით?

— არა, ეხლა რა გვიჭირს, „არაშენდაში“ შევე-
დით. ფანჯრებიც ჩავსვით, კარებიცა გვაქვს. ამას,
ვენაცვალე, თავისი ოთახიც გადავუტიხრე, პატარა.

— მამამისი რას შვრება, სულ დაიკარგა?

— რა ქნას, ერიდება. თამაში ავადმყოფობაა,
ხომ იცი, ჩემი ბინა ვალებში ჩადო.. კიდე კარგი,
თავისი ცოლ-შვილიც ჩემსავით ქუჩაში არ დატო-
ვა, ქალიშვილების პატრონია.

— სულ არ გკითხულობს, არ გეხმარება?

— ნეტავ მქონდეს, მისახმარებელი იქითაა.
ავადაა, სამკურნალო უჭირს.

— ფული, ფული, ცოტა, ცოტა, — ჩაერთო ლა-
პარაკში შვილი, თან ლიმილით ხელი გამოითავი-
სუფლა. დედამ ნაყინის ქალალდი გამოართვა და
ცხვირსახოცით თითები გაუწმინდა.

— კარგი, კარგი, ბიჭო! ასე იცის ხოლმე. არ
მისცე, არ მისცე, გვაქვს, გვყოფნის, ცოტა ჩემი
პენსია, ცოტაც ამისი. არ მისცე. კარგად ვართ,
კარგად. თქვენც კარგად გამყოფოთ ღმერთმა!

შვილს ჩაკიდა ხელი და ქუჩას გაუყვნენ.

შვილი ოციოდე ნლის იქნებოდა.

პორტრეტი ფოლიანტიდან

კაბინეტის კედლებს სტელაჟები დაჲყვება იატაკიდან ჭერამდე დაწყობილი წიგნებით. ყუის სათაურები პატრონის ცნობისწადილიან ინტერესს მიგანიშნებს და დროის აყოლილ შფოთვასაც. ბიბლიოთეკას უხვად ილუსტრირებული ორტომეული შეემატა: „რელიგიები“ და „ეთნოსები“ საქართველოში. პირველი ტომის მე-18 გვერდზე სათონ კაცის პორტრეტი მართლმადიდებლობის ნაწილს წინ უძღვის – სანთლით ხელში, მშვიდი, მლოცველი. ცხოვრებაშიც ეგეთია, კეთილი, ღვთიური. ჩვენი უბნის გიუიაო (ფოლიანტში დამკვიდრებულზე), თქმა გიჭირს, მაგრამ ეგრეა. ქუჩაში გამოსული თავის ადგილზე, მაღაზიის წინ ჯდება, სიგარეტის ნაპოვნ ნამწვავებს ახარისხებს, რკინის კოლოფში აწყობს, მეორეში კი ხურდებს უყრიან – უბანი იცნობს და უბანი ინახავს. სულ მუდამ კეთილმომლიმარი, ზრდილი, გულს არ გიმდიმებს. ხანდახან რაღაცა სწყინს, წამოენთება, მაგრამ წამონთებაც (ფოლიანტი გაგაბედინებს) ხომ შუქმომფენია.

ასე, ამდენი წიგნის ავლით, მიკიბულ-მოკიბულის აცდენით, მშვიდად და აუჩქარებლად ფოლიანტში დამკვიდრდა.

ენტუზიასტი

მოუსვენარი კაცი იყო, იდეები აწუხებდა – რა-ხან დაიბადე, ჭამა და სიკვდილი არ აგცდებაო. ჭა-მა მიხედულია, სიკვდილს მე მივხედავო, პლასტ-მასის კუბოები მაგარი პროგრესულიაო. გეგმები დაალაგა, გაიკითხ-გამოიკითხა, აწონ-დაწონა, მიდგა-მოდგა. წამოწყებული სახლის რკინა-ბე-ტონი, კარ-ფანჯარა და ჭერ-იატაკი დააკონსერვა (გამდიდრებულზე უფრო დავამთავრებო). ამასო-ბაში დრომ ფერი იცვალა. პლატსმასის წარმოება გაიყინა, ხე-ტყის ჭრა შეწყდა, იარაღი საქმეში გა-ვიდა და სიკვდილმა იმატა. სიმწრის დღეები დად-გა, უზომო სიმწრის. იყო ერთმანეთის კვლა და იყო გატანაც ერთიმეორის. კაცმა უბნის ნაცნობ-უცნობ ჭირისუფალს არავის უთხრა უარი. მისმა ჭერ-იატაკმა გაიტანა და მიაბარა ბევრნი — ძვე-ლებურად, ჩვენებურად.

ნაომარზე, ჩამცხრალზე, სიკვდილზე ფულის კეთებამ უზნეობის, ცოდვის ელფერი დაიდო, არც მერე გაჰქრობია. კაცმა საქმეზე ხელი აიღო.

სახლი დაუმთავრებელი დარჩა.

ქვეყნის ამბავი დალაგდა.

ხე-ტყის ჭრა ალსდგა.

ფერია

ისევ ფერუმარილი, შავი, შეღებილი თმა, ვარ-დისფერი ბაბთა, კეხიანი ცხვირი, არწივის მზერა.

კაბა მკრთალი, ჭარბად ვარდისფერი, მაქმანე-ბიანი, თეთრი, ნელში გამოყვანილი, თოჯინის, მუდმივი პატარძლის საპატარძლო კაბა. ქედმალ-ლური, ცერემონიული, ძაბვა, არტახები და მო-ლოდინი. მოლოდინი. საქორნინო მოლოდინი წლიდან წლამდე, დასაბამამდე.

... და შიში.

ჭახსაცმლის მწვერფეავი

— მოდი გაგინმინდავ! გაგინმინდავ!

ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭი, თითქმის ბავშვი, ძონძები, ფეხშიშველი, მხარზე გადაკიდებული სალტიანი ყუთი, შიგ მისი ავლადიდება.

— გაგინმინდავ! — ეს არის მისი ლუქმა, გააწ-
მენდინე, თავი რითი ირჩინოს. გააწმენდინე!

— გაგინმინდავ, იაფად გაგინმინდავ, გაგინ-
მინდავ! — ისტერიული, ჭლექიანი ღაწვები, ზე-
თოვანი, უძირო თვალები, მუდარა: — გაგინმინ-
დავ, ფული არა გაქვს? — არ გჭირდება, არ შეგიძ-
ლია, ფულს აძლევ, იცილებ. არ იღებს, არ კადრუ-
ლობს.

— ისე გამაწმენდინე! ისე გაგინმინდავ!

მოცლილები წრეს რკალავენ, თვალს ადევნე-
ბენ. ყუთიდან მეურნეობა ამოაქვს, გამოწვდილ
ფეხს იკრავს, ჰაერში ქეჩები, ჯაგრისები დაფრი-
ნავენ, უჩქარებს. ნერვიული, ავადმყოფური ეგ-
ზალტაცია. ჩქარა, ჩქარა, ჩქარა. ოფლის წვეთები
ამჩნევია.

ჩერდება. მოწყალებასავით მაყურებლის აღ-
ტაცებას უცდის.

ხელოვანია, ამ წუთისოფლის დღემოკლე შვილი.
ალაპმა გადმოგხედოს შენცა და შენს ქვეყანასაც!

მერი

მწყერივით უწყინარი იყო მერი, მწყერივით მონიფული, ჩემი ბავშვობის პირველი ტკივილი, ქალაქიდან ჩამოსულის პირველი მომფერებელი.

ერთი თვალი ოდა ჰქონდა მერის, ნალია და დედა.

მისი სამომავლო, მისი სამზითვო, ჩაღვრილი სითბო იყო და მწყრის დაბინდული თვალები.

ვანსა და სამტრედიას შორის მოკლე ავტობუსები დადიოდა. ავტობუსი თუ მოსკვიჩი იყო ის პირველი, მერე კი ბევრი სხვაც იყო. პირველს წაყვა მერის ნამუსი, დედამისის იმედი, სოფლის შეფარვა.

დაბინდულ თვალებში კი ისევ მოლოდინი იყო, დამყოლი, თბილი, ჩამთრევი.

დაუნდობელია სოფელი, იკვეთს მღვრიეს, გულისკენ შემომძახველს, ემძიმება ტკივილი.

ოდის აივანეზე ძაძებიანი დედა დარჩა და გარიურაჟზე რიონისკენ გამკივანი

— მერი, ნენა შვილო!

მინისქვეშა გასასვლელი

ვარაზისხევიდან ვაგზლისაკენ ჩარბენა ერთი სიამოვნებაა, რო არა მიწისქვეშა გასასვლელი, ამაზრზენი ბინძური, ადამიანების აქოთებული. ჩაირბენ, და ცირკისკენ მძიმედ გეპარება თვალი... გასასვლელივით მალე გინდა გასცდე, ჩაუარო, და არ შეგიძლია. თვალი თუ არა, გული გეპარება, გეკუმშება, და ყოვლად მიუღებელს ღებულობ.

გითრევენ, ყველაფრით გითრევენ, უმოწყალო, სამოწყალო „სიყვარულის“ პეპლები – თუკი რაიმე მოგეპოვება, ხლართავენ, კვანძავენ, ნასკვავენ ყველაფერს თეთრსა და ფრთიანს, შავსა და უძიროს, რაც სიყვარულმა დაგამჩნია, ცხოვრებამ დაგმართა...

ლექი გემღვრევა. გრცხვენია. გებრალება.

სპლეროზი

ოლდა 99 წლის იყო, რომ დაქვრივდა. საღსა-ლამათი, ჯანმრთელი, მაღალი, ხმელი, სრულ ჭკუაზე, მართალი და ბოროტი. გიორგი 105 წელი ყოველდღე გამთენიას იღვიძებდა, ასმეხუთეზე მობეზრდა, დაიღალა და უბრალოდ არ გაიღვიძა.

ოლდა იმ დღიდან ერთიანად ჭკუას გადასცდა – სკლეროზი დაემართაო. სულ დადიოდა, დადიოდა და სულ: გიორგისთან მივდივარო. გიორგი შორს კი არ იყო – შუკის გადაღმა, სოფლის სავანეში. შვილებმა, ოლდა მისახედიაო, და თბილისში ჩამოიყვანეს. აქაც იგივე სჭირდა, — სკლეროზი. რას ჭამდა, — არ ახსოვდა, ვისთან იყო – ვერ ცნობდა. სულ გიორგისთან მიდიოდა, გაიპარებოდა და ტრამვაის გაჩერებაზე მთისძირში მიმავალ ავტობუსს ელოდებოდა. ან რა ექნა, თბილისში მანამდე ერთხელ ნამყოფს (რიონი ბორნით რომ გადმოვიდა, ქალაქს სამზითვეს საყიდლად). დაიჭერდნენ ოლდას, დააბრუნებდნენ, და ისევ გიორგისთან მიდიოდა. ორმოცის თავზე წავიდა კიდევაც თავის გიორგისთან.

არაფრით არ იქნებოდა ეგ სკლეროზის, უბრალოდ ჩვენ, ჭკვიანებს, ამ სიგრძე სიყვარულის არ გვჯერა და იმიტომაც არ შეგვიძლია.

კონფერი

— ჩვენ სოფელში, მუხურაში, სიზმარი უნახია ბაბუამისს. ძინავს და ძილში ვინცხა ეუბნება: იქინე, ბიჭო, მუხის ძირში, სამ მტკაველზე ჩადიო, ამოთხარეო, შითე კენჭებია ყუთში, წამალია მაიო, ამეილეო. ნამდვილი ყოფილა. პატვრანე ყუთი ამეილეს, ნაირ-ნაირი კენჭებით სავსე, ბრდღვიალი გოუდიოდა, იმფერი კაი იყო. მის მერე მისიანები მაი კენჭებით წამალს აკეთებენ. წყალის თავზე მაი კენჭებს ერთიმეორეზე უქლაქუნებენ, ქერომ ფქვავენ, იმფერად. შიშის წამალია, შეშინებულის. თან შეგილოცავს, თან მაი წყალს დაგალევიებს. წეიყვანე მაი გაჭირვებული, სანამ არ გეილია მაი კენჭები. უშველის, ნამდვილია.

— უი! დევიზაფრე, რაცხა გაფხაკურდა, იგი იქნება, ჩვენი ვარიები რო დაბრდღვნა. შევიდეთ შითე, რაცხა პანა აცივდა.

რამხელა წარმართული ხიბლი აქვს ამ კენჭებს.. როგორ გვჭირდება ლამაზი ზღაპრები, დუნიაზე უშიშრად, საიმედოდ...

ჰეროსტრატე

ტყეები იწვის და იწვის. სოფლის გიუი, ქვეყნის მავნე, საქართველოს ჰეროსტრატე – 80 წლის ბებერი, მუხლმაგარი, ნელშიგაუწყვეტავი – დადის და დადის, სადამდეც ტყე არის, სადამდეც ფეხი მიუწვდება, ტყეს ცეცხლს უკიდებს, ოსტატურად, მასშტაბურად, ჩაუქრობლად. სანამ ალი თავისით არ მოიბეზრებს, არ მიმქრალდება, იწვის საფარი, იხუთება, ხრჩოლავს, გამქცევი გარბის, ხები კი დგანან, გაშიშვლებული, მუსრგავლებული – ალარც მცენარე, ალარც შეშა. წლიდან წლამდე – ხანძრის ბოლი და გადაბუგული ტყე.

უკვდავი ბერძნის მოკვდავი მემკვიდრე, ღრძო, ბოროტი, ამაზრზენი როგორც მოვლენა, არდასანახი ბებერი. ისეთს რა შიშს ზარავს სოფელს, რომ უთმენენ, ვერ უბედავენ, აბედინებენ?!

პირველად წელს ხანძრის ბოლი არა ჩანს, ტყე არ იწვის. სადმე შორს მისწვდა თუ გვეშველა და იმ შორის შორს წავიდა, სადაც წყევლა არ მიუვა, სადაც უფრო გაეგებათ – ვინ არის დამნაშავე, ჩვენ თუ ეგ ბებერი.

პარტიისტორიის ლექციონი

ლექტორი პარტიისტორიის შედეგებს სახეზე ატარებდა – მწიფე, ფორებიანი ცხვირი, ერთი-ორი მეჭეჭით. დანარჩენი — ვის როგორ. ამას — მელოტი თავი, კისრის ნაკეცები და ყურებში ჭაღარა. ლექტორი საპენსიო ხნისა იყო და დღე-დღეზე ან გავიდოდა, ან გაისტუმრებდნენ. ბედად „Заря перестроики“-მ მოუსწრო და მის წასვლას სიმბოლური დატვირთვაც მიეცა. ერთი სემესტრი დარჩა ხუთწლედების და პოლიტბიუროს გადაწყვეტილებების დათარიღებებს. ლექტორმა კიტელი გამოიცვალა, უბრალო მოკვდავის კოსტიუმი ჩაიცვა და პირველ ლექციაზე ასე გამოცხადდა. აუდიტორია ჩვეულებრივი, უწყვეტი, მოუცილებელი დუდუნით დახვდა, მთქნარებითა და გვერდების ფხანით. ლექტორი ამბიონზე შედგა, მძიმედ ჩაისუნთქა, და წარმოთქვა:

— ვერ წარმეიდგენთ, რაფრა გათახსირებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ბოვშებო!

ერთიანად შვებით ამოისუნთქა და გაჩუმდა. დუდუნი შეწყდა, უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა, სტუდენტები გაისუსნენ, და ასე, პირველად, სამარისებულ სიჩუმეში ისმინეს პარტიისტორია.

ნეტარი

მამაკაცი ქალური, რბილი მოყვანილობით, სრული ჩასხმული მკლავებით, არააღმოსავლურად ღია, ნათელი, მუდმივი, უმისამართო, განბნეული ღიმილით – ალაპის ნეტარი შვილი.

მუხლმოყრილი ირხევა, კავალების ლოცვა-გალობას მიყვება, ტანს აყოლებს, უჩქარებს, ანელებს, ჩერდება, ნეტარად უსმენს, იგებს, ეთანხმება, აღმამსვლელს გამკივანს – ალლა-ს — ფრთადაღმართულ ხელებს ახვედრებს, კმაყოფილია, ჩაფიქრდა, ოხვრა, ჩუმი ჩივილი, სმენა, წინგასწრება, ლოდინი, ერთად სვლა, შერწყმა, ნეტარი მორჩილების ბედნიერი ცრემლები. მუსიკალური, მელოდიური, რიტმული, ნეტარი მუსლიმი, ლაპორის ჯუმა მეჩეთის ხიზანი. ხუთმილიონიანი ქალაქის უბინაო ბინადარი, დაპურებული მშიერი, გულმსმენი, ბედნიერი ნეტარი.

კვერცხის გული

ლარიბი ინდოეთის კუზიანს, ყურძნადასხ-
მულს, ცხრაფრად დაკეცილს, სამსახური დაჰყვა
– სიმახინჯე აჭმევს. უბრალოდ მშიერმა უნდა გა-
გაგებინოს, გთხოვოს. ეს ორნიც, გოგო-ბიჭიც,
იმიტომ მოგისხდნენ მაგიდის ფეხთან, ასფალტზე
და თვალებში შემოგცერიან. საუზმე – თოთოდ
შემწვარი კვერცხი, ჩაპატის ნაჭერი და პაკეტის
უხიფათო წყალი – ყელში არ გადაგდის. კვერცხი-
ან თეფშს ბავშვებს უწვდი და სკამის ზურგზე მის-
ვენდები. ბავშვები კარგად მოკალათდნენ, თეფში
მუხლებზე დაიდეს და აჩურჩულდნენ. მერე ძახი-
ლი და ხელების ქნევა დაინყეს. შორიდან, ქუჩის
ბოლოდან პატარა მუხლუხო მოგორავდა – წვინ-
ტლიანი, ტიტლიკანა, მოკლე პერანგის ამარა. მო-
ირბინა, შუაში ჩაისვეს. გოგონამ პატარა გაშლი-
ლი მტევნის წიბოთი კვერცხის გული ზუსტ სამ
ნაწილად გაყო და აუჩქარებლად ჩაყლაპეს.

ცხრა ძმის გაყოფილი კაკლის გული მეტაფო-
რა არა ყოფილა. ინდოეთში, საჭმელს ხარბად და-
წაფებული ინდოელი არ მინახავს.

მძივები

განგის ნაპირას ინდოელი ქალი ჩხარა-ჩხურე-ბით ვაჭრობდა – მძივები, მძივის ქვები, ძენკვები მიწაზე ჰქონდა გაშლილი, ჩითის ნაჭერზე. გვერდით, სამი ერთიმეორეს მიყოლებული პატარა მტვრიან ასფალტზე გორაობდა.

თვალებით მანიშნა, ჩემებიაო, საშნოდ დატუქ-სა და გამიცინა. მძივებს კრიალოსანივით თითებ-ში ვშლიდი, ვეფერებოდი, ზოგ ქვას შუქი გაუდიოდა. ქალის მხარზე შეხებამ ამ ფრიად ვნებიან საქ-მეს მომწყვიტა – აი კიდევ ერთიო – და სიამაყით სკოლიდან ახალმოსული ბიჭი დამანახა, ესეც ჩე-მიაო. თვალები ბედნიერებით უბრნყინავდა, გე-გონებოდა, უშვილოს ნანატრი შვილი ელირსაო. ნახევარ ფასში ნავაჭრი მძივები ლოდად დამეკი-და – მეოთხემ ნამუსში ჩამაგდო. ბიჭმა ზურგჩან-თა მოიცილა, დედას ჩააბარა, მიწაზე გაშლილ დახლს საქმიანად ხელი გადაავლო. დედამ გულის ჯიბიდან ლობიანის გადანახული ნაჭერი ამოიღო და მიაწოდა.

ბედნიერება გაჭირვებაზე მეტია?

6030

დაცლილი სოფლის დიდ მინდორზე დედა შვილს წვიმიანში ასეირნებდა — კაცი უნდოდა დამდგარიყო.

მოულოდნელად სიახლოვეს სვანი ნიკო დაინახა. მისალმების სიხარული და გულისტკენა ერთი იყო — კაცმა ზურგი შეაქცია და იქვე მდგარ კარავს თავი შეაფარა.

ნისლი კიდევ უფრო ჩამოწვა.

მოშორებულზე გალუმპულ დედა-შვილს ჯმუხი სვანი წამოენია და პარკი გაუნიდა.

— გაგიმარჯოს, თუ არ იწყენ, გამომართვი. ბავშვს ქუდი რატომ არ დაახურე? — თქვა და ბიჭის თავს კაცის ხელი გადააფარა.

პარკში მწყემსის საგზალი იდო — სამიოდე ნაჭერი ყველი და ხაჭაპურის ნატეხი.

როგორ მარტივად იქმნება მეტაფორები...

ყრუ

უფრო ლამაზ მამაკაცს თუ აიჩემებ, ისევ იქ, პა-
კისტანში, სუფიებთან, Dhol Master-თან, Gionga
Saint-თან (ასე უწერია სავიზიტო ბარათზე) მიგიყ-
ვანს არჩევანი. მისი სრულყოფა იშვიათი კაპრიზია
ბუნების, მისი აღწერა — ხატოვანება აღმოსავლუ-
რი პოეზიის: ვარდნილი კაბა, შავ ვარდნილ თმებზე
ოქრომკედით ნაქარგი ფესკი, ყელზე ხელთუქმნე-
ლი მოსასხამი, თითებზე ბაჯაღლოს ბეჭდები. და ეს
ღვთაება, ეს მამაკაცი, სუფიების – განდობილთა
მუსიკოსია, დოლის, დაფის, მუსიკის გულისძერა,
სისხლის ფეთქვაა. Gionga-ს დიდი დაფი მკერდზე
აქვს მიბჯენილი, დასარტყამით ურტყამს, რიტმს
ყვება, ირხევა, ტრიალებს, შინდისფერი თავბრუ-
დამხვევი ქარბორბალა, უფრო და უფრო აღმატე-
ბული. სტიქიურ მოვლენას სასრული არ გააჩნია.
სასრული გულის ბზარია. მისი რიტმი – მისი განა-
ჩენია. მისი განაჩენი – მისი სიკვდილი.

Gionga Saint-ი ყრუ-მუნჯია, მისი ყური – მისი
გულია. გულ-ღვიძლი, გულის ფიცარი დიდხანს
ვერ იტანს, დიდხანს ვერ გაუძლებს ასეთ რყე-
ვებს, ასეთ ვიბრირებას, ასეთ feroge-ს, ალაპის სა-
დიდებელსაც კი.

Gionga-მ ეს იცის, უთხრეს, აუხსნეს, მაგრამ მა-
ინც უკრავს და... ელოდება.

და თუ უკვე წარსდგა ალაპის ეს გულდაუზო-
გავი მსახური, რუმის მოვიხმობ მის მოსაგონრად:

წინარეხატი – უკვდავი არსი ყოველივესი,
ჩვენს მიღმა არის,
აქ კი რაცაა – სიკვდილი გაცრის,
ვერც კი მოასწრებ შევლებას თვალის.

ნუ დალონდები, რომ ბგერა გაქრა,
რომ ჩაქრა შუქი ნათლის,
ისინი დარჩნენ, და გაქრა აქ რაც –
ანარეკლია მათი.

ჯელალ-ედ-დინ რუმი
„შამს თებრიზის დივანიდან“

ბარაზა

ბარსელონაში მარტო „ბარსელონა“, გაუდი და მიროს მუზეუმი კი არ არის, ბაცაცებიც არიან.

ჩამოსულებს აფრთხილებენ – ფრთხილად იყავითო, ყურადღება არ მოადუნოთო, ჩანთები მაგრა გეეავოთო, ხელი არაფერს გაუშვათო!

ფრთხილად ხარ და ბედნიერად. ყველაფერს დაესწრები, აღიქვამ და ზღვის სანაპიროზე „რელაქსისთვის“ მიიჩეარი, ზღვის ინტერნაციონალურმა სივრცემ დაგამშვიდოს, დაგალაგოს. კოლუმბის ძეგლთან ზიხარ და ფეხზემდგომს გაკვირვებით უყურებ. ვალმოხდილი ქალის ფეხზე დგომა უკიდურესი აღფრთოვანებისაა. ჩანთიდან სანთებელა და სიგარეტის კოლოფი ამოილო, ნებიერად სიგარეტის მოსაკიდებლად, ჩანთა ფეხებს შუა გაიკვეხა, წვივები მოუჭირა და კაიფით მოუკიდა. ჩასაფრებული ბაცაცა ზურგის მხრიდან მიეპარა, ელვისებური სისწრაფით ჩანთა ფეხებიდან გამოგლიჯა და ისეთი სიჩქარით გაიქცა, „ბარსელონას“ თავდამსხმელი ვერ დაეწეოდა.

ქალმა ესპანეთის დანარჩენი დღეები ბარსელონის პოლიციაში გაატარა. ჩანთიანად, ფულიანად ვიზაც და დოკუმენტებიც წაიღეს. პრეტენზია ერთი ჰქონდა – ფეხი არაფერს გაუშვათ, არ გითქვამთო! წვივი მაგრა მოუჭირეთ, არ გაგიფრთხილებიათო!

რაული

ბავშვთა სახლის ბიჭია, მოზრდილი, მიმნდობი. გეტმასნება, შენი იმედი აქვს. ისე, მაგ სახლისებს, ყველას აქვს იმედი, შენი ან ვისმესი. შენც მორჩილდები, შებრძოლების თავი არა გაქვს, გეცნობა, მასწავლებელს გაცნობს, ერთადერთ თავის საკუთრებას, ლოგინთან მდგარ ცარიელა ტუმბოს ამაყად გაჩვენებს. თავისას გიყვება. მედოლეობა უნდა – ქორწილების შაბაშის იმედი აქვს. ალბათ მუსიკალურია. გემშვიდობება. გელოდება. ვერ ჩადიხარ. დოლს უგზავნი, მერე გიტარას, ერთი-ორ შენთვის ძვირფას წიგნს. გწერს, ყვავილებს და წითელ გულებს გიხატავს. შენც პასუხობ, გრძნობიანად, დიდაქტიკურად. ერთხელაც ჩახვალ, არ დაიზარებ, გზაზე ხარ, ინახულებ, უხარია, გეტმასნება. სიტყვები გიჭირს, დაკვრა გირჩევნია.

...დოლი წაართვეს, გიტარა დაუმტვრიეს, წიგნი? კითხვა არ იცის. წერილებს სხვა წერდა, წითელ გულებს თვითონ გიხატავდა.

ტუმბო ისევ ცარიელია. შენი იმედი აქვს.

მობილურს გთხოვს, ჩუქნი, გირეკავს, პასუხობ. ელოდები, ანგარიში როდის გაუთავდება.

თანატოვობია

ათასნაირ ფობიებში თანატოვობია ყველაზე გასაგებია. აბა ობობას და ბელურას შიშია გასაგები? ჰოდა, ზოგჯერ ამ თანატოვობიის უქონლობა, ცოტა არ იყოს, უკუფობიად გეჩვენება (თანატოვილია?). იმას ვყვები, აგერ რო თხებიანმა ქალმა იკივლა — წალკოტიო, — ბევრიც არ შეშლია. განონასწორებული, პასტორალური განწყობისთვის მთაგორიანის ადამიანური მასშტაბი და ფლორა ყველაზე მოსახდენი ყოფილა. თრიალეთიც ეგეთია: კალთები ზომიერი, ალერსიანი, ხასხასა, მზის სხივებზე გამჭვირვალე სიზურმუხტე, სიჩუმე და ნეტარება. და ამისთანა წალკოტში გადმოაგდო (მე მეგონა, ნებით, თურმე უბედობამ) ჯეჯგვი, რუსი მუშა. მეზობლად სახლს აშენებდა, ცემენტს ზელდა, ბეტონს ასხამდა, და დროდადრო ხუთსართულიანს იგინებოდა (რუსულად). მუშა-კაცის გინება არ გიკვირს, და მის ხუთსართულიანს ზოგჯერ ნოსტალგიური გაგებითაც კი ვისმენდი.

— ალბათ, დაიღალე, დაისვენე! — ერთხელაც (რუსულად) გამოველაპარაკე.

— რა დამღლის, მადამ, ეს რა საქმეა, ეგეთი მიკეთებია! — (რუსულად მიპასუხა), სიტყვას სიტყვა მოჰყვა, დავუყვავე:

— ამისთანა სილამაზეში ხარ, ბუნება ყვავის, ჩიტები ჟღურტულებენ, შენც, არ ვიღლებიო, ნერვებს რაზე იშლი, შეირგე წალკოტი! რუსეთში ასეთი ბევრი არ არის, საიდან ხარ?

— დონბასიდან ვარ. ძალიან კარგადაც ვიყავი (ერთი შეიკურთხა) მილიციის დედა (შეიგინა),

თორემ აქ რა მინდა (შეიგინა), ამ ჩიტების და ყვავილების (დედის დედაო), იმისთანა სამსახური მქონდა, ერთი იქ დამაპრუნა, ჩემი ბედის (შეიგინა). მეტი არაფერი მინდა!

გავშტერდი. პროფესიით თურმე (დონბასში რა იქნებოდა!) მემახტე ყოფილა, დალენერიკ-ი, ქე რომ მიწის ქვეშ, გაჭედილში ძვრები, უკან „ზაღნით“ მოდიხარ (შეტრიალების შანსი არ არის), შუბლზე ფანარი, ხელში „კირკა“, პირველმ-თხრელი ხარ, ან გამოხვალ ან არა, ან დაგექცევა თავზე მიწა, ან არა, და ამ ქვესკნელში ვაბი-ს აკეთებ, ანუ თხრილს რაღაცით ამაგრებ. ენით აუნერელი, წალკოტის ოპოზიტი — ჯოჯოხეთი! და ეს ყველაფერი Sponte sua, sine lege!!! (ანუ შენი დილიხორით?!).

იქიდან ამოსულს თრიალეთის ნიავზე, იქაუ-
რობა გერჩიოს, ბოდიში, მაგრამ სუფთა სიგიურედ
მეჩვენება. ან ეგების თანატოფობიაც მჭირს და
გიუიც მე ვარ?!

გზაჯვარედინი

სოფლის ძველ, მყუდრო სასაფლაოზე, ცაცხვის ძირში, ბაზილიკასთან, შვილმა ქართული, გრძივი ქვა დაადო, მარტო სახელით.

წესით და რიგით მამამისი გზაჯვარედინზე უნდა წოლილიყო და ქვა გზაჯვარედინზე დებულიყო.

სული ტკბილია — მაგისი ხომ არ არის თმენა და მორჩილება?

სული ტკბილია — მაგისი ხომ არ არის ასე იშვიათი გზაჯვარედინები?

პატარა კაცი გაცნობიერებულად, აუჩქარებლად, მშვიდად, გაუსწორდა თავის თავს და წუთისოფელს.

აცხონოს.... იქ, სადაც განისვენებს.

უფსპრული

მომიყვნენ, უფსკრულში უპოვნიათ. თავი მოიკლა თუ სხვა ხიფათი იყო, არავინ იცის. ეგეთებს ბევრს გაიგებ, არ გამოგაპარებენ, ტკბობით გიყვებიან. შენც ზრდილობიანად ისმენ, სალაპარაკოდ არ გინდა. და მაინც, მანგლისში მიმავალი, იმ უფსკრულს გვერდს კიდევაც მაგიტომ ვერ აუვლი.

ყველანაირად სანახავია უფსკრული – ღრმა, უძირო, კლდოვანი, პრეისტორიული ქანებით შემორკალული. უნდა იცოდე, სად არის, ზედ გზაზეა, მაგრამ არ ჩანს. უფსკრულში გადაღვენთილი ნატვრის ხე თუ მიგანიშნებს, — აქ არის, ამ ადგილზეა. ნატვრის ხე, რა ხე იყო, ვერ გაიგებდი. ზამთარ-ზაფხულ სულ ნაჭრებში, კანაფებში, ძონძებში დამალული, ახალ-ახალ ნაზარდებზე ახალ-ახალი ბაბთებით შევედრებული. გავჩერდით. უფსკრფულის დარაჯი თავის სადარაჯოზე არ იდგა. ნაპირს მივუახლოვდით. ურჟოლამ აგვიტანა. ძირში მოჭრილი ნატვრის ხე უფსკრულის ქანობზე ეგდო თავდაყირა, ლოდზე დაკიდებული. უკვე გამხმარი, ტოტებდალენილი, ჩამქრალი ძონძებით, შეშადქცეული.

მის ნაზარდ ადგილზე ჯვარი იდგა, პატარა, ქვის, შეუმჩნეველი.

სერვაცია

არც ვერონაში, არც რომანტიზმის მეფობისას, არამედ დღეს, ფულის ზეობისას, თბილისში, ვერა-ვაკის გამყოფ კეკელიძეზე სამი ახალგაზრდა ქუჩაში მღეროდა.

ლამე იყო, ვერ გაარჩევდი, დიდად გასარჩევნიც არ იყვნენ, ქუჩაში მღეროდნენ და ეგ იყო მაგათი გამორჩეულობა. ქართველი უბრალოდ პირს რომ გაალებს, უკვე მოსასმენია, და სიყვარული თუ ამღერებს, დამატყვევებელი.

რკინის ბოძს მივეყუდე, ძალლებს მოვქაჩე და სმენად ვიქეცი. ცხადი იყო, რომ ჩონგურიანი “წყალში იდგა და ცეცხლი ეკიდებოდა”, ძმაკაცები კი ბანს აძლევდნენ. სატრფიალოს მღეროდნენ და დროდადრო აივნისკენ იხედებოდნენ. ქვის გული გალღვებოდა. აივნის კარი კი ერთხელაც არ გაიღო, ჯულიეტამ აივნიდან ერთხელაც არ გადმოიხედა. აივნის ქალიშვილი ან პავაროტის ელოდებოდა, ან უფრო ლექსენს.

კორპუსს ეძინა.

მოკი

ერთხელ ნანახი მამაკაცის ხიბლი, წლების გან-
მავლობაში რომ გაგყვება, როგორი უნდა ყოფი-
ლიყო?! მარტო ხიბლით, თავჩაღუნული ხიბლით
გახსოვს. ამ ქვეყნის ნაბუშარი, არავისთვის საჭი-
რო, უმარიფათო, უწყინარი, მოწყენილი ახალ-
გაზრდა მამაკაცი.

ცოლ-შვილისათვის ფულის მშოვნელად არგა-
მომდგარი, ამით დარდიანი, ხნიერ დედას შერჩე-
ნილი. მაგით გახსოვს, შენ რომ გიჭირს, გეგულება
და გულზე გეშვება. შენს მიტოვებულობაში იცი –
არის, უზომო ხიბლით, უზომო სიღრმით, უზომოდ
ამ ქვეყანას ვერ მორგებული. გვონია, ერთიმეო-
რის ფხად გამოდგებით, გეშველებათ, გაგიმართ-
ლებს. წლები გადის, შენსას შენ თვითონ ერევი.
თავისას თვითონ ვერ მოერია...

დარეკეს... ველარაფერს ველარ მიუსწრებ. და-
გიგვიანდა. ყურმილს კიდებ. ტყისკენ მიმავალი
ცხენების ნალების ნკარუნი გესმის. ინგლისურად
მოლაპარაკე მეჯინიბის და ლალი ინგლისელის სი-
ცილი ასმაგად არ გსიამოვნებს...

გიორგი

ორი ბიჭი, წყლის ბაკზე შემძვრალი, ზედ ხიფა-
თიანად დაღოლავს. ერთი ოთხი წლის არის, მეო-
რე — ექვსის, სასკოლოდ წასასვლელი. ორივე ერ-
თი სიმაღლის, ერთი ფერის. უფროსის დანახვაზე
დატყვევდებოდი, დამიწდებოდი, გაშეშდებოდი,
სამი მსხალი ხელში გაგიქვავდებოდა. ჭიაყელასა-
ვით ბიჭი, წვრილზე წვრილი, მათრახივით ხელ-
ფეხი, მუხლები და მკლავები უფრო განიერი,
ამოყრილი ბეჭები, ვიწრო მხრები, წვრილი კისე-
რი, ზედ ლამაზი ფორმის ქერათმიანი თავი. სახე
მოძრავი, მეტყველი, თვალები ისეთი ელამი, რომ
რაღაც მოძრაობაში გუგა მთლიანად ემალება.
ზრდილი, სალმიანი.

გიორგი ჰქვია. გველეშაპის შუბით განმგმი-
რავს არა ჰგავს, მაგრამ გულს გინგმირავს,
გლახვრავს. დაფიქრებული, ფიქრიანი, საზრისი-
ანი, შეწონილი. ყოველ შეკითხვაზე — ნაფიქრი,
განცდილი, გამოცდილებით ნაკარნახევი პასუ-
ხი. ასეთივე შეკითხვები. ჭიაყელობაზე თანახმაა
— ვიცი, თხელი ვარ, წვრილი ძვალი მაქვს, ვიცი,
ჭიაყელას ვგავარ.

იმაზეც თანახმაა, მიეფერო, კალთაში მორჩი-
ლად გიჯდება, უბეში გეტევა, ორივე ხელის მტე-
ვანი — ხელში, თხელი, ქარივით. თავს დახრი და
მთლიანად იტევ მოხვეულ მკლავებში. არ გინდა
გაუშვა, გინდა გელაპარაკოს, თავი გიქნიოს, შე-
გეპასუხოს. გინდა შენ აირეკლო მისკენ ნათქვა-
მი, გინდა შენ აიცდინო მისკენ ნასროლი. თხე-
ლია, ზრდილია, თბილია. შენც ეგეთი ხდები, შენ-

ში სულმთლად მიძინებული იანუშ კორჩაკი იღ-
ვიძებს და ესენინის ლექსი გაგონდება:

Они бы вилами пришли вас заколоть
За каждый крик ваш, брошенный в меня.

ცოდარი

ბუხრის ნაცარი იყო გადასაყრელი, ბოსტანი დასაბარი, ბარი დამჭირდა, სარდაფში შევძვერი. ამდენ თოხებსა და ნამგლებში ისევ იმ ბარზე მომიხვდა ხელი. ძლივს გამოვათრიე. პირზე ტონა გაქვავებული ცემენტი, ტარზეც ხორკლებად ცემენტი, ხელს გაგიკანრავს, ვერ იხმარ, გემოს ვერ ჩაატან. პორტრეტია, ჩვენი ნოდარის პორტრეტი. ბუხარი მაგან აგვიწყო. ბუხარს რამდენსაც ვანთებთ, იმდენჯერ მადლიერებით ვიგონებთ — იცოდა, რას აკეთებდა. თავის ცხოვრებას კი ამ ბარივით მოექცა — გამეტებით, გაუფრთხილებლად. არადა ამ ცემენტის სველზე ჩამორცხვას რა უნდოდა, თითქოს რა ტვირთია? ტვირთი იყო, ალბათ, ნოდარის ცხოვრება, არ დაზოგა, არ მოუარა, არ შეირგო. ბარი გადავაგდე.

სალამოსპირს აცივდა, ბუხარი დავანთეთ, ცეცხლიც გვათბობდა და მოგონებაც. მისი შესანდობარი დავლიეთ.

განგი

განგის ნაპირზე მოხუცი ქალი ზის და სიკვ-დილს ელოდება. განგი დიდია, დიდია ინდოეთი. შორიდან მოვიდა, ფეხით, ბებერი, მომაკვდავი და არ გაუმართლა – სიკვდილი იგვიანებს. ყველა ინ-დოელის ნატვრაა, წმინდა განგმა მიიბაროს. რჩე-ულთა ხვედრია განგის პირას სიკვდილი. რჩეულ-თა რჩეულებს განგს ფერფლად გაატანენ, მისნა-ირ ღარიბს – ცხედრად. ბედნიერია, ნატვრა აიხ-დინა, განგის ნაპირზე სარიში გახვეული, მუხლებ-ში თავჩაღუნული ზის და ელოდება...

არც გეცოდება, არც გებრალება, ჯანმრთელს memento mori-თ მცხოვრებს, მოლოდინით კნინს. არ გებრალება, მაგრამ ლოდინს ნამალი უნდა და ჩაპატის ნაჭერი, და რუპიებს ითვლი.

ლტოლვილი

ბაზრის ორომტრიალში, შესასვლელში გაგვა-ჩერა, გვიცნო და თავი შეგვახსენა. იმდროინდე-ლი, ლუმურიშული წამოტივტივდა და მიჩუმდა. იქაური ბიჭი კაცად იქცა. აფხაზეთის მთებში ლალმა, ეტყობოდა, ქალაქშიც ივარგა. დამრგვალდა, გამოიკვეთა. ქართველებს სალაპარაკოდ გაჭირვება ურჩევნიათ, იოლი მისაოხრებელი და შემკვრელი. აქ თემა საძებნელიც არ იყო. ისევ ჩვენ წამოვიწყეთ ხელმოსაკიდი და სავაგლახო. კაცს სიხარულიან სახეზე მტკივანით ურთიერთობის სურვილი არ ეტყობოდა, უფრო თავის მოწონება და წარმოჩენა ერჩია. პასუხი კი თქვა — იქაური ომისა, წაგებისა და ვარაუდის.

სხვა ვერ მოვიშველიეთ სალაპარაკოდ, ვერ გამოვდექით ბაზრის კარიბჭესთან. თათარიახნ უურნალისტურ ქიცინს ჰეგავდა სიტყვა-პასუხი. არც გადაკვეთის წერტილი იყო საკადრისი. წუთები ტყვიასავით გვეღვრებოდა. დამშვიდობება ამოსუნთქვას ჰეგავდა. დამშვიდობება იმედიანი, სამომავლოდ საურთიერთობო. გული კი ჩქარა-ჩქარას ფეთქავდა, ოღონდა აქ არა, ოღონდ არას-დროს...

არის კია სადმე ამ ქვეყანაზე ის დალოცვილი წერტილი ჭეშმარიტი გადაკვეთისა?

სვანი

სიზმარშილა ხედავს ნაკრას, თავის სახლს, თავის კარს, თავის ციხე-კოშკს. ძილ-ღვიძილში გულს გააყოლებს, ხელს შეავლებს და გამოლვიძებულზე ხელში დღევანდელი შერჩება — სხვა ზვინები, სხვა სათიბი, სხვა მთა-გორიანი, არც სვანეთის მუავე წყლები, არც მწვერვალები. ვაჟი — სპეცრაზმში, ქალები — ქალაქს. დიდი კაცი, ნაძერნი თავით, ლამაზი, დაუღალავი ტორებით, ამაყი სვანი, ენაძუნნი და გულმაგარი, ჭაპანს სწევს და სიზმარში ნაკრას ხედავს. მაგრამ თუ გადაუხვეტავი თოვლისგან სახურავჩაქცეული სახლის ზალაში, ჩალენილი ფანჯრიდან გადაზრდილი ვაშლის ტოტი ახსენდება, შუა ოთახში მწიფე კიტრა ვაშლებით მსხმოიარე, ცრემლი ერევა და მოთქმით ტირის სვანი, ლამაზი თავით ბალიშს-ჩარგული.

პროფესორი

ინტელიგენტობის ცნება ცოტა მოუხელთებელია. სხვა ყველაფერთან ერთად შესაფერ ფიზიოლოგისაც გულისხმობს ალბათ. სისხლჭარბი ვიტალურობა, ყანწები და ძალმომრეობა, მე მგონი, არ უხდება. პროფესორიც ეგეთი იყო, რიონის ფშანების ნებით, უფრო ნორვეგიელი, ვიდრე ქართველი. მისი სრული ოდიოზურობა იმავდროულად ხიფათის გამომწვევიც იყო და ხიფათის ამცდენიც. მაგალითად: მანქანის მოტორისტი სურიკა, ბანჯგვლიანი, ზეთში ამოსვრილი, ცხვირ-პირით არის ჩაფლული პროფესორის „ნივაში“. პროფესორი თავზე ადგას და ალერსიანად ეუბნება:

— ბატონო სურიკ, ხელებს გაუფრთხილდით, ეგების ხელთათმანი გეხმარათ, გეთაყვა.

ბატონ სურიკს ჯერ ასეთი ქართული არ ესმის, მერე შეხურდება, მოტორიდან ამოყვინთავს, მაზუთში სინითლე გამოჟონავს, თავში — იჭვი... საპასუხოდ „მანტიროვკას“ მოიმარჯვებს. პროფესორს აღსასრულისგან უცოდველი მზერა იხსნის. კლიენტი არანაირ კლასიფიკირას არ ექვემდებარება. გიურ რომ იყვეს, „ნივა“ არ ეყოლებოდა (იხ. „ნემო“, გვ. 175).

ან კიდევ: პროფესორმა სიძე-ქალიშვილი გზად დუშეთის დუქანში შეიპატიუა. კაციჭამია დახლიკაცს წიგნიერის ფერმკრთალი თითით მიუნიშნა:

— გეთაყვა, თუ არ შეწუხდებით, სამი ულუფა ფხალი, 120 გრამი ყველი და სამი მეოთხედი ხაჭაპური და, აი, იმ კიტრის ნახევარი. რაღაც შეუძლოდ გამოიყურებით, ცუდად ხომ არ ბრძანდებით?

„პახმელიაზე“ მყოფმა დახლიკაცმა ჯერ — „გარიაჩვა“ მაქვსო, მერე — „ინტრიგანიაო“, და

კლიენტის მაგივრად, უშველებელი დანა კიტრს ისე მოუქნია, ზედ თითიც მიაყოლა. დუშელის ბიოგრაფიაში ეს პირველი იყო, კლიენტს რომ არ სცემა და კაპიკ-კაპიკ უანგარიშა. პროფესორის უსაზღვრო სიკეთეზე კი:

— თანხის ათი პროცენტი გერგებათ „ნა ჩაი“, ბატონოო, — ცხოვრებაში პირველად „პახმელიაზე“ უჭაჭოდ გამოვიდა.

ან კიდევ: სვანეთში შორტებით ხალვათად მიმავალ პროფესორს მოქეიფე მთის ლომები შეაჩერებენ, ინტერესით ახედ-ჩახედავენ და, „დაგვილიეო“ — ეტყვიან. რძისფერი რახით სავსე ჭიქას პროფესორი მზის შუქზე გახედავს და იტყვის:

— პატივცემულო ახალგაზრდებო, ეს ერთნახადი სასმელი შხამია და საწამლავი, ფრიად მავნეა თქვენი ჯანმრთელობისათვის, ჩემთვისაც, მოგეხსენებათ. ამას ვერ დავლევ, თქვენც არ გირჩევთ. ისე გადლეგრძელებთ ჩემს სანუკვარ სვანეთში.

აქაც გმირულად დაღუპვას საყოველთაო გაოგნება და ისევ უცოდველი ღიმილი გადაარჩნს, და ის მარტივი სიმართლე, ზოგჯერ ნათქვამი დიდი გამბედაობის ტოლფასი რომაა. სვანმა ლომებმა კიდევაც დალიეს, კიდევაც გადარჩნენ, კიდევაც ერთმანეთს კარგახანს ვერა სცნობდნენ.

პროფესორის ის მოუხელთებელი თვისება კი, ყველგან რომ ხიფათს იზიდავდა და ხიფათისგან იფარავდა, ერთმა მონაზონმა ქალმა ასე ახსნა:

— მამაშენმა თვითონაც არ იცოდა, რომ ღმერთი სწამდაო.

თბილისის ზღვა

თბილისის ზღვა. ფარავანი თუ ტბაა (ბაიკალ-ზე აღარ ვამბობ), თბილისის ზღვა — ზღვა რატო-მაა ცოტა გაუგებარია. ეგ არა უშავს, სხვას თუ მოიწონებ. არა, დასაწუნი არ არის, მაგრამ მოწო-ნებას მეტი უნდა. ხელოვნურად ჩასხმულს ცოტა განწყობა აკლია. ერთი შეხედვით, ცოტა ფარა-ვანსა ჰგავს, მაგრამ იქ სული ტრიალებს ღვთიუ-რი ჩანაფიქრისა, აქ კი შორი-ახლოს, უსახური კორპუსები თბილისის განაპირის, გაჩეხილი ბა-ლები, არცა უდაბნოს იდუმალება, არცა შავი ზღვის ხუჭუჭები. ეს ისე, გარეშე თვალით, თორემ ბევრიც იწონებს, პლიაუებად იყენებს და მიწებ-საც ირიგებს. ზოგს კი უბრალოდ აქ უნევს, შეხვ-და, ბედისწერისაა.

აგერ, შავიზღვისპირელებს ამ სანაპიროზე მო-უნია ცხოვრება, ყოფილი საჯინიბოს გრძივ, გა-ბოლილ ნაგებობაში. უარესსაც გიჩვენებენ — ელექტროჯიხურს, ფეხზე დაყენებული კუბოს ფორმის და ზომის. ახალჩამოსულზე ამაში ექვს კაცს უცხოვრია (ალბათ, იმათაც ფეხად). იუმორი მშველელია — ჯიხურს მისამართი აწერია. იმის იუმორს, თბილისის ზღვის მრკალავ გზას რივიე-რა დაარქვან, ვერ მოსთხოვ, რაზედაც იმყოფი-ნეს, ისიც მეტია. იმედიც ჰყოფნით. ჯიბებით მო-სულ იაპონელებს ვიწრო თვალებში შესციცინე-ბენ შველის დაუღალავი მოლოდინით. ეს აქ დაბე-რებულები, თორემ აგერ, აქვე, იაპონელების ფერხთ, ბალახზე ბიჭები უდარდელად ჭიდაობენ, არც იაპონელებს ამჩნევენ, არც გაძვალტყავე-

ბულ ძაღლს. ჭიდაობენ, იცინიან და ეს სიცილი ნამდვილია, უშიშარი — კაცი აქაც დადგება თუ უფრო თავისი, ღვთისა ირწმუნა, ვიდრე მომსვლელისა და დამპირებლის.

ცხოვრება კი არც ჩარგალში ულხინდათ, და, მგონი, არც სადმეა დალხენილი...

სიტყვა

გარეთ ქვიშა, აქლემები ჭის ირგვლივ მოსიარულე, წყლით გაოფლილი ტიკები, ბორბლის ჭრიალი და მომთაბარის კარვები. შიგნით, კარავში რკალად, მუხლმორთხმულად მჯდომი უხუცესის რძლები — ხუთი ვაჟის ხუთი ცოლი და თვით მისი პატივდებული მეუღლე. სხედან მდუმარედ, ჩვილებითა და მზარდებით გულჩაკრულები. ირგვლივ ქვიშა, კარავში იდუმალი სიჩუმე და ერთმანეთის თვალიერება. აქ, ამ სამყაროში მარტო ქალს შემოესვლება, მარტო მხატვარს შეუძლია ნაქსოვ-ნაქარგებითა და სამკაულებით დაუღალავი ტკბობა. აღტაცებას სიტყვა არ უხდება, არცა ხმაური. აქ არც მოუძებნავი სათქმელი დაგამძიმებს, არც უპასუხო სიცარიელე. აქ თარჯიმნის სიტყვა ყალბია, ბგერა კი ფუჭი. არის რაღაც ბიბლიური ამ მუსლიმანურ სივრცეში, რაღაც შეუცნობადიც და მშობლიურიც. და აი, ამ სრულ სიჩუმეში დედამთილის უსიტყვო ნებით, უფროსმა რძალმა კარვის საბჯენს უნატიფესი ფოჩებიანი ნოხი ჩამოხსნა, უმცროსმა პატარა შვილს ქვიშაში ნაწოლ-ნაპოვნი ბარბაროსულად მომაჯადოებელი მძივი შეხსნა და ოჯახის მბრძანებელმა სტუმარს ფერხთ დაუდო.

ეს ყველაფერი სრულ, ურღვევ სიჩუმეში, მის-ნური წვდომით სტუმრის სურვილისა და არჩევანის.

სახლში სათუთად შენახული ეს ნივთები მხატვარს იმასაც ახსენებენ, სიტყვა რომ განსაცდელად გვაქვს ნაბოძები.

დედა-შვილი

ის დედა-შვილი კუს ტბის ქედზე მაშინ გავიცანი, ჯერ რომ იქ არც ნაგავი ეყარა, არც ტბის ნაპირები იყო დასაკუთრებული, არც ტბის ირგვლივ დარბოდა ნარჩევი საზოგადოება. არასაყოველთაო უცნაურია ხოლმე მარტო მაგიტომ, და ამ შემთხვევაში კი დედა-შვილი ცოტა უცნაურები ისედაც იყვნენ. კუს ტბის კალთებზე უფრო იგუებდი, ვიდრე შუა გრიბოედოვის ქუჩაზე, ქართული წიგნებითა და ჯო დასენის ფირფიტებით გავსებულ უღარიბეს ოთახში. დედას საქართველოს იქით არაფერი გაეგებოდა, ბიჭს კი ჯო დასენი უყვარდა, იმდროინდელი ტკბილმომლერალი ფრანგი. დედის ანთებული ქართველობა და შვილის ფრანგი შანსონიეს სიყვარული ცოტათი გულმტკივანიც იყო — ერთმანეთს მიჩერებულებს, უნარმომავლოდ, უნარსულოდ, უმომავლოდ, მარტო სულიერება კვებავდათ.

იმ დროს იყო, მესხეთის ძირძველი სოფლების მოსაბრუნებლად ქვეყნის მზრუნველებმა ქართველებს რომ შემოუძახეს იქ, მესხეთში ნასასვლელად და დასამკვიდრებლად. უცნაურად გავიგე, რომ იმ დედა-შვილის გარდა თბილისიდან ნასვლის სურვილი არავის გამოუთქვამს. ქალაქშიც აღარ ჩანდნენ, იქაც მარტო რას გახდებოდნენ.

დავიჯერო, ჯო დასენის ქვეყანაში წავიდნენ?..

მონაშენი

ამოუწურავია საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოგზაურობა (მოგზაურობა, არა მგზავრობა). ვიწ-როში მოქცეულს სამყაროები გადაგეშლება. ხან გატრუსული რუსი ბოიანისტი ამოვა უზარმაზარი ბოიანით და ლეკურს უკრავს შავი ქართველების გულის მოსაგებად, ხან თათარი გჩრის კელტურ ჰოროსკოპს, ხან ქართველი გეხვეწება – „ბუბლიკი“ შეჭამეო! მგზავრების პირჯვრის გადაწერით ეკლე-სიების ზუსტ რაოდენობას ადგენ, ბევრს რასმეს იგებ, ბევრს შეეჩვევი. ისე, განევ-გამოწევაც ხდება — კანონი მორჩილთაა, სჯობს ერსა და ბერს არ გა-მოაკლდე, შენს ვინაობასაც თუ სცდი...

აგერ, კაცი ამოდის გაჩერებაზე იღლიაში ამოჩ-რილი ქაღალდებით, ერთს გაშლის კედლის გაზეთი-ვით, მზერას შუბლში დაგიმიზნებს და ბრძანებს:

— მორწმუნებო! საეკლესიო კალენდარი! იყი-დეთ!

მორწმუნებს, ინტონაციიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი კომპლექსი უჩნდებათ და თავს ხრიან, არა საფულეების გასახსნელად.

— ქრისტიანები არა ხართ? — შემოგიტევს. მოიკუმები და არკვევ, რომ არა ხარ. ნიურნბერ-გის პროცესზე გგონია თავი და ვერ გადაგინყვე-ტია, სიმართლეს ემსხვერპლო თუ მოწყალე გახ-დე. ვნებათაღელვა სულ ერთი გაჩერების სიგრ-ძეა. პატარა გოგო მორჩილად იხდის გროშებს, გა-ყინული სისხლი 36,6 გრადუსს უბრუნდება.

რა მწირია ჯიპით მოსიარულეთა შთაბეჭდი-ლებანი.

პიში

კიბის თავს სვეტივით მამაკაცი აგვირგვინებდა. ახალგაზრდა, მაღალი, მხარბეჭიანი, სახე გაოგნებული, ფარგლისებურად გაშლილი ფეხები არამყარად მდგარი, გრძელ ცხვირზე გამჭვირვალე წვეთი.

მათხოვრებში ჯიშით გამოირჩეოდა და შეშფოთებული უსუსურობით...

ნეტავი არც ეუენ ფრომანტენს დაეწერა და არც სხვას გადმოექართულებინა მისი სიტყვები:

„სიკვდილი ფეხებიდან ეპარებოდა... ერთხელაც წაიქცევა, ვეღარ ადგება და მისი სული მის გონებას შეუერთდება, რომელმაც მიატოვა”...

ინტერვიუ

უურნალისტი ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო: ახალგაზრდა, შემტევი, უკომპლექსო, ქვეყნის განმანათლებელი, უნიფიცირებული ფიზიკური მონაცემების, პრაქტიკულად უხიბლო. მხიარულად შემოცერიალდა პროფესორის კაბინეტში, თვალები დაალაგა, ააუუჟუნა და ოპტიმისტურად წამოიძახა: „უი, რამდენი წიგნებია!“ მცურავი მზერა წიგნების ყუებს ააყოლ-ჩაყოლა და იქვე, თაროებზე მიწყობილი წვრილმანების თვალიერება არჩია — ფოტოები, აკვარელები, ნიუარები... ერთ, შუშაში ჩასმულ ხელნაწერზე თვალი შეაჩერა და კეკლუცად იკითხა: „უი, ეს რა არის?“

პროფესორი დაღლილი ლიმილით თვალს ადევნებდა:

— ილიას წერილია, ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფია.

— თქვენ მოგწერათ?! რამხელა ბედნიერებაა!

— აბა, — სიმწრით ჩაეცინა „ილიას რესპონდენტის“.

უურნალისტი ქალიშვილი, ლრმა წვდომით შეგულიანებული, კიდევ უფრო მომხიბვლელი გახდა და დიქტოფონი მოიმარჯვა. კითხვა-პასუხს ქართული ლიტერატურის მიმდინარე პროცესებისათვის უნდა მოეფინა შუქი. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ეს ფრიად ისტორიული საუბარი თბილისში, 2007 წლის მაისს, კეკელიძის და არა ასათიანის ქუჩაზე შედგა, რომ უურნალისტს უკვდავების არანაირი სახეობისა არ სწამდა, და რომ

სიმწრის იუმორი ერთადერთი საშუალებაა იმავე ასათიანზე არმოხვედრის, მიხვდებით, „რაფრა“ ადექვატური წარმოდგენა გვაქვს მიმდინარე პროცესებზე.

მოხუცი

ბაზრის რია-რიაში, ბაზრის კიბეებისკენ ერთი ბენო, დაუჯერებლად პატარა მოხუცი ქალი პატარ-პატარა ნაბიჯებით თავის ადგილზე მიიჩქაროდა, ჩამოსაჯდომად, ხელგასაწვდენად. ზაფხულშიც პალტოჩაცმული, წელში ისეთი მოხრილი, ისეთი მოკაუჭებული, რომ სიმაღლის გასაზომად სიგრძე ფეხიდან ზურგის წვერამდე უნდა აგელო, ცა რომ დაგენახვებინა, ზურგზე უნდა გადმოგეგორებინა, ზემოდან მარტო ზურგს ხედავდი, სახეში ჩასახედად უნდა ჩაჯდომოდი და — თუ ჩაუჯდებოდი და ქვემოდან სახეს ახედავდი — არასდროს დაგავიწყდებოდა...

გავუჩერდი, დავიხარე, ჩავხედე... ხურდა არ მქონდა, ოცი ლარი მებევრა.

ალბათ მე უფრო მიჭირდა...

მოსაუბრე

წარსულში — ხუთჭიდელი, დიდი ქვეყნის ჩემ-პიონი, საქართველოს ჯარის ოფიცერი, „სპეც-ნაზში“ ნაომარი.

დღეს — ჯერაც ახალგაზრდა, ოთახში გამოკეტილი რუსი მამაკაცი, მარტო ზის სავარძელში; ტელევიზორი, თვითონ და... თუთიყუში. პატარა, ყვითელი თუთიყუში, ხმის გამცემი და მოტლიკინე. კაცი კი მარტო იმას უცდის, როდის იტყვის:

— Зина пришла!

ყაჩალი

ყაჩალი თავზე უეცრად დაატყდათ: ნიღბიანი, იარაღშეყენებული, აგრესიული და ულმობელი:

— ფული დაყარეთ, რაცა გაქვთო!

მსხვერპლმა, გაოგნებულმა — ფული სადა გვაქვს, აქ, ტყეში ფულს რა უნდაო?! რაც გვქონდა პურ-მარილში დავხარჯეთო; ჯობია, მოგვიჯექი, დაგვილიერ, ერთად წავიქეიფოთო, ბუნების წიაღმიო.

ყაჩალს, ეტყობა, კიდევაც შიოდა, კიდევაც სწყუროდა. პურ-მარილს დაყაბულდა. შექეიფიანებულზე ნიღაბიც მოიხსნა, იარაღიც გვერდზე დაიდო და მუხის ძირში გემრიელადაც ინადიმეს. არც საგზალზე — მოხარშულ დედალსა და ბოცა ღვინოზე — თქვა უარი.

ფოტორობოტის შიში რომ არ ჰქონდა — ცხადია; რომ სცოდნოდა, წიგნში მოხვდებოდა, ალბათ არც გვარსა და სახელს დაგვიმალავდა. საქართველოა!

მონაზონი

ნამდვილად ლამაზი ქალი იყო, ნამდვილად. ოღონდ ეგ კაცებთან არ უნდა გეთქვა, მაგათ გამოუყენებელი სილამაზის აღქმა არა აქვთ, ძალიან ცოტა ვინმეს თუ დაჰყვა... ჩაცმაც ნამდვილად ლამაზი იცოდა, მოურიდებელი, მხატვრული. თავწაკრული, ჩაჩაჩული, გახვეული — ყველანაირად ლამაზი იყო მისი ჩაცმა, ავადმყოფობითაც ნაკარნახევი. არც ენები იცოდა, არც ქართულს უფრთხილდებოდა, აბდა-უბდად ლაპარაკობდა, გულისას კი გაგებინებდა. მისი განდეგილობა ზოგთან მედიდური იყო, ზოგთან ცხოვრებისეული, ზოგთან ტკივილიანი და მხატვრული. მხატვარიც იყო. ავადმყოფობით მოქანდაკეობას რომ ვეღარ მოერია, ხატავდა და ხატვა მისი გულის მოსაშუშებელიც იყო და რწმენის განმამტკიცებელიც. ბუნება უყვარდა, ბუნებასთან მისვლას ავადმყოფობა უშლიდა, თავის ირგვლივ კი იკრავდა, ეფერებოდა. მისი აივნის წინ, შუაგულ ქალაქში, სკვერის ევროპულად მოვლა რომ მოინდომეს და სარეველებსა და ყაყაჩოებს ძირკვავდნენ, ქვემოთ რომ ვერ ჩადიოდა, თავისი აივნიდან უყვიროდა:

— ბოსტანი უნდა გააშენოთ! ყაყაჩოებს რას ერჩით! კიტრი გირჩევნიათ?!

თავის სამეგობროში პირველს უმტყუნა გულმა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მცხეთის დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს, რჩეულთა ადგილას. ვიცოდით, ეკლესიის მსახური იყო, მონაზონიც რომ იყო, მერე გავიგეთ... მისი ნამუშევრები საპატრიარქოს საცავში ინახება. ყაყაჩოები შუაგულ თბილისში აღარ იზრდება.

ფოსტალიონი

ფოსტალიონს ჩანთა ემძიმა. გურიის მთებში უგზოდ ჩაკარგულ სოფლიდან დაბამდე სიარული ფეხმარდს არ უჭირდა, უბრალოდ ცნობისმოყვარეობა მოეძალა. ჩვეულებრივ უფრო დაბიდან ეზიდებოდა შემომძახველ უურნალ-გაზეთებს, იქით კი ან რა ჰქონდათ სოფლელებს მისაწერი — ჯარში წასულს თუ გაუგზავნიდნენ თითო-ოროლა საგულდაგულოდ დაწერილ წერილს. „რა წერა-კითხვა აუტყდათო“ — იფიქრა და ერთიც გახსნა... იმის აქეთ, წლების განმავლობაში, ყველა წერილს, სოფელს მოცილებული, ერთიანად ცეცხლს უკიდებდა და ფერფლადქცეულ ბოროტებას ბოლს ატანდა.

სოფელი დასმენის ციებ-ცხელებამ აიტანა: ადამიანის გული წყენითაა სავსე და დროც ხელს აძლევდა წყენა შურისძიებად ქცეულიყო. განმსჯელიც აქეთკენ მოუწოდებდა იმავე უურნალ-გაზეთებიდან. ზემყოფს მიუვიდა მოფრთხილების ბოლი და კალთა გადააფარა სოფელს, თუ მარტო ფოსტალიონის ხელი ჰყოფნიდა — ერთი კია, იმ სოფელში უგზო-უკვლოდ და უმისამართოდ წაყვანილი არავინ ყოფილა. ამინ!

მგზავრი

ავტობუსი სავსე იყო, მხოლოდ ერთი ადგილი ცარიელი, ისიც დიდი პარკებით დაკავებული. პატრონს, რუსს, ფაშაშას, ეძინა. გეგონებოდა მოიმძინარაო, ისე, ფეხზე მდგომი ვინ მოუთმენდა მღვიძარეს. თავზე ხნიერი ქალი დაადგა — როგორ ხმას არ სცემენო, — იფიქრა — ისიც რუსს. მასშიც რუსმა იფეთქა, — ხომ არ გავაღვიძოო, ჭურის მასწავლებლურადო. მერე ისევ ქართველმა იმძლავრა, მიიხედ-მოიხედა, ქართველები ჩუმად იდგნენ, — იძინოსო, — იფიქრა, ეგების მართლა დაიღალაო. რუსმა მზერა იგრძნო, გამოეღვიძა, თავზე მდგომს ახედა, — რუსული გესმისო, — იკითხა, — დაჯექიო. უზარმაზარი პარკები მუხლებზე დაიწყო და გააგრძელა: დავიღალეო, შორიდან მოვდივარ, ჩამეძინაო, კატა მიზის აქ გალიაშიო, დასაწყვილებლად მყავდაო, პლაშჩიც მაჩუქესო, გზის ფულიც მაჩუქესო ორი ლარიო. ჩემი კატა ჩემს ქმარს მირჩევნიაო, ქართველია, კარგიაო, მაგრამ ამ კატასავით სხვისთვისააო. ფული რომ გვქონდა — ვჩხუბობდით, ახლა არა გვაქვს, მაინც ვჩხუბობთო. ქალი ვარ და პატივისცემა მინდაო.

ქალი იყო ნამდვილად, მრავალნაცადი, ცხოვრებით დასეტყვილი, მაგრამ სხვაგან მაინც გააღვიძებდნენ.

პერანგი

ხევსური მამაკაცის პერანგი — დახვეწილი, განუმეორებელი სრულყოფით შექმნილი, მაღალი ხელოვნების ნიმუშად ქცეული, — დახლზე იდო, იყიდებოდა, ჰყიდიდნენ.

ქართული ხალხური რეწვის მცოდნემ, თუშმა ქალბატონმა ნანული აზიკურმა დახედა და და-მარცვლით მარტოლა ეს წარმოსთქვა:

— რო-გორ ჰყვა-რებია!

არცთუ ძალიან ძველად, და არა მხოლოდ ჩვენ-ში, ხელსაქმე ერთ-ერთი სიკეთეთაგანი იყო გა-სათხოვარი ქალიშვილისა, რომლითაც კაცის, სა-მომავლო ქმრის გული უნდა მოენადირებინა.

რა ნივთიერი მტკიცებულება დარჩება ჩვენგან ჩვენი სიყვარულისა?!

ზამთარი

თბილისში მოთოვა. დილით კარგად ჩაცმული ქალაქელი ქალი თოვლიან აღმართს მიუყვებოდა. ხელში ჭრელი ქათამი ეკავა და გულში იკრავდა. ქათამი ცნობისმოყვარეობით თავს აქეთ-იქით აქიცინებდა. სასაცილო საბავშვო ლექსი გამახ-სენდა:

ბაყაყს ამშვიდებს ფლამინგო.
— **შეგჭამ და უნდა გამიგო.**

უღელი

ქალი, რომელსაც თავი ჯერ კიდევ ლამაზი ეგონა, იმერული ეზოს შუაგულში, შეზღონგში იჯდა, კაცი კი სადრენაჟე ორმოების სათხრელად მოდიოდა, ჭიშკართან შეჩერდებოდა — თითქოს რაღაცის მოლოდინში, ჭასთან მივიდოდა — თითქოს წყლის დასალევად, ჩაიმუხლებდა — თითქოს ლეკვის მოსაფერებლად.

ქალს თავი ჯერ კიდევ ლამაზი ეგონა...

ერთხელაც კაცმა თავი დახარა და ქალს სახელი ჰკითხა. თავდახრილმა: სოფლელი კაცისათვის უცხო სახელი ჩუმად გაიმეორა, ჩაფიქრდა და: ხვალ აღარ მოვალ მიწის სათხრელადო.

მეორე დღეს ქალი, რომელსაც თავი ჯერ კიდევ ლამაზი ეგონა, დიდ იმერულ აივანზე იდგა და შორს კაცს უყურებდა. თავდახრილი კაცი უღელში შებმულ ხარებს და მხარბეჭიან ქალს მიჰყვებოდა.

ზვავი

ქედზე სანახაობის შესაფერისად ავდიოდით – მძიმედ. ზამთარში ხეობის მეორე მხრიდან წამოსულმა ზვავმა აქეთა ფერდობის სოფელი წალეკა. გადაჭრილი სახლები, ჩაქცეული ბოსლები, ჭურჭლის წამსხვრევები, აგლეჯილი შურდული, ძროხის ზანზარაკი, სკივრის მოჭრელებული ზურგი, ცხენის ნალი, აკვნის ტატილები, ჯაჭვის ნაგლეჯი, მძივის კაკლები... არა ადამიანი, არა ძალლი, არა ქათამი. სიკვდილის კვალია. საკუთარი ფეხის ხმის რიდით სოფლის თავზე მოვექეცით. ავიხედეთ. ჩვენს ზემოთ ერთადერთი ზვავუხლებელი სახლის ზღურბლზე ქალი იჯდა, მთიულურად შავებში, მზეზე თბებოდა, წინდას ქსოვდა და ლიმილით თვალს გვაყოლებდა.

ყველა აქ ამოსული და მოცლილი იმავეს იკითხავდა და იმავე პასუხს მიიღებდა: გადარჩა, ბუნებამ სახლი არ წაართვა, არ გაწირა, მარტოა, სახლს ვინ უპატრონოს, ფუძეს ვერ მიატოვებს, ვერ უდალატებს სახლს, სალოცავს, მთიულეთს, ვერ გაიხიზნება, ბარში ვერ იცხოვრებს, მოკვდება. მოყოლა ნელი, სიტყვა მშვიდი, საუბარი ლიმილიანი. ლიმილიანია ფოტოზეც, ზღურბლზე მდგარი ქალი, მთიულურად შავებში. ფოტო ხელში მიკავია და ვფიქრობ, ზვავისას ჭკუას გადასცდა, თუ სხვა მოსაუბრე ჰყავდა და ლიმილიც იმისია?

ანიკო

ჩემი ანიკო, კაფანდარა, თხელი, უდრევი მთიელი, ბედუინივით ხმელი და ლამაზი, ჩვენი დამპურებელი, დაცარიელებულ სოფელში მარტოდ დარჩენილი, ეულად, თრიალეთის კალთებზე მიტოვებულ საძოვრებზე ნიავივით მოსიარულე, თავისი საქონლის მწყემსავი, თავისი პურის მცხობელი, თავის თავთან მოსაუბრე. იცის, უყვარს, გაეგება საქმე ჩვენი დაპურებისა — ეფერება ძროხას, ღორს, ქათამს, მის ძაღლს არასდროს შია, მის მოსავლელს არასდროს მოხვედრია სახრე, არც სხვას შეარჩენს ჯოხის მოღერებას. რაც თავი ახსოვს, თავისი გამოზრდილის არც საქონლის, არც ქათმის ხორცზე პირი არ დაუკარებია, გემო არ გაუსინჯავს, ვერ დაკლავს, ვერ დააკვლევინებს. ემადლიერება, ებრალება, გასაყიდად თუ გაიმეტებს. დიდი ხანია ჩვენსკენ ხურჯინებით დახუნძლული ჩოჩორით არ ჩამოუვლია, ბოდიშით — ვირით მოვდივარო! დაბერდა ანიკო, სიფელი შემოეცალა, მარტოდა საქონელს უვლის, ჩვენ გველოდება, ერბომონატრებულებს. ჩააკითხავ, მოუბოდიშებ, „მატრასივით“ ზოლებიან გოჭებს განახებს, გაგახსენდება შორი თოვლიანი მთები, ყველ-ერბოს გემო და თბილის უბრუნდები — შეტორტმანებულს, დაბნეულს, მტკივანად ამაყს, ეჭვიანად მედიდურს. ერბოიოანი ქილით ხელში ეზოს გადაჰკვეთ, მოლაზლანდარე, საკუთარი დედების მაგინებელ, უსადავო, უმწყემსო ვაჟებს შეხედავ, გამომწვევად სკამის ზურგზე შემომჯდარ ნაზ არსებებს თვალს აარიდებ, ბინის კარს მიებჯინები, შეხვალ და მიყუჩდები. ჩემო ანიკო!

გალობა

უმაქნისი სეირის საყურებლად არ უნდა შევიდეს ბავშვთა სახლში. იქიდან კი დროდადრო გამოდიან და გამოვლენ კიდევაც...

ეს ბავშვები კი, დიდიც და პატარაც, შიო მღვიმის ეკლესიაში მღეროდნენ, გალობდნენ, გულით, მონდომებით. ღმერთმსახურების ბავშვური ხმები გუმბათს ერთვოდა. მგალობლებს მასწავლებელი ახლდათ. ახალგაზრდა, მოკრძალებული კაცი. ძეგვის ბავშვთა სახლიდან იყვნენ.

იგალობებს, გამოვიდნენ, დიდი ცაცხვის ძირში ჩამოსხდნენ. პური ამოიღეს. მეტი არაფერი გააჩნდათ, თუ ეკლესიის ცაცხვს სხვა არ მოუხდებოდა?

პურს, კარგად ამოსულს, არ ჭრიდნენ, ლუკმას ატეხდნენ, ფრთხილად იკავებდნენ, თითებით შლიდნენ, არ კბეჩდნენ, ნამცეცებს ხელისგულზე იგროვებდნენ, ჩუმად, აუჩქარებლად ჭამდნენ. გალობას ჰგავდა.

შემამჩნიეს. პატარა გოგონა წამოდგა, ჩემსკენ წამოვიდა, ხელი გამომიწოდა, ხელში პურის ნატეხი ეკავა, თეთრი, ფაფუკი. პურიც — ობლის კვერი — თავიანთი გამოცხობილი იყო.

ჩემდა სამწუხაროდ, მოკრძალებული მასწავლებლის სახელი არ მახსოვს.

უფალო შეგვიწყალე!

ერთობა

შვიდი გუნდი იყო, შვიდი ლოტბარი.

ვარდისფერ, უნიფარ გოგონებს ახალგაზრდა ქალი უძლვებოდა, ზურგიდან აწყობილი, მთელი სხეულით მოძრავი, ხელებს განზე პლასტიკურად შლიდა, ტანს არხევდა, ცეკვავდა. იცოდა, მოსანონი იყო.

მოზრდილების შერეული გუნდის ლოტბარი კუნძივით ქალი იყო, ფარხმალდაყრილი, მათრახებივით ვარდნილ ხელებს უძლურად სწევდა, უფრო თხოვნით, ვიდრე მბრძანებლურად.

ბიჭების ხელმძღვანელი პატივმოყვარეობას მოკლებული, პირველ ხმას ამოფარებული, უჩინარი იყო. ახალგაზრდა მამაკაცის ლამაზ თავს თუდაინახავდი — კუთვნილი ადგილი „ქართულის“ მოცეკვავეებს დაუთმო.

ზღვისპირეთის გუნდს, გეოგრაფიის შესაფერისად (კონცერტისთვის არცთუ) მოილლიავებულებს, ყურადღება ჩაუცმელობაზე გადაჰქონდა. კარგად კი მღეროდნენ, მაგრამ ლოტბარი რასაიქმდა — ვერ ნახავდი, თვალი გაგირბოდა.

კარგად მობერებულ მამაკაცთა გუნდს ღონიერი მოჭიდავის ზურგი ჰავარავდა. უფრო მწვრთნელი, ვიდრე ლოტბარი, მძლავრად ამღერებდა, — დედას გიტირებთო! კიდევაც იზამდა.

საეკლესიო კაპელას ახალგაზრდა მამაკაცი ედგა წინ. მოხდენილი, მაღალი.

ხელებს მკლავებში არ შლიდა, არ ამოძრავებდა, მარტო მტევნებით, თითებით ეჩურჩულებოდა, ევე-


დრებოდა. ხმას ფრთასავით მთრთოლვარე ხელს აყოლებდა, მეორე ხელს ადევნებდა და თეთრი, ქათქათა თითებით ბგერას ჰაერში წურავდა, პირველსაწყისი დუმილის მიზიდულობით.

დასასრულს, ყველა გუნდი ერთად შეირწყა და მხცოვანი მაესტროს დირიჟორული ნებით იქუსა ვნების, მორჩილების, მოკრძალების, ცდუნების, შემართების, სულის აღმაფრენის აპოთეოზმა.

ნისძილი

რამხელა ყვირილას რამხელა ძალა სჭირდება, რამხელა დოლაპები, რამხელა აგრეგატი — ერთი ბეწო ბეღურას ნისკარტის საკბილო ერთი ბეწო პურის მარცვალს.

ჩვენც ასე ხელისგულზე გვიდევს მარცვალი — ფრთოსანთათვის ასე იოლად დასაკენკი, ჩვენთვის კი ასე ძნელად გასაკვნეტი და ასე ძნელად გასაფრთოსნებელი.



შინაარსი

თანამდევნი

წინათქმა	5
ჩემი სახლის სტუმრები და ბინადრები	6
ბაგა	8
თეორი ნაგაზი	9
ჩიტები	10
ობობა.....	12
თევზი.....	13
მერცხალი	14
უტიფარი ძალლი.....	15
ბალერინას ძალლი	16
ცხენი „განძი“	17
ბაყაყი	18
გერმანული ნაგაზი	20
წყლის კუ	21
უკუდო კატა	22
მტრედი	24
შინაბერა ძალლი	25
დედა-ლორი	26
ჩოჩორი	27
ბუ	28
თევზები, ტრიტონები, ჩიტები	30
მგალობელი ჩიტები	32
ქათამი	34
კურდლელი	35
შველი	36
კუ	38
კატა	39
სამფეხა ძალლი	40
ჭუკები	41
ბატკანი	42
მახრა	44
ხვლიკი	45
ციყვი	46
საშობაო ლორი.....	48
ძალლი.....	49
ზღარბი.....	50
მეორე ბატკანი.....	51
ძუენა.....	52
ჯუჯა ლორი.....	54
მგელი.....	55
შავი კატა.....	56

უბრალო ძაღლი.....	58
პუდელი.....	59
დათვი.....	60
ძროხა.....	62
ორი ძროხა.....	63
ნეროები.....	64
თაგვები და ხვლიკები.....	66
ძაღლები.....	67
მგელი ლამით.....	68
მინდვრის თაგვი.....	69
შაშვი.....	70
კიდევ ერთი ძაღლი.....	72
ცხენი.....	73
ორი ძაღლი.....	74
ტაქსა.....	75
სიამის კატა.....	76
ფოქსტერიერი.....	77
კალიები.....	78
ლამურა.....	79
სხვა ზღარბი.....	80
ანკარა.....	81
სპილო.....	82
ექვსი კუ.....	83
თავლა.....	84
კოდალა.....	86
ლაბრადორი.....	88
ციცინათელა.....	89
ნემსიყლაპია.....	90
წრუნუნა.....	91
ზანზალაკებიანი ძროხები.....	92
ჭრიფინა.....	93
ბუზები.....	94
ოცდაათი შველი.....	95
მელიები.....	96
საბრძოლო მამლები.....	97
პითონი.....	98
შესაწირი ცხვარი.....	100
ფოცხვერი.....	101
მგლის ლეკვი.....	102
მელია.....	104
მორიელი.....	105
ჭიანჭველები.....	106
ფუტკარი.....	107
დიდი ხვლიკი.....	108
„ალპინისტი“ დათვი.....	109

ლოკოკინები.....	110
მინი-ზოოპარკი.....	112
„ერთი ძალლი და ერთიც კატა“.....	114
ჩვენი ფინია.....	115
ღორები.....	116
ბომბო და მურა.....	118
„თავადი“ ძალლი.....	120
უცნაური ძალლები.....	121
დაობლებული ძალლი.....	122
გველი.....	123
დაილაპუ.....	124
კრაზანები.....	126
ლაბრადორი ლაბრიკო.....	127
ორი მწევარი.....	128
ზაზუნა.....	130
ლეკვი.....	131
პატარა ციყვი.....	132
მწევარი.....	133
ნანადირევი დათვი.....	134
ქვენარმავალი.....	135
კნუტები.....	136
მშიშარა ძალლები.....	137
ბოცვერი და კურდლელი.....	138
დედა ძალლი.....	140
ფრთხილი ჩიტი.....	141
უილბლო კატა	142
ფარა.....	143
კვიცი.....	144
ცხოველები.....	145
დასასრული.....	146

გადამცდარნი

ხოჭო.....	149
სოფელი.....	150
კაკლის ჩიტი.....	151
დაფუნა.....	152
მედუდუკე.....	154
„ხევისბერი“.....	155
ქრისტეფორე.....	156
ბავშვთა სახლი.....	157
ბეთლემის ვარსკვლავი.....	158
დანაშაული.....	160
გიუი მარინა.....	161
მანი, მანი.....	162
ზანგი.....	163

ბარდები.....	164
ჯიგარი.....	166
ზარმაცები.....	168
ბოშები.....	169
პროფესია.....	170
რუსი.....	171
ქართველი.....	172
ნემო.....	173
მოხუცთა თავშესაფარი.....	174
კაი ბიჭები.....	175
ლოთები.....	176
ქურთი.....	177
საინგილოს თაფლი.....	178
მუშები.....	179
ქურუმი.....	180
მისტიკოსები.....	181
ოფელი.....	182
ჭუკლი.....	183
წალკოტი.....	184
კიკა.....	185
„თვალხილული“.....	186
ცაცა.....	188
ქურდი.....	189
რომანტიკოსი.....	190
პლეხანოვის პროსპექტი.....	192
Public Relations.....	194
ორდენოსანი.....	195
ნიღაბი.....	196
უბირი.....	197
მშიერი.....	198
მარიკელა.....	199
ეჭვი.....	200
ბუდა.....	201
შორი გზა.....	202
ნაშვილები.....	203
პიანისტი.....	204
მოკლე ჩართვა.....	206
გიური.....	207
კვაზიმოდო.....	208
„Coin“-ი.....	209
ინდოეთის მათხოვრები.....	210
დედა.....	211
პორტრეტი ფოლიანტიდან.....	212
ენთუზიასტი.....	213
ფერია.....	214

ფეხსაცმლის მწმენდავი.....	215
მერი.....	216
მინისქვეშა გასასვლელი.....	217
სკლეროზი.....	218
კენჭები.....	219
ჰეროსტატე.....	220
პარტისტორის ლექტორი.....	221
ნეტარი.....	222
კვერცხის გული.....	223
მძივები.....	224
ნიკო.....	225
ყრუ.....	226
ბაცაცა.....	228
რაული.....	229
თანატოფობია.....	230
გზაჯვარედინი.....	232
უფსკრული.....	233
სერენადა.....	234
შოკი.....	235
გიორგი.....	236
ნოდარი.....	238
განგი.....	239
ლტოლვილი.....	240
სვანი.....	241
პროფესორი.....	242
თბილისის ზღვა.....	244
სიტყვა.....	246
დედა-შვილი.....	247
მრნამსი.....	248
ჯიში.....	249
ინტერვიუ.....	250
მოხუცი.....	252
მოსაუბრე.....	253
ყაჩალი.....	254
მონაზონი.....	255
ფოსტალიონი.....	256
მგზავრი.....	257
ჰერანგი.....	258
ზამთარი.....	259
უღელი.....	260
ზვავი.....	261
ანიკო.....	262
გალობა.....	263
ერთობა.....	264
წისქვილი.....	266